

030608

1884

№ 111, 250

თბილისი.

გევთამაჯ ხელაძის სტამბა.

1884

ში ნარჩენი:

I.	განკიცხული (დასასრული) ა. მოჩეუბარიძისა	
II.	მთავარ-ეპისკოპოსი იოანე სამებელი და ქარ- თული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში (დასასრული) თ. ურდანიძეს	61
III.	სწეული ოჯახი (დექანი) თ. რ. ერისთვისა	94
IV.	ღამით მხიანი ქვეყანა ანუ შვეცია და ნორ- ვეგია (დასასრული) ე. ჭავახაშვილისა	95
V.	თოთ-შმართველობა საზოგადოთ და ქალაქისა კურძოდ (წერილი ქუთაისიდგან) მანელია	119
VI.	შინაური მიმოხილვის მაგივრი	145
VII.	განცხადება	159
VIII	«ივერიის» ფოსტა (ედაზედ).	

ပဒေကုန်

ပုဂ္ဂနိုလ်တော်မူ အာ ပုဂ္ဂနိုလ်ချောင်းဖွံ့ဖြိုး
စုရောင်းလုပ်

၌။

№ III

တိပိဋကဓိ

ဗျာဒုသမြို့ နယ်လာဆိပ် ပြည့်မှု၊ လုပ်ရေး-မြို့လုပ်ကျော် ပျော်ရွှေ့
1884

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Марта 1884 г.

გ ა ნ კ ი ც ხ უ ლ ი

(დასასრული) *)

თავი VII

ექიმებმა გამომიცხადეს, რომ სააფათმუოდაში დატჩენა ველარის მარგებდა და საჭირო მსოფლოდ წმინდა ჰქონი-და იყო, ამისთვის მე ისევ ჩემს ძველს სახლის პატრონთან გადავეღ, სადაც რაოდენიმე სანს ვაზირებდი დატჩენას და შემდეგ კი სოფელში გამგზავრებას; მე მსურდა მოვმორებულიერა უკელას, ჩავმარტულიერა სოფლის მეუდროებაში, დაობლებული, განმარტოებული უკელასაგან, მარტოდ მივწერდი ჩემს მწესაცებას. ასე ვიზიქობდი, ასე გამხობდი და წასასვლელათაც კი სოფლიად მომზადებული ვიზავ, როდესაც მოუღოდნელმა შემთხვევაში ეს გადაწყვეტილობა მოლად გადამიბრუნა... .

ერთს დილით, როდესაც სახლის პატრონს გავუსწორდი და უკნასვნელს ბარგს ვალაგებდი, ბიჭმა წიგნი შემომიტანა, გადმომცა და დაუმატა:

— ფოჩტალითნმა მოიტანა.

მე ვუთხარ სტოლზე დაეგდო და იმან აღასორება ჩემი სურვილი. მოელის ქავენისგან მოწყვეტილს, იმედი აღარა მჭონა-

და, ომ კისგანმე ისეთს წიგნს მიკიღუბდი, ომელიაც ჩემი გართობა მაინც შესძლებოდა.

დაგვეტე ჩემოდანი, წენარად და მოწყენილი მიკედ სტოლ-თან და ისე აკიდე წერილი, ორგორც კაცმა, ომელიც მხო-ლოდ თავის მოკალეობას აღსრულებდა: ჩემთვის მოწერათ წიგ-ნი და, მაშასადამე, უნდა წამეკითხა:

წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, ოდესაც გავხსენ წე-რილი და შემდეგი წაკიცითხე:

«ლევან! ჰირკელსავე ნახვაზედ შემიუვარდი, იმ ჰირკელის სიყვარულით, ომელიც კი შეუძლიან ნორჩის და ჭერედ გა-მოუცდელს გულს... რა იყო ამის მიზეზი, რად ამოგიონჩის შენ და არა სხვა, ეგ მე არ ვიცი და არც გამოგვლევას გამო-გუდგები. მაგრამ ამას კი ვერ დავმარამ, რომ ჰირკელად შენა-გან გავიგონე თანამგრძნობელი სიტყვა, ჰირკელად შენს ნახვა-ზედ წამჩერჩეულა გულმა: «ეს არის გისაც მართლა უუგარსა-ორ, მსოლოდ ეს გაფასებს, მსოლოდ ამას ესმის შენი გუ-ლის ჰასუსიღ!...» წამჩერჩეულა და საკმაო იყო, რომ სასია-მოქნო მადლობით აღსცებული ჩემი გული, ავსებულიყო სიუ-ვარულითაც, მით უფრო, რომ მას არაოდეს არ გაეგონა ტები-ლი საუბარი მეგობრისა... ასეთ კაცად მეჩენე ჰირკელში და, ჩსეთ სურათად ჩასატე ჩემს ღცნებაში. დრომ და შენმა საქ-ციელმა ამ ჰირკელის მოქმედების შემდეგ გაგხადა ჩემს უზ-ლად, მშობანებულად!... მას შემდეგ არ უოფილა მსხვერ-პლი, ომელიც შენ მოგეთხოვა და მე წუთს დავთვიქრებულიუავ მის შესაწირავად... არ უოფილა წუთი, ოდესაც შენ მო-შორებოდი ჩემს ფიქრს, აზრს, გონებას... სხვა საგანზედაც კი რომ მეფიქრა, ომელსამე მედიდურს სურათს რომ დავ-გვირკებოდი, მისი მედიდურობა მსოლოდ შენია, შეიჭნებოდა,

იქვე შენ მესატებოდი, შენით ცხოველდებოდა...

„შენ შემოგრირფოდი, შენ გერმუნებოდი, შენით ვიბრუნებდი სულს და მხოლოდ შენ იყავ ბოწყინვალე სსისად ჩამოღილი ჩემს ცხოველებაში...

„შენ გადასწუყის, რომ ჩვენ ერთმანერთს კერ მიკვეთვნებოდით, რადგანაც მე მაბრუკოლებდა მოვალეობა ქმრისის დედა-გაცისა და შენ კი... შენ კი მოვალეობა სკინიდისიანის კაცისა!... მე გადასწუყის დავმორჩხელებულიყავ შენს სიტუაცის, გადასწუყის მით უფრო, რომ შენი სიტუაციი თვით ჰეციდგან შთაგონებულ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა... ეს გადასწუყის და დავმორჩხილდი ჩემს ბედს... კვამაულოვილდებოდი მხოლოდ შენის სიასლოვით, კვამაულოვილდებოდი შენის ცეკვით, შენთან დაპარაგით და, უმეტეს ბედნიერებას მოკლებული, ამასაც კვალებოდი... ღმერთო!... მაშინ მეტად ბედნიერი ვიყავ, რომ ჩემს გულში სხვა სურვილს ჭირობდა კიდევ ადგილი, მეტად დამონებული წმინდა გრძნობით, რომ უმეტესზედ მეივიჭა... მაგრამ... შენ არ განივითხე უბედური, არ მოიწადინე აკათ-მცოფის განვურნება... შენ მიღალატე უღმრთოდ, უკაცურად, პორ როტად!.. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ისე ტკბილად და ნაზად ჩამჩრეობულებდი, როდესაც ისეთის სიტყბოებით ავსებდი ჩემს გულს, მთლად ჩემს აჩებას—ბოროტად მღალატობდი, მასხარად მიგდებდი!.. რადა, რა დაგიშვე?.. ის თუ რომ წრთელის გულით. შეგიუებუ, გენდე და მთელი ქვეყანა გადაა ვივიწყე, რომ მისი ადგილი შენ დაგეჭრა?.. მნელია, ღევან! მეტად მნელი, როდესაც საუკარელი გღალატობს, გატუუპს, როდესაც გგონია, რომ მას უუკარხარ და სტუუდები!.. თუ, შენზედაც სოფიომ მმოქედა?.. იმან მიგიმხრო, მიგიზდა, რომ ჩემი სიცოცხლე უმეტესად გაემწარებინა?.. არ მემართლე-

ბოდი, თორებ შენ იცი! ღმერთმა სელი მოგიმართოს. თუ ამაზედ მეტს ხანს გერ გასწევდა შენი სიუკარული, რად შემომებარე, როგორც გებლი, რად მომიწამლე ისეც დაშეამუდი არსება, რად წემართვი მოსიგენება?.. ნუ თუ მეტად არა გდირდი?..

«ნერა რას ამბობდა შენი გული, როდესაც ერთსა და იმავე დონის მეც მათობდი ტებილის ტიტინით და სხვასაც წიგნებსა სწერდი, რომელშიაც ჩემს გულ-წრთველს გატაცებას და სიტყბოებას მასხარად ივდებდი, ფეხ-ჭირ დასაცდი?.. შენ მოჰყალ ჩემი გული, დაამცირე ჩემი ლირება, დაამცირე ჩემს ქმარზედ უმეტესად, რომელმაც სელიც კი შემახო, ცემით მოისურვა ჩემი დამორჩილება... შენ იმაზედ მეტად დამნაშაგე სარ, ხარ იმიტომ, რომ კაცობრიობაზედ უკანასკნელი რწმუნება შენ გამომაცალე, დაძირებე.. დამიკარგე და მერ გადაჭრებიტე გადაგისადოთ ამ დამცირებისთვის. უკელას, უკელას და... ჩემის საჭციელით ერთხელ მაინც არის გაგრმნობინოთ...»

„მაგრამ რა გაგრმნობინოთ უღონომ, მოუმზადებელმა, უკელასგან დაჩაგრულმა...»

«ვათავებ ამ წერილს. უპიელია ისეც თავი მოგაწყინა, ან არა და ამასაც ისე სასაცილოთ გახდი, როგორც ჩემი გულ-წრთველი სიუკარული გაჭირდე!..»

„მაგრამ სადამდინაც უნდა მივიღეს ჩემი ცხოვრება, იცოდე რომ მიუკარდი, მიუკარსარ და მეუკარები... იცოდე ეს უკელას და... არ იქნება, არა სთქვა, არ იქნება ერთხელ სინიღისმა. არ წაგნერჩელოს: — «შემეძლო მისი დახსნა და არ დაკისენ!»

„როდესაც ამ წერილს მიიღებ, მორს იქნება თავის ქმრისგანაც, შენგანაც, როდეს-დაც შენი გულ-წრთველი და ეხლა კი თქვენგან განკიცხული»

მეტად მძიმე და მნელი ასატანი იყო ეს წერილი ჩემთვის, რომ მისი ძალა მაშინვე სრულიად მეგრმნო, მისი შოქმედება მაშინვე გამოაშეარავებულიყო.

მე ვიდექ გაბრუებული, დაფანტული და გონება კელარ მომექრითა. მარტო თავი მისურდა, ტანზედ თითქმს ჭიანჭველები დაცოცავდენ და თმა აფხა ტურშიალით მიდიოდა. მე მეჭირა წიგნი, მაგრამ თვალებისა არა მჯეროდა.

კარგა ხანს ვიყავ ამ მდგომარეობაში, სანამ წერილის ჭელად გადავითხვას შევიძლებდი, სანამ მის ნამდვილს მნიშვნელობას შევიტყობდი. როგორ, მარი მე მამტუნებდა სწორეთ იმაში, რასაც თითონ იმას ბოლად ვდებდი, რამაც მომიწამლა სიცოცხლე და თავ-განწირულებამდის მიმღვანა?..

შირველი აზრი, რომელმაც თავში გამირბინა იყო, რომ მარი ეხლაც ცრუობდა, მატუებდა და გული უმეტესად შემწუხა იშისმა. საქციელმა, მაგრამ რა ცოტა ხანმაც გაიარა, მე დაკრწმუნდი, რომ ეს მოაზრება უსაფუძვლო იყო.

მარი მე აღარა მხედავდა, მთელმა თვეებმა გაიარა, რაც ჩენ ერთმანერთს დაშორებული ვიყავით, იმას დიდი ხანია რაც უნდა გადავვიწყებოდი მეც და ჩემი მდგომარეობაც, თუ მართლა ისეთი ქალი იყო, როგორიც პროფილუშებამ გაძაცნო... მაში რა უნდა მეფიქრა?.. არა, მარი არა სტუურდა, მარი მართალსა მწერდა, ის მართალი იყო, გადაწყვიტა გულმა, მაგრამ გონება მაინც ბოროტად ჩამძახდა: „ის წიგნი, რომელიც პროფილუშებამ გაჩვენა, რადა იყო?..“

იქნება პროფილუშებამ შესთხუზა, იმან მოიგონა?... მაგრამ მაშინვე დაკრწმუნდი, რომ პროფილუშებას სისულელე ამას ვერ მოახერხებდა...

ამ მწარე წუგეტებაში ვიყავ და სრულიად მაკიწყდებოდა,

სოფიო, ოთმელიც უკელათერს იკისრებდა, უკელათერს მოიქმედებდა, ოღონძაც არის მარი გაეუბედურებინა. მაში მარის ჭუკარდი, იმასაც არ ედალატა ჩემთვის, უკელათერი და მმის საჭმე იყო და მე და მარი კი იმათი ინტრიგის მსხვერპლი?.. ღმერთო, რა მემართებოდა?.. ერთბისმად თავბრუ დამეხვა, გუნება ამერია, ტკინი ირუებდა. მე უთორ დაგეცი დივანზედ, სანამ დაკუჭმი, გულში ადელებული სისხლი უკლში მომებულია და სასულექთან მომადგა, წამიჭირა უკლში და მთლად ააცახდა. ტირილი მინდოდა, ცრემლები მახარებოდა, მაგრამ გახურებულს თვალებს ნამი არ ეკარებოდა, დაუკირება მინდოდა— ჰირში სიტყვა მიწუდებოდა. ასე კეგდე, რაღაც გამოურმავისა მდგომარეობაში და რაღასაც კლულლულებდი და კვანგალებდი, ოთგორც ჰატრარა ბავშვი— სული ჭურ მომექცია: ცოტა ხანს შეძლებ რაოდენადმე დაგმშვიდი, თუმცა ძლიერ დასუსტებული კიდავ, და რა წამს წამოდგომა შეკიძელ, მაშინვე გაკეშურე შროვირის სახლისკენ.

იმან მომატუება და ჰასუხი უნდა მოეცა. მე გადამავიწუდა ნათესაობაც, ჩემი დამოკიდებულებაც. თვალ-წინ ერთილა მეხატებოდა: ჩემს წინ იდგა მტერი, მტერი მოჭმებით, რწმუნებით და მიმართულებით.

თავი ვIII

პირკელსავე შესვლაზედ გარებში მაში შემხვდა და უპკერია, მეტად შესაშინებული სახე მედო, რადგანაც ის უვირია ლით უკან მიაწუდა.

— სად არის მარიში!

— მოითმინეთ, დამშვიდდით. მიპასუსა გაფითრებულმა უფა-
გომ.

მე თაუ-დავიწყებამდის მივსულვიყავ, რა დროს მოთმენა-
ზედ იყო ლაპტენაკი? მთლად ჭინთებოდი.

— სად არის, სადა?.. მითხარ გაფიცებ უცემას, ჩეკა მითხ-
ხარ.

— ქალ-ბატონი წუსელ... ვეღარ გაათავა მაშომ.

— წუსელ რა? მოუთმენლად გვითსე იმას.

— წუსელ სადღაც წახმანდა!.. ტირილით დაიწყო იმან.

— მაშ მართალია, უცემავერი მართალია?

— მეტ კი არათვერი შემატეობინა... წუენით და ისეგი ტი-
რილითვე გააგრძელა იმან.

— პროფილ სადღა არის? თან-და-თან ვამზვრეოდი.

— ბატონი დღეს დილიდგანვე გავიდა და არ დაბრუნებულა.

— მაშ სოფიო მიჩვენე, ის მანც შინ იქნება?

— არც ის გასლავს შინა.

— სად არის, მითხარ... ესლავე უნდა ვიპოვო, ესლავა
უნდა ვნახო... .

— რა მოგასესენთ... დღეს დილით მთელს ქალაქს გაეგო
ქალ-ბატონის წასელა.

— მერე... მითხარ მაშო, მითხარ ლვის გულისათვის უ-
ცელისფერი, ნურას დამიმაღავა... .

— მოგასესენებთ... თქვენ ორგორ დაგიმაღავო, თქვენ, ორ-
მელიც ქალ-ბატონს ისე უკვარდით.

— ოჟ, ლმერთოს წამოვიძახე მოუთმენლად, ლადგინაც აშ-
სოტეულმა მწარე ტეივილი მაგრძნობინეს და მარის ამბის შე-
ტეობა ისე მიგვიანდებოდა.

— დღეს დილით, ბატონის და ქალ-ბატონის ნათესაობა მო-

ვიდა, უცელანი აქ შეიტარებ, რომ ქალ-ბატონშა საჭიროთ თავი მოგვწერათ, გარეთ აღარ გაგესკვლებათ... ცოტა რჩევის შემდეგ იმათ გადასწუვიტეს, მართ ეპოვათ და გიჟად გამოუწეა-დებინათ... ამისთვის წავიდენ ვისთანაც საჭირო არის, რომ უფლების ფერი მოაწყოს, მოახერხოს...

— ღმერთო, მაგათ ჩემი გაგიუება უნდათ მაგ უღმერთოებს. — დავიძახე მე და გამორუნდი კარებისგენ: — ეხლავ წავალ შემდას შეგატულისინებ, გაუაგებინებ. რა უღმერთობასაც აპირებენ!..

ის იუო კარებში გასვლას კაპირებდი, როდესაც პროფილი შემეფეთა.

— თქო... შენც მოსულსაც? წარმოსთვეა იმან შემოსვლის უმაღლ, დაითვარა პირზედ სელები და სკამზე დაეცა.

მე მეტად ბევრი საკუთარი მწერალება მქონდა, რომ მის-თვის უურადღება მიმექცია, მეტად ბევრი ვარამი მიტორალებდა გულში, რომ შემბრალებოდა.

— დასტები, გაიხარე ჩემის უბედულებით! წარმოსთვეა იმინ-ვე: — გამარჯვებული შენ დარჩი — მე მივედ ახლოს და დავაც-ქერდი. ის მე გამარჯვებულს მეძახოდა. რაში ხედავდა უღირ-სი ამ გამარჯვებას?

მე დავიკრიცე გულ-სელი და პირ-და-პირ დავიწევ:

— რა უჟავ მარის?..

— გაიქცა. მოკლედ მიჰასუსა იმან.

— რად მიუვანე მანდამდინ, რად მომატულე?

— იმიტომ რომ მე და შენ კიბრძოდით და მებრძლოთ უმ-ჭა საშუალება. ეპატიებათ. აიღო პირისასიდგან სელები პრო-ფილში, წამოდგა, თოთქოს გამართა წელში და ისე მიჰასუსა.

მე გამაშტერა ამ გაცის ურცხობამ. ის მიუურებდა პირ-და-პირ, თოთქოს სანაქებო საჭმის ჩამდენა კაცი, რომელიც

დარწმუნებული იყო თავის მოქმედების უცოდებელობაში.

— მაში ის წიგნი შენგან იყო შეთხვული?

— დიახ, მოკლედ მომიღო იმან.

— იქნება მარისაც უჩვენე მაგ გარი წიგნი?

— შენტა და მარისაც.

— მეორე აგრე ურცხვად, უსვინდისოდ ლაპარაკობ?

— დიახ, კლაპარაკობ... კლაპარაკობ იმისთვის, რომ მებრძოლთ უფველის ფერი, გესმის, — უფველის ფერი მიეტეხება შეთქი მოპირდაპირეს დასმარცხებულად... შენ და მარი კი ჩემი მოწინააღმდეგენი იყავით.

მე მაკვირვებდა პროფირ, რადგანაც იმას ვიცნობდი, როგორც დამცირებულს, მშიშარას, დაკრდომილს; ვიცნობდი, როგორც უბედურს, თავ-მოხრილს, უხასიათოს, რომელიც მუდამ თავ-მდაბლად გამოიყურებოდა, გაბედვით სიტუას ვერ წარმოსთვამდა და დღეს კი მაღლა აეღო თავი, პირდაპირ შემომურნებდა, სიტუას პირ-და-პირ გაბედვით მეუბნებოდა. ეს ცვლილება მით უფრო მაკვირვებდა, რომ დღემდის დარწმუნებული ვიყავ პროფირისგან მარის სიუკარულზე და მის დაკარგვას ეს კაცი სასო-წარგვეთილებაში ჩაგდების მაგიერ, რაღაცა გაბედულს მტკიცე ბულადათ შექნია. მე მოკვეთოდი მენახა დაცემული, მტკირალი, ჭვე-მძრომისავით მიწაზედ მხოსავი, კელოდი მენახა ჩემს ფეხთა-ჭვეშ, ვხედავდი კი ამაუად მაურებულს, ამაუად მოლაპარაკეს. თუ, უბედურებას გახსადა ასე გულ-კაუად?.. რაც უნდა უოფილიყო, როგორც უნდა დამსკედროდა პროფირი, მაინც და მაინც მისი საჭირები მეტის-მეტად საზიზდარი იყო, რომ სხვა რიგად მჩვენებოდა.

— მე მეგონა, დავიწეუ მე — რომ თქვენ მარტო უხასიათო გაცი ხართ და თქვენს უხასიათობას გაუხდიხართ სხვების სა-

თამაშოდ... მეგონა რომ სწორებ ეს მდგომარეობა კხდიდათ უბედურად და, თუმცა ეს შესაწყნარებელი გარემოება არ არის, მაგრამ მაინც მებრალებოდი... მებრალებოდი, როგორც უძლური, დაცემული, რომელიც გრძნობდი შენს სატკივარს, შენს მოქამდავს მდგომარეობას და კერ გაშველა, რადგანაც ძალა არ გქონდა, ღონე კერ მოგდევდა... ასეთს კაცად მეჩვენებოდი დღემდის და თუმცა თავის დღეში თქვენს მეგობარს კერ და-კარგებდი ჩემს თავს, მაგრამ გულით კი მსურდა თქვენი შველა... მე კსედავდი თქვენს სისაძალეს და მეგონა, რომ ეს შედეგი იყო თქვენის უძლურებისა... დიახ, ასე გიყურებდი, ასე კივიქრობდი დღემდის, მაგრამ დღეს, ესლა დაკრწმუნდი, რომ შემცდარი კუოფილვარ, კტიუუპდებოდი... შენ შენს სისამაგლეში ისე გამაგრებული კუოფილსარ, ისე შეგოვისებია კეგრძნობა, ისე შედეგებულსარ შენს სისაძალეს, რომ შენის მოქმედებით კიდეც ამაყობ.

— ლეგან! მკაფრად გრძნებულია იმან, მაგრამ მე მანდოდა გამეთავებისა, ჰირ-და-ჰირ მეთქმა, რასაც იმაზედ კივიქრობდი.

— ნება მიბოძეთ... დავიწეუ ისევ მე.

— მე აღმიკრძალავს! კვალად დაიწეუ ჰიროფირმა.—ადმინისტრაციას შენთვის მაგ დაპარაგის გაგრძელება... მე არა მსურს მეთქმი შენი გაგონება! თითქმის დაუკირებით გაათავა იმან.

— მეც არა მსურს გაუჩუმდე და უკედაფენს ჰირ-და-ჰირ გეტურთ. აკიმაღლე მეც ხმა.

— შენ გაკიწყდება, რომ ჩემს სახლში ხარ.

— არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახლის შატრონშა თავისით უფლება უნდა დაიკიწყოს.

— რომ არ მოისურვონ?

— ძალით ადასრულებინებენ.

პროფესიულებას თვალები აწოდ და მედირად შემომხედა, მაგრამ იმ უამაღ კულარა მიჰასუსა-რა.

— მაშ რა გინდა, რას ითხოვ ჩემგან? ცოტა უფრო დამ-შვიდებით დაიწყო პროფესია: — რასთვის მოსულხარ?

— იმისთვის რომ გითხრა: საზიზღლრად მოიქმედ და ამ სა-ზიზღლრობისთვის თავის დორზედ შასუს გამწერ...

— ესლა, ესლა რაფა გინდა?

— უნდა მითხრა, რა უყავ მარის, სად არის მარი?

პროფესია კიდევ შემომხედა და გარშემოით წარმოსთქვა:

— რომელის უფლებით ითხოვ მაგ ანგარიშს, ვინა ხარ და რა ხარ მარისა?

— მე?.. მე, რომელის უფლებით კითხოვ ანგარიშს?.. მე შემეძლო მაგაზედ არ მეპასუხნა, რადგანაც შენის მოქმედებით შენ თითონებე დაჭკარგე მაგ კითხვის უფლება, თუ ებ უფლება ოდესმე გქონდა...

— მე ქმარი გარ, ჯვარ-დაწერილი ქმარი, გამაწუკეტინა. პრო-ფესია.

— შენ იყავ ვაჟარი, რომელმაც ძალით დასაკუთრე მარი... მაგრამ საჭმე მაგაში არ არის... შენა მკათხე და გიპასუსებ... მე მალაპარაკებს ბუნებრივი გრძნობა, გრძნობა პატიოსანის გა-ცისა, რომელის მოვალეობაც არის გამოქსარჩლოს უკელა და-ჩაგრულს, წინა აღუდგეს უოკელ უსამართლობას!..

— და ამ შემთხვევაში მარტო მაგ გრძნობით ხელმძღვანელობ?

— არა. და მე ამაუგდ საჭუროდ შემიძლიან. ამის წარმო-თქმა... მე მიუკარს მარი და უყვარვარ იმასაც... ეს გრძნობა არის ბუნებრივი, თავის-თავად დაბადებული... არც ერთი ჩვენ-გან არა ცდილა, რომ ის გახენილიყო. მე არა მოცხვენიან ამ გრძნობისა... და სწორედ ესა მდებს მოვალეობას. მათ უმეტე-

სად თავი გამოვიდო მარის გულისთვის... ეხლა, ორდესაც უკელაფერი გამოაშეარავდა ჩვენს შორის, შეგვიძლიან ჩვენი ლაპარაკები გავაგრძელოთ... რა იქნა მარი?

— შენ მსაჯულის კილოთი მეტხავ მაგას... — კიდევ სწავლა პროფესიონალის ჩემი შეუნება და დაუმატა: — თითქოს უფლება რამ გქონდეს.

— მთელი საათი გელაპარაკეთ, დაგიმტეიცეთ — ორმ უფლება მაქვს... მაში მიპასუხეთ...

— ორმ არ გიპასუხოთ?

— მიპასუხებო, გარწმუნებოთ ორმ მიპასუხებოთ.

— არა, რას იზამო, ორმ არ გიპასუხოთ?

— მოგელავთ, დაგასრჩობთ ეხლავ ჩემის ხელია... — გათერებული მიკვარდი პროფესიონალის და დაგუწევა ნძრება... — გესმის; მოგელავ მეოქი, დაგასრჩობთ... მე თითონ არ ვიცი რას გიზამ, მხოლოდ გათქმევინებული...

— მე განირევდი, კატრიალებდი პროფესიონალის და დიდი სხის ნაავად-მუროვარს, არ ვიცოდი, ღონე საიდამ მეძლეოდა... იმ სანში სიბრძნე შასრისობდა და პროფესიონალის სიკვდილი, ისე შემეძლო, ორმ ჩემი თავისთვის ანგარიში კურ მიმუცა, რას გშვრუბოდი, რა ჩავიდინე.

— ღევან, რას ჩაჭი? გამიშვი... უკელაფერს გეტუგი... — შემომესმა პროფესიონალის შეშინებული სმა და მსწავლისად გამოიყხაზლებულმა თავი დაგანებე.

ჩემს წინ იდგა გათვითებული, შეშინებული კაცი, ორმედსაც სახე დაჭპრანჭოდა, თბის აბურძენიდა და წარმოუდგენიდა მდელვარებდა. იმისი პრეული თეალები ეხლა სრულიად სხეს სურათს წარმოადგენდა: იმათ დაეკარგათ თავიანთი სიაჟე, მედიღურობა და ჩემ წინ იდგა რაღაცა დამონებული,

მოშლილი კაცი... ის მთლად ცახცახებდა. მე დავინახე, ორმ
მისი მდგომარეობა იმ გარი იყო, ორდესაც კაცს უკელავორის
გამოთქმევინება შეძლო. მეტად ძვირივას იყო მარის ამბავი,
ორმ გვიანობას მოგვიღლოდი.

— მითხარ, რა იქნა მარი, დავიწყე უფრო დამშვიდებულმა.

— მარი საავადმყოფო შია:

— ორგორ თუ საავადმყოფო შია?

— მარის გაქცევას შენც შეიტუობდი.

— გაცი.

— ას გაძეცა კილაცა უორცხს და ასაძაულს კაცთან... მა-
რიმ საქვეუნოდ თავი მომჭრა მეცა და მთელ წათესაობასაც...
მთელს ჭალაქში მეტი სალაპარაკო ადარა აქვთ-რა... ჩვენ ვარ-
ჩიეთ მარი გიუად გვეცნო და ქვეუნისთვის მისი მოქმედება
სიგიყის შედეგად დაგვენახვებისა... ასე ვარჩიე მარის სახელის-
თვის და ჩემის სასელისთვისაც...

ისე ამბობდა ამ სიტყვებს პროფირ, თთქმის მართლა-
დაც სავარიგელად მოასრულებულად ემოქმედა და მართლადაც და-
რწმუნებული იყო, ორმ მარის სასელის დასაზარად უკეთესა
გერას მოიგონებდა.

— ორგორ! გივითხე გავირვებულმა. — თქვენ კარგად-მუ-
ოვი ადამიანი საგიეში შეაგდეთ?... შეაგდეთ მხოლოდ იმის-
თვის, რომ თქვენს სასელს ქვეუნის ლაპარაკი არ შესებოდა?
კარგად-მუოვი ადამიანი გიუებთან დაამწევდით?... ა მაგისთანა
სასჯელი იკვიზიციასაც-კი არ მოუგონია!

— მაშ რა მექნა? დაიწყო ისევ პროფირმა; — გამომეცსადე-
ბინა, ორმ ჩემი ცოლი გარუენილი, ზნეობით დაცემული დე-
და-გაცია?... ორმ იმან შეურაცხველ უწმინდესი მოვალეობა
ცოლისა და უორცევად გადალახა უჩირქო სასელი ჩემი გაარისა?...

— ვინ მიიუგანა მანდამდის?... გვითხე მეგა და მეგა უშპა-
სუხე. — თქვენმა პირუტყულმა საჭრიელმა... თქვენ ისურვეთ
მოულა მისი კაცობრიულის გრძნობისა, ისურვეთ დამორჩი-
ლება ისეთის სასიათისა, რომელიც ძალას კერ მოიჩიდავდება,
ისურვეთ მისი დამორჩილება, მოტეხა და როდესაც ნახეთ, რომ
შრომაშ ამაღდ ჩაგდარათ, უკელაზედ საზიზლარი მოქმედება
ჩაიდინეთ?... ღმერთო ჩემო!... კარგად მუოფის ადამიანის სა-
გიუში შეგდება, არც ერთს კულურს მტარვალს თავში არ მო-
სვლია. მე თვითონ ვგიყდებოდი, როდესაც მარის მდგომარე-
ობას წარმოვიდგენდი, ერთად კიუებთან, საერთო ოთაში, მა-
რისაც ისე უნდა მოჰკურობოდენ, როგორც დასასჩენებელს?...
მასზედ ზრუნვა უნდა ჭრონოდა მინდობილი მოუსრულეს და გა-
უთლელს დარაჯებს, გულ-გამგევებულებს, რომელიაც უბრალო
სულიერი მოძრაობას შესავავებლად მარტო კეტის მეტი არა
იცოდნენ-რა... მე კედარა ვძლებდი იმ ოთაში, სული მიგუბ-
დებოდა. თვით პროფილ მესკენებოდა რაღაც უსაძალეს ცხო-
ვებად, რომელიც სწამლავდა უკელას, ვისაც კი მიეკარებოდა.
თვით ის ჭარიც-კი, რომლითაც პროფილი სუნთქვადა, თით-
ქოს იწამლებოდა და საზიზლრად მოქმედებდა კაცზედ.

მე აღარ ვიცოდი, რა რიგად დამტეჭო ლაპარაკა, რა მე-
თქვა... ერთის მხრით დაუჯერებლად მესკენებოდა ჩენს
დორში სალსი ისე დაცემულიყო, რომ მთელი ქვეუნის გამო-
სულელება შეძლებულიყო, რომ მასთვის კვისრებინათ სრულდა
კარგა მუოფის ადამიანის გიყად გამოცხადება, თუნდა ამ გრანს
საჭრიელს უბედურის სახელი უბრალო ჭრილებანაობისგანაც
დაეხსნათ?

მეორეს მხრით იდგა ჭმარი და რწმუნებით მეუბნებოდა,
რომ მარი ნამდვილად საგიუში დამწევდეულია, ნამდვილ გა-

ესად ცნობილია!...

«უკეტკელია, ეს უკელა რამდენიმე პირის მოსუიდვით შოუხერხებია პროფილს», კითუიჭრე მე და ხმა მაღლა დავუმატე: —თქვენი საქციელი მეტად მყარია, მეტად კელური... მე მაგას კერ მოვითმენ..., მთელს ქვეყანას შევსძრავ, შევატეობინებ სადაც საჭირო არის და მარის გაწვათავისუფლებ...

— რას ამბობ? შეშინებით წამოიძახა პროფილმა.— ქვეუანს უნდა გააგებინო?.. მაშ შენ მარის მტერიცა უოფილხარ და ჩემიც.

ამ კაცის სახე ისევ საქციელოდ დაპარაკის და გამოაშვარავების შიშმა დაუმასინჯა... ისა კისრულობდა უოგელ სისაძალეს, ჩაიდენდა უოკელ აკაზაკობას, სთავსდებოდა მასთან, ღლონდაც არის ამაზედ ქვეუანს არ ელაპარაკა, ქვეუანს არა შეატეორ-რა!

ის მზათ იყო ათობით და ოცობით კაცი შეეწირა რომ მელიმე მოქმედების დასაფარად და ესევე მოქმედება ხელვე გაემეორებინა დამშვიდებულის რწმუნებით, რომ მისი სინიდისი წმინდაა, თუ მის საქციელზედ ქვეუანს არ ილაპარაკებდა.

— დიალ, მაგ შემთხვევაში, მე თქვენი მტერი გახლავართ, კუპასუსე მე.— და უოკელის ღლინის-ძიებით შეცდები გამოვაშვარავო თქვენი საქციელი...

ამ სიტუაციზედ გამოვბრუნდა და გამოსვლა მინდოდა, მაგრამ პროფილი წინ გადამიდგა და ხვეწით გამიმეორა:

— ადარც მარის სახელი გებრალება?

— მარის სასელი?.. ის დამნაშვე არ არის, უოკელი მისი საქციელი, შენი კიუტიობის და აკაზაკობის შედეგია...

— ვთქვათ, რომ ეგრეა, მაგრამ... მარიზედ სომ მაიც ილაპარაკებენ?

— დე ილაპა შაკოს, თუ მაგისთანა დამცირებულები იშვია-
ბიან!..

— მარიც ეგრე უურებს, ეგრე ესმის?

— ეგრე უნდა უუროს, ეგრე უნდა ესმოდეს.

— რომ არ უურებდეს?

— მით უარესი მისთვის... მაგრამ, მარი ცხოვრებაში საგ-
მარდ გამოიწადა, რომ ქვეუნის ლაპარაკეს უურადლება მიაჭ-
რიოს.

— ერთი-ორი დღე მოიჩადე... მე მივიღებ ჩემს ოკუპი-
ზოუნებას, წემთანკე დაბრუნებ და მაშინ...

— როგორ, მარი ისებ თქენთანგე უნდა დაბრუნდეს?.. თქენ-
გონება დაგიყარგავსთ!..

— აქ თავისუფლად და მოსვენებით იქნება.

— მოსვენებით იქნება?! გამაშტერა მისმა საუბარმა.— აქ, სა-
დაც უკელა ამცირებდა, ცხოვრებას ჯოვოსეთად უსდიდა. აშე
უშიორებდენ დაბრუნებას, რომ უკელი დღე, უკელი წუთი მო-
წამლათ იმისთვის. და ეს კაცი კი რაღაცა მოსვენებაზედ ლა-
პარაკობდა... არა ბატონო, მარი აღარ დაბრუნდება თქენთან. მე
მივდივარ და იმედი მაქვს განკათავისუფლო მარი, იმედი მაქვს
დავისსნა თქენის სელიდგან და იმედი მაქვს; თქენც ალარ მო-
იწადინებთ მის დაბრუნებას... ამ დორს კარებში გამოჩნდა,
სოფიო, რომელსაც თმა ასწერდა და თვალები არედა. სა-
სეზედ ჩამოსაძენს ოფლს ჩამოერეცხა უმარილი და უსიამოვ-
ნოდ ზოლ-ზოლად დაესაზა მისი ჩაუვითლებული დოუები. ის
მოდეადა კანკალებდა სიანხსლისგან, ეტყობოდა უკანასკნელი
სიტყვები მის სმენასაც მისწდომოდა.

ის იდგა გაასპიტებული, გააფთრებული და ისე მიუუ-
რებდა, თითქოს თვალებით ჩაულაპვას მიპირებდა.

— ჩენო დამზუბაო! მკაფიად მომიბრუნდა. — ვინ მოგცა აქ შემღებელის ნება?

მე შესედე სოფიას და იქამდის დამცირებულად მეჩენა, რომ პასუხის ღირსადაც-კი არ გავხსდე. მე ისევ პროფილს მივმართე, რადგანაც მინდოდა, უბრალო ლაპარაკის და აქეთით წევეტების მაგიერ, მართს განთავისუფლება უფრო მშვიდობიანად მომესერხებინა.

— ბატონო პროფილ!... გირჩევთ ესლავ წამოსკიდეთ და მართ საავად-მყოფოდგან გაუანთავისუფლოთ... გირჩევთ, რადგანაც ამით შეგიძლიანთ თავიდგან აიცდინოთ უბრალო ეაუანი და ლაპარაკი, რომელიც თქვენ ისე გაშინებსთ.

— ჩემს მმას ეჩ არ შეუძლიან. — ჭრეგულად დაიკივლა სოფომ. — მაგას თუ ის დაფი, რომელიც მართ თავზედ დაგვასხა, არაირად მიაჩნია, მეც შემეხება მაგათი საჭმე, მე არ მივცემ მაგის ნებას!...

— თქვენ? მივუბრუნდი სოფიას. — რომელის უფლებით ლაპარაკობთ მაგას?...

— როგორ თუ რომელის უფლებით? შემომიტია იმან და სიბრძნით დაუშატა:

— პორტიონის თავისი თავი თითონ ეკუთვნის. მაგან თუნდა თავი მოიკლას, როდესაც საჭმე პირალად მაგას შეეხება, მაგრამ, როდესაც მაგისი საჭცეული მთელს ნათესაობდას, გვარულობის ლაქასა სდებს, მაშინ არ მივცემ ნებას, არა... არ მივცემ მეოქი, თუნდა მაგისთვის თავის გადადება მომინდეს.

— მართს არ უუკარდა პროფილ და ძალად შეირთო, მართს არ უნდოდა ქმართან ცხოვრება და ძალად იჭერდით... იჭერდით, უოველს სიმცირესაც-კი აუკებდით... თქვენ გინდოდათ ის იმ სასლში დაგრძოლებინათ, სადაც უკლანი მტრად ჩამო-

ჭედებოდით, სიცოცხლე ჭოჭოსეთად გადაგმურიათ და ორ-
დესაც ამან მოხწადინა ძალით იმის მოშორება, რაზედაც უფ-
ლება უნდა ჰქონდა და ნებით არ აძლევდათ... ორდესაც
ძალით ასრულა თავისი განტრახეა, თქვენ ამას ფაფის და-
სხმას ეძახით, გრძინიანთ საქაუნდად გამოაშვარავებისა?.. თქვე-
ნი საქციელი?... თქვენს საქციელს, ზნეობით სავსე ქალბატო-
ნო, კვარეულობის სახელის დამცემლო!... თქვენს საქციელს.
რაღა დავარჩეათ? თქვენს საქციელს, ოომელიც გეელობით და
ზოროტებით სავსე იუო და სავსე არის... თქვენ, ოომელიც
მარის ცხოვრებაში წერ-წერთობით ასხავდით საწამლავს, ოო-
მელიც ღლითი-ღლე მოზრუბულის და გამუდმებულის საქციე-
ლით ამ შედეგამდის მიუვანეთ?... მიბანეო, რა დაუძახო თქვენს
საქციელს?...

— ვინ მოგცათ ეგ ნება... დაიწყო სოფიომ, მაგრამ მევე
გავაწევეტინე, რადგანაც მისო მოქმედება გულზედ ბოლმასავით
მაწებოდა და ესლა-კი შემთხვევა მეძლეოდა უბელაფერი გამო-
მეთქვა.

— თქვენ ჩაიგდეთ სელში თქვენი უსასიათო ძმა, თქვენ გა-
იგეთ მისი სისუსტე, შეიბყარით, დაიმორჩილეთ და თქვენი
სურვილის იარაღად გასადეთ, თქვენის წადილის სათამაშოდ
გადამცირეთ... და რა ამოირჩიეთ დროს გასატარებლად?...
— უბელური ქალის წეალება, ოომელისაც დამუკიდებულის სინი-
დისით სისხლსა სწორებით, სიცოცხლეს უმწარებლით....

— გამიგონე... სოფიო წამოდგა წინ და სელი მოსავიდებ-
ლად გამოიშვირა.

— გამეცალე! დაკუუირე მე, რადგანაც მისი მოვარებაც გა-
მეონა გამაჭუჭიანებდა, ცხელ რეინასავით დამწევდა.— გამე-
ცალე! გაკუმეორე მე და დაკუმატე:— ეხლა უპელაფერი გითხა-

როთ, უკელაფერი, რაც ეს გულს მოსვენებას არ აძლევდა. ეხ-
ლა თქვენთან გავთავე და მე ვიცი, როგორც მოვიქცევა...

მე გამოვიწუნდი და ჩემს სმენამდის მოაფრია პროფესიის
შეშინებულმა ხმამ:

— სოფიო, რა ჰქენ?!.. დააბრუნე თუ ღმერთი გწამს, და-
აბრუნე!..

— გაჩემდი! გააწყისტინა სოფიომ და დაუმატა: — მისანდეს
და რაც გაარიგოს!..

«მ სიტყვებზედ კარი მივიხურე და თუმცა კელაც გაი-
გონე, და-მმას შორის რა მოხდა, მაგრამ წარმოდგენილი კი
ისე მჭონდა, რომ პროფესიის მთელი წამია უნდა გამოეარა.

თავი IX

გამოსვლის უმაღ შე გაუჭინდა იმ საავათ მუოფოსებნ, სა-
ზაც კარგად მუოფი ადამიანი გიქებთან ერთად დაემწევდიათ.
ზირკელსავე მისვლაზედ, საავად-მუოფოს მოსამსახურემ კარი გა-
მიღო და ღიმილით მითხოდა:

— თქვენს მოწეალებას. უპერა, ავად-მუოფის ნახევა უნ-
და?.. დაიგვიანეთ, ძალიან დაიგვიანეთ. დაუმატა იმანვე.

— ვინ არის აქ უფროსი, ვის აბარია ეს საავად-მუოფო?
გვითხე მე.

— უფროსი?.. გაიმეორა იმან ჩემი კითხვა, მოიშემა თავი
და დაუმატა: — უფროსი, ბარონ ზ...იცა...

ის ლაპარაკობდა წენარად, არა ჩქარობდა და მე კი აღარ
მიუურებდა, მე, რომელიც ამბის ჩქარა შეტყობის სურვილით,
ვინთებოდი.

— მაში წამიუჯანე იმასთან. მოუთმენელად წარმოვსთჭერა.

— იმასთან?.. იმასთან არ იქნება... იმიტომ რომ აისინია ქალაქში დგანან...

მე მაჯავრებდა ამ კაცის გაუგებრობა. საავათ-მულოვა ისე თავ-დანებულებროვნებული როგორ იქნებოდა, რომ ერთ-ერთი უქიმი მოუშორებულად იქ არ ყოფილიყო.

— აისინია განა აქვეძის აქ იქნებან? ლიმილით გააგძელა იმან და ამისენა: — ისინი განა პატარა ვინმე ბძანდებიან, ღუნერალია.. უმთავრესი ექიმია, ესე იგი, ნაჩალნიკი.

— მაში, აქ ექიმი არავინ არის?

— არის, მაგრამ, ეს არის ეხლა გავიდა აქ, ახლოს, ხაც-ნობები ჰყავს და იქ ქადალდის სათამაშოდ დაჭპატიუეს.

— ავათ-მულოვებისთვის თავი როგორ დაუნებებია? წარმოვსთჭერა მე. — იქნება ექიმები რა წუთში დასჭირდეთ?

— აქ რა ავათ-მულოვებია?.. მოჰყენა ისევ მოსამსახურე. — სულ გიუები არიან, ეგენი ადამიანებათაც კი აღარ ჩაითვლებიან... მაგათა ავათ-მულოვობა აშენაა, ექიმი რად უნდათ?.. თუ ვინმე გაჰილვეულდება, ურჩისას დაიწებს, გადაეცემო გიუის პურანებს, დავასხემო ცივს წეალს და ამითა გათავდება.

მე თვალ-წინ წარმომიდგა უბედური ავათ-მულოვების მდგრამაცემა და მათ შორის მარი, ამ უგულო მხეცების ხელში, რომელთაც მათზედ ზორუნვა მინდობილი ჰქონდათ. სწორედ გიაუდებოდი.

— დაუძიხე ექიმს, ჩქარა, საჭიროა.

— მე არ შემიძლიან. გადაწყვეტით მიპასუსა იმან.

— უნ არა სთჭერი, ექიმი აქე ახლოს არისო, უკუნდება ის გიმმანებდა, თუ საჭირო შევიქენ, დამიძახუ.

— დააღ, მაგრამ მე გარებს პერ მოვშორდები, რადგანაც,

დამიწურ იმან განმარტება, შეიძლება ოთმელიმე გაყია..

— მაშ სხვა ვინმე გაგზავნე. გავაწყეტინე მე.—ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, საჭირო საჭმე მაჭეს.

— აბა ესლა ვინ გავგზავნო?.. აგერ ათი საათი სრულდება. მოსამსახურებს სძინავთ.

— მაშ რა ვქნა, მითხარ მაინჯ, ოთმელს სახლშია, ვის-თან.

— აი ეგ შეიძლება... აშე გახლავთ, ჰირ-და-ჰირ. გაბრუნდებით მარჯვნივ, გასცდებით ერთს ჭუჩას, მეორეს... მესამეს და მე-ოთხეზედ მარცხნივ... მაგრამ არა, მოითმინეთ, ამერა...

— თუ ღმერთი გწამს!. შენ ნამდვილათ არა გროვნია... გააღვიძე ვინმე, დაუძახე, ფულს ვაჩუქებ.

— წასვლა ვი შეიძლება, მიპასუხა იმან, რა ვი ფულის სსენება გაიგონა,—რატომ, წავალ, წავალ, მაგრამ აქ ვიღა დადგება?

ამ კითხვაზედ შემოეღო კარები და თახაში შემოვიდა უქიმი. ის ცოტა გადაკრულსა ჰკვანდა, რადგანაც რაცირაცებდა და ჰირიდგან არყის სუნი ამისდიოდა.

შემოსკლის უმაღ იმან შემომსედა და მკაცრადა მკითხა:

— რა გინდათ?

— ერთი ავად-მყოფი მოიყვანეს, ჩემი ნათესავია და იმის სახვა მინდა...

— ამ შეა დამისას? შემომსედა იმან.—განა არ იცით, რომ ამ დროს ვიზიტები აღვრმადულია?

— ჩემი შემთხვევა ჩვეულებრივი ვი არ არის!.. თქვენ არ შეიძლება, რომ უარი მითხრათ.. მხოლოდ ნება მიბოძეთ შეგატეულბინოთ...

— მაშ ჩემს რთასში მოძინდით. გამიძლვა წინ და ჩენ შე-

კედით ერთს პატარა თთახში, სადაც მოზრდილი დამშვას საკმაოდ ანათებდა.

მე წარმომიდგა თვალ-წინ დამაზი, უძაწვილი სახე, რომელიც რაღაცა უცნაურს საზებს დაქცერა და სრულის აპატიის ბეჭედი დასკა.

— ვინა ბძნდებით. შესკლის უმაღ მკითხა მასპინძელმა.

მე დაკუსახელე ვინც ვიყავ.

ამ სიტყვებზედ ის თითქოს მოცოცხლდა, ერთს წერთს ჩაფიქრდა და შემდეგ ხელების გამოშვერით წამოიძახა:

— ლევან, ნუ თუ შენა ხარ?

მეც დაკავერდი და მომაგრენდა ერთი ჩემი ამხანაგთაგანი, რომელიც სწორეთ უნიკერსიტეტში იმ წელიწადს ათავებდა კურს, როდესაც მე შეკვდიოდი. ერთმა შემთხვევამ ჩვენ მაშინ დაგვამეგობრა, მაგრამ შემდეგში ხანმა დაგვაშორა და თითქმის სრულიად გადაგვავიწყა ერთმანერთი.

წარმოიდგინეთ, რა რიგად გამისარდებოდა იმისი ნახევა, გამისარდებოდა მით უფრო, რომ ვიქტორ, ასე ეძახდენ იმ ექიმს, იყო პატიოსანი და საიმედო კაცი.

პირკელისავე მისალმების შემდეგ მე დაწერილებით კუამბე მარის თავს-გადასცალდ და ვიქტორმა სრულის თანაგრძნობით მიიღო ნაამბობი.

იმან შემატეობინა, რომ სება არა ჰქონდა მარი ჩემთვის ეჩვენებინა, მაგრამ ეს ისეთი მდგრადი იყო, რომ ამ შემთხვევაში კანონს კერ დაემორჩილებოდა, თუნდა იქნება ანძალ-ზედ ჩამოუკიდნათ. მიამზო, რომ დღეს საავათ-მუოფოში უოფნა იმის რიგი უოფილიყო, იმას მიეღო მარი, რომელიც სხვა გიყებთან ერთად დაემწევდიათ, მაგრამ უბედურის ქალის ხელშის თვის გელარ გაეძლო და ცალკე რთახში გადაეცანა.

ჩემ გავწიეთ ზეკოთ ბალატებში და მიგედით იმ ოთახის კარებთან, სადაც მარი იყო.

უოცელ ფეხის გადადგმაზედ, უოცელ მიახლოებაზედ რაღაცა გვარს სისარულს და მასთანვე მტანჯავს სიამოვნებასა კრონობდი. გულს ფართხალი გაჭქონდა, თითქოს ციება მორული კძაგმაგებდა, კრიფა შეკრულსავით კბილები ძალზედ მომეტირა და ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა.

მარისთან ხელასლად შეურის ბედნიერება ისე ასლო იყო და მე კი ისე უბედური, ისე განდევნილი ბედისაგან, რომ თვით ამ ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა, ჩემს მოღალატედ არ გარდაქცეულიყო, მოახლოებული ბედნიერება არ გაეყოხო და ნერიარება საუკუნოდ არ დამეკრიგა.

კარებთან ვიქტორია შესდგა და მითხოა:

— აი ოთახი, და მე კი თავს დაგანებებ. დილამდის აქ იყავ და ხეალ ჩვენს უფროს შევატუობინებ ამ საჭმეს... თუ ვინაციაა მარის განთავისუფლება აქედგან კერ მოსერსდა, მაშინ სხვა გზა ვნახოთ.

ამ სიტყვებზედ ის გაბრუნდა და, რამდენადაც მისი ფეხის ხმა წენარდებოდა, იმდენად მე გული მიცემდა.

კარები, მარტო კარები-ლა მაშორებდა მარის! ეს ცოტა ბედნიერება არ იყო, მაგრამ წალმოიდგინებ იმ წუთებში, რა გაუბედავი შეგიძლი, რამდენჯერმე კარის გასაღებად მიტანილი ხელი ჩამომივარდა, რამდენჯერ ხელი მოვკიდე თითონ კლიტეს და გული ჩამჩიჩისებდა მსოფლოდ ერთსელ გადამუტრიალებინა, ცოტა გადამეწია, მაგრამ დაღუნებული და თვით მოქმედებას მოკლებული ძარღვები გაუნძრევლად რჩებოდა. გული კი ფართხალებდა და ძალზედ დაგა-დუგი გაჭქონდა.

ბოლოს, როგორც იყო გამზედე და ძალა დავატანე ჩემს

თავს. გაელო ქარი და თვალ-წინ წარმოშიდგა მარ!... მარ, რომელიც თეთრს თავისუფალს ტანისამოსში, გაშლილის სში-ოს ომებით, სახეერად მიწოდილი საგებელზედ და ოკრ-მკრთა-ლი, ანგელოზს ემზგასებოდა!..

მე დავიძენ, წავიარდაცდი და რაოდენსამე ხანს თვალებ დაბნელებული ვიდეს.

როდესაც კონს მოგედ, ჯერ კიდევ კარებს არ გაცცდენოდი და მარი კი წამომდგარიყო, დაჭურდომოდა სტოლს და გაშტერებული შემომუტებდა.

— ლევან! წენარად, თუმცა მღელგარებით წარმოსიჭვა იმან. — თქვენა ხართ?.. ცხადია?..

— მარ! მეტი კელარა მოვახერხე-რა და გავჭანდი, რომ გულ-ში ჩამევრა.

ლმერთო, აა იგრძნო ჩემმა გულმა მარისთან მიახლოვებაზე?.. რა მტანჯავა, მოუსვენარი და აღმაშვილთებული სი-ტეროება!.. მე პესეოლდი, კტიროდი, გიცინოდი... გრომნობდი ცეცხლს, რომელიც ძარღვებში, გულში, მთელს სხეულში დარბოდა, კვრმნობდი მის სიმსურვალეს, სიცხეს და ძალას, მაგრამ ამასთანავე რაღაცა უმაღლეს, ციურს ბედნიერებას, სიამ-უს!.. მარ სელში მეტოთა, ის მევეროდა მკრდზედ, დამმორჩილებოდა და სწორეთ ამითი გვრმნობდი ჩემს თავს მეივეთ, ჰეუნის უფლებად!.. იმ წუთებში ისეთი ძალა მომეცა, გეივსვა, ლომს რომ შეკუროდი, სელ-და-სელ შეგებმებოდი და, უკრძალა, გამარჯვება მე დამრჩებოდა!.. ასე აპატიონსნებს, აამაუებს, ასეთს რწმუნებას აძლევს თურმე კაცს წმინდა უებრო სიუეარული! მარის მე გუერადი, — ჰეუანა ჩალად მიმანდა. ვის რას შეკეშოებოდი?! მთელს ჰეუანს, კოჯორს, ზეცას საბრძოლ-შელად გამოვიწიგდი...

არ ვიცი, ოთვის დიდ-ხასს გაგრძელდა ეს მდგრამარეობა, ოთვესაც მართ ჰირველი მოვიდა გონს, ჰირველი გამეშვებინა, და ჰირველმა დაწყო.

— კმარა ლევან! სულარა მტანჯავ. . . შენ სომ არ გიყვარებარ და რაღად მამცირება?

— მართ! რას მეუბნები? გატაცებით კუპასუსე. — თუ შენ არ მიუვარხარ, თუ შენი დამცირება მინდა, მაშ რაღა მიუვარს, ვარას ამაღლებას კისურვებ?

— ვისაც წიგნებისა სწერდი, ვის წინაშეც ჩემს გულ-წრთველს სიყვარულს მასხარად სდიდი. ოსთვის მომექეც ეგრე, არ დაგიშავე?

ჰირველში არ მესმოდა, მართ რას ამბობდა, მაგრამ მაშინებელი მომავრნდა მარის წერილი, ომელიც წინა-დღით მომივიდა და უკეთაფერი ამკარა მეიქნა. სოფიოს და პროფილისგან შედგენილმა წიგნებმა, კინაღამ მე და მართ საუკუნოდ დაგრაშორეს.

შეკარებულს გულს მალე სჯერა საუკარლის სიტყვა, მას უცოდველად და წმინდათ სედაგს. მე და მარისაც დიდ სახ-პარაკი არ მოგვიხდა, ოომ ერთმანერთი დაგენწმუნებინა ჩვენს სიმართლეში. ესევე გვსურდა ორთავეს და აღმრთული იყიქრების გაქარვებას ეს უივრო მეტად შეელოდა

ორთავემ სისარულით გავიგეთ, სისარულით დაკრწმუნდით, ოომ ჩვენი სიყვარული წმიდა და ჰატიოსანი უოფილ-ოეო.

— მაშ გიყვარებარ, გიყვარებარ? მეუბნებოდა მართ და მეხვეოდა, ოომ მოალერსებით გამაძლარიყო თითონ და მეც გავეძლე. უოკელ მოსკევნაზედ, მისი რიცილი, კუპრსაკით შეავი თმა ეფინებოდა ჩემს სახეს. უოკელი ბეწვი ცალკედ და უბელა ერთად

ნაზად მიციგლიგებდა, სასიამოვნოდ მიღუტიგნებდა და მთელს
სამოთხეს გადმიშლიდა.

თავი X

შირებული ალექსის შემდეგ მარიმ მიამზო თავისი თავ-გა-
დასავალი, ორმეტყვაც აქვე გადმოგცემთ. «როდესაც» დაიწყო
მარიმ, «შენის დაცწრებით მე და ჩემ ქმარს შეა ის უსიამოვ-
ნო ლაპარაკი მოხდა და პროვინიმა გთხოვათ, რომ მარტონი
დაგეტოვებინეთ, კარგა სიჩუმის შემდეგ, იმან დაიწყო:

— მაშ არ იშლი და მაგ მასხარას ლაპარაკს აჟყოლიხარ?

— მე არავის ლაპარაკს არ ავჭერლიგარ. გუპასუხე მე და
დავუმარი: — მე წინადევ არ მინდოდა შენ მოგოთხოვებოდი,
მაგრამ კურ მოვახერხე... ეხლა-კი გადავწერი, უკერძლად თა-
ვი დაგანებო.

— მერე ცხოვრებას რითი აპირებ? მეითხა იმან და დამა-
ცერდა. — ეს ხომ იცი, რომ შენი სამშობლო არავითარს სა-
ვანეს არ მოგცემს?

მე კუპასუხე, რომ რუსეთში წაგიდოდი, საქმეს გავა-
ჩენდი რასმეს და ცხოვრებისთვის მოკემზადებოდი.

— ეგ სულ იმ ბიჭიშუჭების ლაპარაკა, ორმეტყვაც რადაცა
ამაღლებულს აზრებს ეფურებიან და საქმით-კი მხოლოდ იმასა
ცდილობენ, რომ ლამაზი ქალები გვერდით იუოლიონ.

— თუ თქვენ თთხმოცის წლის ბებერი მაგაცვე ცდილობთ
და საძრახისად არ მიგაჩნიათ, მაგისთვის უმაწვილ-კაცს რალა-
თა ჭირდესავთ? გაჯავრებით მიკურებ და დავუმარი: — იმათთან
ცხოვრება არა სჭობს?... კაცი სასიამოვნო სახეს მაინც უუკ-
რებს!

ამ სიტყვებზედ პროფესია აენთო და ჩემი შესუხიც
სწორედ იმის გასაჯავობელად იურ ნათებამი... იქნება გამა-
მტეუნო ამ გვარ ჭრებისთვის, მაგრამ რა მექნა, როდესაც ჩემ-
სავე უნებურად მისი წევნა მწყუროდა, მისი შეურაცხ-უოფა
მისიამოგებდა.

— მაშ, იქნება მართლა გგონია, რომ ლევანის უუკარხათ?
დაიწყო პროფესია და ავაზაკურის, ბოროტის თვალით და-
მიწყო ცემრა.

— ეგ სულ ერთია ჩემთვის: კუპასუხე მე და დაკუმატე: —
იმას თუ არ უუკარვაო, სხვა შემიუგარებს და ეს სხვა, ვინც
უნდა იყოს, შენზედ უძეოესი ხომ იქნება!

ამ სიტყვებმა სოულიად გააბრაზეს პროფესი და გაანხს-
ლებით დაიძახა:

— იქნება შენა გგონია, რომ გეხუმრები?... აქა, წაიკითხე.
ამოიღო რაღაცა ქაღალდით და გადმომიგდო.

მე ავიღე ეს ქაღალდი, დავხედე და თვალებისა არა
მჯეროდა... ეს იურ სწორედ ის წერილი, რომელიც შენს მა-
გირ შეედგინათ, რომელშიაც ისე მასხარად მიგდებდი, ისე
მამცირებდი და შეუბრალებულად ფეხ-ჭვეშ სთელავდი ჩემს გრძნო-
ბას.

კარგად იურ მოსაზრებული ეს წერილი. მართლადაც
ისე კერა მომტესდა-რა, როგორც შენდამი დწმუნების შერეუ-
ბა... ჩემს თავს უღონოდ, დამცირებულად და მასხარად გახ-
დიდს ვხედავდი... მერე ვისგან?... ვინც მთელს შეუანას მერ-
ჩია, მთელს ჩემს სიცოცხლეს შეადგენდა, ვინც მაკავშირებდა
ამ სოფელს, და სიცოცხლეს შესაძლებელად მიხდიდა!...

როდესაც პროფესი ან სოფია ჩემს დამცირებას ცდი-
ლობდენ, ამას გადევ ვიტანდი, რაღგნაც მე თავადაც ამითვე

კუპასუხებდი, ამ გვარადებე კუჭულებდი, მაგრამ წარმოიდგინე, ამ გვარი საქციელი მეტობრისგან, როგორ უნდა მიმეღო?

ამ წერილზედ თავს ბრუ დამესვა და იმავ ადგილს, უსიტყვოდ, გაუნძრევლად ჩავიკეცე, ცრემლები მახსხობდა, რადგანაც გაცხელებული თვალები იქამდის გამიხურდა, რომ მომდგარს ნამს მსაწრავად ამორბდა და უკუ აგდებდა.

ბოლოს პროფირ მოვიდა, მომენდა სელი და წენარედ მკიოსა:

— ახლა რაღას იტუვი?

— არ კიცი. იმედ-გადაწყვეტილ და დაიგანტერი კუპასუხეა. ან სხვა რა უნდა მეპასუხხა?

— გვერა კიდე ლევანის სიუკარული?

ამ სიტყვებმა, შენმა სახელმა, სიუკარულის გახსენებამ გული რაოდენადმე მოალბო; გადმომცარდა მწვავი, მდუღარე წერთი, მას მოჰყევა მეორე, მესამე და გზა გასისნილი ცრემლი. მოსწყდა შეუწევეტელ ნაკადულად. მე პტიორდი, ვტიორდი გაუწევეტლივ, მოუსკუნრად და მთლად წოროდი ამ ტიორლის დროს.

— რას მეტუვი? წენარადებე გაიმეორა პროფირმა: — ამის შემდეგ ლევანის ნახვას კიდევ ისურვებ?

— არ კიცი... დამესენ, მომშორდი, ოლოხდაც კი მომ-შორდი და რაც გინდა ჰქენ! კუპასუხე გულ-დაწყვეტილმა და-იმედ-დაკარგულმა. მარტოდ დარჩენა მეჭირებოდა, რომ მარტოდ მიკცემოდი ჩემს გლოვას და მწუხარებას.

— იმ კაცმა შენ დაგამცირა. ცოტა სიჩემის შემდეგ და-იწყო ფროფირმა. — მე მოგაშორებ იმას.

მეტად შეწუხებული კიუკა, მეტად დიდი კარემი მაწვე-

გულტედ, ოომ მაშინ პროფილის სიტუაციის მნიშვნელობა მომჯორა.

— წადი, წადი! რაც გინდა ჭმენ გუპასუხე იმას და იმანაც აღარ გამამეორებინა ეს სიტუაცია.

პროფილ საჩქაროდ გავიდა და მე მარტილ დავრჩი, დავრდომილი, იმედ-გადაწყვეტილი... უკელაფერს ავიტანდი, უკელაფერს გაკუმლებდი, მაგრამ შენგან მასსარად ავდება მუტად თავ-ზარ დამცემი იუო.

პირკელი აზრი, ოომელიც თავში მომივიდა, იუო, ოომ თავი მომეკლა, ოადგანაც უშენოდ სიცოცხლე არ მესმოდა, მაგრამ, უოდესაც ჩემს მდგომარეობას დავაკვირდი, დავრწმუნდი, ოომ ბრძოლა კიდევ შესაძლებელი ხდებოდა და გადაწყვიტე, განმეგრძო, განმეგრძო უკანასკნელ საშუალებამდე.

მე მინდოდა ბრძოლა გამეწია უკელასთვის, ვინც-კი ჩემს კაცობრიულს უფლებას ფეხით გადალასვას ეჭადდა, დარწმუნებული კიუავ, ოომ თუ აქ ამ ზნეობით აღქურებილი სალსი გარს მესვა, ქვეუანაზედ სსეა სალსიც იპოვებოდა, ისეოთ სალსი, სადაც სიძართლეს მკვიდრი ნიდაგი ეჭნებოდა და გადაწყვიტე მეპოვნა ეს სალსი.

გარგა ფიქრის მემდებ, ისეი შენ წარმომიდებ თვალწის და პირკელი სიტუაციი იუო საუკედური იმ საქციელისთვის, ოომელისაც პროფილისავან მოტანილი წიგნი მიაშეარავებდა, მაგრამ მალე აზრი შევიცვალე და გუნებაში ეჭვმა გამირბინა. მე ვიძსდი: იქნება ტუებილია, იქნება ის წერილი ჩემი ქმრისაგან არის შედგენილია; ჩესრა ეს ეჭვირ განჭირა და მისი ადგილი დაისირა რწმუნებამ, ოომ შენ ეგრე მკაფრიად კურ მოიჭრებოდი, მაგისთანა უკაცუოს საჭმეს კურ ჩაიდენდი.

ეს იუო გონების ნაწარმოები თუ გულისა, გადაწყვიტით

კურ გატევი, მაგრამ მათგან რომლისაც უნდა უოფილიყო, გა-
სამარჯვებლად დიდი ბრძოლა არ დასჭირებია.

ასე იქნებოდა თუ ისე,, მომატუებდა ჩემი გრძელია,
თუ არა, ეგ საქმის მიმღინარეობისთვის სულ ერთი იურ, რად-
განაც მე კულარა მახერებდა-რა. გადავწევიტე, რომ უნდა გავნ-
თავისუფლებულიყავ და ამას მიმდართე მთელი გონება.

იქნება პროფილ რომ ცოტა მეტ ღირსების მქონებელი
უოფილიყო, ცოტაოდნად კაცის პატივის-ცემის დამსახურება
შესძლებოდა, ჩემის თავისთვის დამეტანა ძალა, გულის მოძრა-
ობა გულშივე ჩამეკლა და ჩემს უბედურებას დაკმორჩილებულ-
იყავ, მაგრამ როდესაც ჩემს უღონობას აშკარად დასციხოდენ,
ჩემის გულის მოძრაობას განგებ ფეს-ჭეშ ღამისავდენ და მაგას-
თან ისე, რომ უკეცელად თავიანთის მოქმედებისთვის ჩემი
უერადღება მიეჭრათ, უფრო მეტად და მეტად მაბრაზებდენ,
მეტის სურვილით მინდებოდა წინა-აღვსდებიუავ.

სოფიო ისე არ გაივლიდა ჩემს წინ, რომ მასხარად
ამგდები, დასამწირებელი ღიმილი არ გამოჰსატოდა პირის-სა-
ხეზედ; ისე სმას არ გამცემდა, რომ თავის უპირატესობა არ
შემჩნევინა ჩემთვის, ისე სმას არ ამოიღებდა, რომ მწვავად,
გესლიანად არ ესხვლიტა!.. უოკელი იმისი სიტუა, უოკელი
იმისი დაპარაკი, უოკელი იმისი საქციელი ჩემ შესახებ იურ,
ვითომც ზნეობით ამაღლებულისა, უჩირქო უოფაშცევის ადა-
მიანისა სულითა და ხორცით დაცემულისადმი!..

მე კსედავდი უკელა ამას და არც თითონ ის ცდილობ-
და დაემალა ჩემთან, კვრმნოდი, რომ მე იმაზედ ბეკრით, ძა-
ლიან ბეკრით მაღლა ვიდექ და უნდა ამეტანა მისი საქციელი,
რადგანაც მომსაქ, თანამგრძნობელი არა მუკანდა.

სოიუიო, მართალია, უწინაც ამაზედ უკეთ არ მეჭრეოდა,

მაგრამ მაშინ ჩემი საკუთარი თავახი მქონდა, განმარტობა
მაინც შემეტლო, მაგრამ ეხლა თახსიც-კი წამართვეს!

სადაც ოდესმე ისე მიყვარდა სიძარტოვები, ოცნება, მო-
სკენება, სადაც შემოსვლა გერავის შეძლო, იქ ეხლა სოფიო
თავისუფლად შემომეტებოდა და მთელი დღების, განმავალო-
ბაში არ მასვენებდა.

თითონ პოლიტიკიც-კი იქამდის გამოიცვალა, რომ უო-
კელი ჰატივის-ცემა ჩემდამი დაჭვარება და ისე მეტყობილდა,
როგორც უფალი თავის მონას.

უფელ ნაბიჯზედ მატყობინებდა, რომ ის ბატონია ჩე-
მი, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე, მოსკენება, ამოსუნთქვაც კი,
იმაზედ არის დამკაიდებული და მაგასთან ისე მკაცრად, ისე
უზრდელად, რომ კაცს ერთი-ორად მომეტებულად აგრძნობი-
ნებდა, ერთი-ორად მომეტებულად გულს უხეთქავდა.

ასე მიდიოდა ჩემი ცხოვრება რაოდენსამე ხანს და, ისეც
თავ-მოძეზოებულს, თან-და-თან უფრო მიმნელდებოდა ცხოვრე-
ბა, მიგუბდებოდა სული.»

თავი XI

«ერთს სალამის სოფიო შემოვიდა ჩემს თახში, წამო-
წვა ჩემს ლოგინზედ და მკაცრად დაიწყო:

«— ასლა, როდემდის უნდა აწყალო ჩემი ძმა?»

მე შეკედე იმას და ეს სიტყვები იქამდის საძაგლად
შეჩენენ, რომ გაჭავრებაც კი ერ მოგახერხე და წენარად ვუ-
შასუქ:

— ეგ კითხვა მე უნდა მომეცა, მსოლოდ შენი ძმის ად-

გილს ჩემი თავი უნდა მეგულისსმნა და შენვე მკითხავ?..

— კმარა სისულელე! მკაცრად გამაწყვეტინა იმან და ამ სიტყვების მოღად ამანთო და უკანასკნელი მოთმინება დამაკარგინია.

გონება არეული მოღად კრასცასებდი და ანგარიშ მიუცემლად მივარდი სოფიას, ომელიც ჩემს მიახლოვებაზედ ფუძეზე წამოვაზრდა და გაფითოდა.

— როგორ მიბეჭავ მაგ ლაპირავს, ურცხო, უსირცხვის ლოგ! და მეტი კეღარა მოგასერხე-რა.

უპტელია, საშინელი სასე მედო, აადგანაც სოფიომაც გეღარა გაბედა-რა და მსოფლოდ აადგასაც ბუტბუტებდა.

— გადი, გაეთორი აქედგან! დაკუუკინე და წარმოიდგინეთ ჩემი გავარიცვება, როდესაც სოფიომ წენარად თავი მოიხარა და ტუსტუსით გავიდა.

მე ჯერ გადავ გმიღელვასებდი და გული კერ შომებ-რუსებინა, როდესაც ისევ გარები გაეფა და ჩემდა გასაკვირვე-ლად ისევ სოფიომ შემოყო თავი და ისე შემოვიდა თითქას არა მომსდარიულა-რა.

— მე თქვენ აღირებასლეთ ჩემს ოთახში შემოსელა, რა-ლად მოდისარო?

— ძალიან ბატოსობაა, თქვენმა მზემ! მიპასუსა იმან.—ჩე-მის ძმის სასლში შესკლას თუ გასწლას როგორ იღმიერდა-ლავ?

— თქვენი ძმის სასლში არც გიკრძალავთ, მაგრამ ჩემს ოთახში კი არ შემოგიშვებთ! გესმისთ თუ არა: არ შემოგი-შვებთ.

— აქ უკელა ოთახები ჩემი ძმისაა. წენარად გაიმეორა. იმან და მოიგეცა კუშეტაზედ.

მე მაშტეულებდა იმისი თავ-სედობა და ასე წეარა იმ ში-
შიდგან ამ გაამპარტავნებამდისინ მისვლა! უეპელია ზირკელის
შეკრთაობის შემდგებ იმან გადაწყვიტა, რომ უბრალოდ შეუშინდა
და მე სრულიად მოსარიდებული არ ვიყავ.

— ჩვენგან ერთ-ერთი უნდა გავიდეს ამ ოთასიდგან. გა-
დაწყვეტით კუთხავ მე და დავუშატე: — მე არა მსურს ოქენ-
თას ერთს ოთასში ერთსა.

— მაშ თქვენ მიბრძნდით, მიბრძნით სადაც გნებავსთ
და მე კი უნდა გამოგიტყდეთ, აქაც ძალიან გარებადა ვარ.
სოჭვა ესა და გასაჭროდა, რომ უფრო მოსკენებათ დამკადარ-
იყო.

უკანასკნელს თასსაც შართმებდენ, იქაც შემოტკრენ.
მეტი ღონე ალარ იყო უნდა დამჯობილ და იმასთვის გამოებრუნ-
დი, მაგრამ იმავ ადგილზედე გავჩერდი, რადგანაც გარებში
პროფირი გამოჩნდა.

— სად მოქანები, მკითხა იმას და დაბიწუო უურება.

— წარმოიდგინე, ოთასიდგან მაგდება! წამოიძახა სო-
ფიობ.

— როგორ თუ გაგდებს? შეიტყვესნა წარბეჭი პროფირმა.

— ასე იძახის, რომ ჩემი თასიალ!.. თითქოს თასსაც და
მთელი სასლიც შენი არ იყოს!

პროფირმა ამოითხოა და მოიბუზა. სოფიოს სმაზედ
დაატყო, რომ შევოთი უნდა აშლილიყო და ამ გვარი შევ-
თხსა კი მეტად ეშინოდა იმას:

— მარის როგორ შეუძლიან შენის სასლიდგან გამაგდოს?
დაიწყო ისევ სოფიომ, მაგრამ, რადგანაც პასუხი კერ მიღო,
ისევ იმანებ დაუშატა:

— არ ვესმის?... იქნება შენგანა აქვს ნაბრანები? მკაცრად და

გარკვევით წარმოასოჭვა სოფიაშ და ლოუები წითლად წამოუკვერდა: — არ გეხმის, შენ გელაპარაკები?

— აა ვქნა, სოფია!.. მე ოცირო გეტევი, ოცირო მიკუძო მაგის ნებას? საწყლად დაიწყო იმან და მომიბრუნდა:

— აა არის ქალი, ორმ ჩემს დას მოსუენებას არ აძლევ?..

მე პასუხი კერ მეპოვა, აადგანაც ისე უსამართლოდ მეჩვენა პროცედურას სიტყვები.

მე შეეხდე იმას, მსაუები აკიწიე და შეორუ ოთახში გამეღ.

პროცედურა მოსურა კარები და დამმამ ჩუმად დაპარაგი დაიწყეს. ეტეობოდათ, ოადაც არჩევაში იყვნენ. კარგა ხანმა გაიარა, სანამ კარები გაეღებოდა და საშუალება მომეცემოდა ჩემს ოთახში დავბრუნებულიერავ.

ორნივ გამოვიდენ, ოროაც ჩემს გვერდით გაიარეს. პროცედურის თავი ჭირნდა დასრილი და აძვარად ეტეობოდა, ორმ პირს მარიდებდა. ამის მაგიერ სოფიას თავი მაღლა ჭირნდა აწეული, სახე უბრწყინავდა და ოადაცა გამომწიბევი გამარჯვების გმართვილება დასთამაშებდა. რა კი მე გამისწორდა, შემომსედა, ტუნები როგორდაც აუთამაშდა, დაკრინება, თითქოს უნდა ეთქვა: ცოტაც დამაცადე და კიჩვენებო!

მე გავადებენ თვალი და უნებურად გავითვიქრე: «რა განუზრასაკათ, რომელის ახალ ბოროტებისთვის მაუმართავთ?»

მე დავთვიქრდი ამ საგანზედ და გადაწყვეტით წარმოგსთვი: — მაშ გგონია, ორმ გამარჯვება შენ დაგრჩება?.. ვნახოთ, უნახოთ, მართლა იმოდენი ღონე გაქცია, ორმ დამძღვო?

შევედი ჩემს ოთახში და ჩაცმული ჩავწეჭ ჩემს შეეშ-საგებში.

სანთლის შექმი მიშლიდა. მე მიუკარდა ბნელაში ღცნება
და ამისთვის სასთელი გავაჭრე.

კარგა ხსნს არ მეძისა და სიამოვნებით შევსცმელდა მიუკა-
რის შექმი, რომელიც გადებულის ფანჯრებიდგან ნაზს სხივე-
ამავე დაფარულია ჩვენთვის. მაგრამ თვით ფეტრი განხეთქი-

²⁹⁾ Ист. Русск. цер. Знаменского, стр. 393.

დებისა კი უქმებელი მოვლენაა. სადამდინ მიაღწია განხეთქი-
ლებამ და ან როთ გათავდა იგი, ჩვენ არ კიცით; შეგვიძლია
შხოლოდ მიგნებით ვსთქვათ, რომ მოწინააღმდეგეთ ბერი უსია-
მოგნება შეამთხვევს ვასუშტის და მის მომსრუთა; მაგრამ ვა-
სუშტის მომსრუნი, თუ არა უმრავლესნი, უქმებელია, უფრო
გავლენიანი მაინც იყვნენ, რადგან ამ რაზმს ეკუთვნოდა თვით
ბაქარი, გავლენიანი ჰირი გრაფი ოსტერმანი (როგორც ეს გა-
მოჩხდება შემდეგის გამოკვლევისაგან) და თვით რესის მთავრობას
(სინოდი, სენატი, კაბინეტი მინისტრებისა); რომლის ნება-
რთვით და დასმარებით სწორდებოდა და იძებელებოდა დაბადების
წიგნი, და რასაკვირველია, რომ მოწინააღმდეგები დამარცხდენ, მათ
ჰირი შეეკათ და დაბადების წიგნი დაიბეჭდა ისე, როგორც ხედაგ-
და საუმჯობესოდ ბაქარი, ვახუშტი და რესთა მთავრობა, რო-
მელთაც თანა უგრძენობდა არა უკველი სამღვდელოება. ჩვენ
კვირის კვლებით, რომ ეს მოწინააღმდეგეთ დამარცხება აქვს სახეში
ვასუშტისა, როდესაც იგი თუმცა არა გამოჩენით არამედ მიზა-
რულად და ურუდ სწერს: «გინება, გმობა, სიძულვილი, უმაღ-
ლობა, შერი შემოიყენეს წინააღმდეგესა, რომელ არს სიძურო-
ტე და ბოროტის მოქმედი მიიღებს თვითვე ბოროტსა, ვი-
თარცა მოწმობს თვითვე ესე (დაბადების) წიგნია.

თუმცა ვახუშტი არ ისსენიებს აცც სამებელსა და აცც
სხვა სწავლით და ღვაწლით ცნობილ სამღვდელო ჰირთა, რო-
მელთაც მიუღიათ შრომა დაბადების წიგნის გასწორებაში, მაგ-
რამ მას ცხადათ აქვს დასასელებული ვიღაც ანდრია ივანოვის
შეიღი, როგორც თანა შემწე მისი ამ საქმეში. ამ ჰირს ვახუშ-
ტი ისსენიებს ასე: «თანა შეწევნითა განმმართველისა საბეჭ-
დებელისა სამეფოსა ქალაქის მოსკოვის ზეჩინებულის ანდრია
იოანის ძისათა ხელვევაზე შრომად და შევასრულეთ...» ვინ

არის ეს ანდრია იოანეს შვილი, ორმელსაც ეგრეთი დიდი
ღვაწლი მიეწერება დაბადების გასწორების საქმეში? რუსეთში
მკოფ ქართველთ სამღვდელო ჰით საბო ჩვენ არ ვიცით
არც ერთი რამდენადმე შესანიშნავი გვამი ამ სახელით და გვა-
რთ; სჩანს მხოლოდ ერთი იპოდიაკონი, გასტანგთან გარდა-
სული რუსეთში 1725 წ., მოსსენებულის სახელით და გვა-
რთ (ანდრია იანოვი, ³⁰⁾ სამთავრის მიტროპოლიტის რო-
მინზის კრებაში), მაგრამ არ საიდამ სჩანს, რომ ეს დაბადე-
იურაოქიის წერი ეგრე განვითარებულიყო. მეცნიერებასა და განათ-
ლებაში, რომ მას შესძლებოდა მოსაწილეობა მიეღო ეგრეთ
მძიმე საქმეში და საეჭვოც არის, რომ იგი სამუდამოდ რუსეთ-
ში დარჩენილიყოს, რადგან მოსსენებული მიტროპოლიტი რო-
მინზი, რომლის კრებაშიც იგი ირიცხებოდა, დაბრუნდა საქარ-
თველოში. ამასთან მას კერ მიეწერება «განმმართველობა სა-
ბეჭდებელისა» (როგორც ვიცით ეს საქმე მიეწერება მსოლოდ
ბაქარის და სამებელს) და «სამუდამოსა ქალაქის მოსკოვის ზე-
ნინებულობა. » სჩანს, რომ ვასუმტს სახეში ჰყავს მაღალი ჰირი,
რომელიც ცნობილი ყოფილა მოსკოვში და გამოჩენილი სა-
ზოგადოთ რუსეთში. ჩვენის აზრით (რომელზედაც ჩვენ მტკი-
ცედ ვდგებართ) ეს არის ვამოჩენილი მოქმედი ჰირი იმ დროე-
ბისა და გავლენიანი გვამი რუსეთის მეფების ვარისა გრაფი
ანდრია იანეს ქე ასტრერმანი, რომელსაც განუსაზღვრელი გავ-
ლენა ჰქონდა იმპერატორიცა ანნა იოანოვნის დროს. ვასუმტი
მისთვის მიაწერს მას «საბეჭდებელისა განმმართველობასა», რომ
იგი მართლა იურ მთარეველი განათლებისა და სტამბის სელის
მომმართველი რუსეთში. მაგრამ უნებლივ იძალება კითხვა, რა

ღვაწლი ან შემწეობა შეეძლო მიეცა ოსტრერმანს ვახუშტისთვის ქართული დაბადების გასწორებაში, როდესაც მან არ იცოდა არც ქართული და არც ჭრილი მიღებული ღვთის მეტყველური განათლება და (როგორც მრავალნი მეისტორიენტი აღიარებენ). არ იდგა მკვიდრად თვით სარწმუნოებაზედ და ქრისტიანობაზედ ბევრს არ ზოუნვიდა.

ამ ვითხვის ასახსნელად საჭიროა გავიხსენოთ, რომ რუსეთში მულივი ქართველი სამღვდელოების კრების დადგენილობის მაღით დაბადება უნდა გასწორებულიყო სსკა-და-სსკა ენაზე დაწერილის დაბადების შემწეობით და მაშასადამე საჭირო იყო მოქმედობის ამ ენების ზედ-მიწევნით მცოდნე შირნი, რადგან საეჭვა, რომ რუსეთში მულივ ქართველთ შორის უავითლივებენ საკმაოდ გაწერთნილნი ამ საგანაში. თუმცა დაბადების გამსწორებულთა წინ ედვათ თეოფილაგტესგან გასწორებული სლავიანური დაბადება, მაგრამ მოსსენებულ ენათ ცოდნა მაინც საჭიროდ სჩანდა, რომ უფრო რიგიანად შეესწორებინათ ქართული დაბადება თვით როგინალზედ, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც თეოფილაგტეს მიერ გასწორებული დაბადება მეტად განსხვავდებოდა ქართულ ხელ-ნაწერ დაბადებისაგან. ადგილი მოსახასავი არ იყო იმ დროს ამ გგრი ენათა მეცნიერნი, რადგან თვით რუსეთში ცოტანი იუპნენ და ვინც იუპნენ, ისინიც დატვირთულნი იუპნენ საკუთარ მოვალეობით მოსკოვის და კიევის აკადემიებში, სადაც იგინი ასწავლიდენ მოსსენებულ ენათა და ამასთან მათგა ჭრილი მიღებული სლავიანურის დაბადების გასწორება. რა საკვირველია ამ ასტრერმანის დახმარება ძალიან საჭირო იქნებოდა; მას შეეძლო ეშვამდგომლა მთავრობასთან, რომ ენათა მცოდნე შირნი მიეცათ ქართული დაბადების გამსწორებულ კომისიისათვის; ამის

გარდა მისივე დასმარება საჭირო იყო სტამბის რიგიანად გა-
სამართავად, ქართული ასოების ჩამოსასხმელად, ნახატების მო-
საჭირელად და სხვ. და რადგან რუსეთის მთავრობა ეფურებო-
და ქართველობას პოლიტიკურ მისაზრებათა წყალბათ, გა-
საკიროველი არ არის, თუ თურქმანი მართლა ებმარებოდა ბა-
ქარს და ვახუშტის ამ გვარ საჭიროებაში.. ეს აზრი უფრო
ჭეშმარიტად გამოჩნდება, როდესაც უფრო ცხადათ გავიგებთ,
რაში მდგრადი რობდა თვით გასწორება ქართულის დაბადებისა.

დაბადების გასწორება (კიტუკით ბაქაოის სიტუებით, რო-
მელნიც გამოთქმული არიან მისს წინასიტუკაობაში) შესდგე-
ბოდა შეძეგში: მოვიღევით მეფის არჩილის ნამუშევერი და-
ბადება სელით წერილი და შევამოწმეთ დადანსა ფრიად გე-
თილსა და სარწმუნოსა მრავალთა წმინდათა ფილოსოფისთა
და ღვთის-მეტრულთა ძიერ გამოძიებით თარგმნილსა და გა-
მართულსა ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა და განვმართეთ ახ-
ლად უოკელნივე სიტუკა მეტ-ნაკლებნი თავად-თავად და რიცხვ-
რიცხვებად სამოწმითა ესრუთ უნაკლულოდ.

რომელ დედანზედ უჩენებს აქ ბაქარი? ეს დედანი იყო,
მისის სიტუკით, «ფრიად კეთილი» და «მრავალთა წმინდათა
ფილოსოფისთა და ღვთის-მეტრულთავან გამოძიებით თარ-
გმნილი და გამართული ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა»; მაგ-
რამ არ უჩენებს კი, რომელ ენაზედ იყო დაწერილი ეს დაბა-
დება. ამ კითხვაზედ, ჩვენ ვგონებთ, ჰასუხს გვაძლევს ვახუშ-
ტი თავის memento-ში, სადაც იგი სწერს: «ბძანებითა მე-
ფისა... დიდის პეტრე ალექსის ძისათა მრავალთა ენათა მცოდ-
ნეთა და ღვთის-მეტრულთა მოუღოთ დაბადება რუსული, რა-
მეთუ არა შეთქმულიყო სხვათა; სელ-ეუოთ განმართვად და
განემართათ ბერძენია, ებრაელთათ, ასურთა და ბულგართ-

აგან და მას მეოუსა არჩილს პირველს დაბადებასა ზედა (1663 წ.) გაემართნეს უმუხლოდ, რამეთუ არცა მას აქვნდენ და ამის მიზეზისათვის არა სრულ ყოფილ-იყო». ჩვენ ვფიქ-რობთ, რომ ეს დაბადება, შეტრეს ბრძანებით გასწორებული, არის ის ფრიად გეთილი და სარწმუნო დედანი, რომელზე-დაც უჩინებს ბაქარი და რომელზედაც (თუმცა არა ცხადათ), აქ მოუკანილ სიტყვებში შორმიბს თვით ვახუშტი. ეს ცხადია როგორც მოუკანილი ვახუშტის სიტყვებიდგან, ისე საწოვა-დოთ მრთელი მისი *memento*-ს კონტექსტისაგან, რომლის დედა-აზრი მდგომარეობს იმაში, რომ არჩილმან შეასწორა ქართული დაბადება შეცოორილებითა აღსავს 1663 წ. გამო-ცემული სლავიანურ დაბადებაზე და ამის გამო იგი გამოჩხდათ არა სარწმუნოდ; მაგრამ როდესაც შეტრეს ბრძანებით სლავია-ნური დაბადება გასწორდა სსკა-და-სსკა ენებზედ, მე (ვასუშტმა) წინადაუდევ ბაქარს და სამღვდელო კრებას, რომ ქართული და-ბადებაც გასწორდეს ამ დედანზეთ და ამაზედ უკეთანი დათან-ხმდენ და გასწორება მე მომანდებსო. ისიც უნდა მივიღოთ სა-სეში, რომ სინოდმა ხელ-წერილი ჩამოართვა ბაქარს, რომ ქართული დაბადება გასწორებულიყო სლავიანურზედ, როგორც ზემოთა ვსოფელი.

ამ ნაირად უკეთელია, რომ მოხსენებული დედანი, რო- მელზედაც გასწორდა ქართული დაბადება, იუო ხელასლა გას- წორებული სლავიანური დაბადება და სახელდობრ ის თეოფი- ლაკტესგან (მისის თანამწერწებითურთ) გასწორებული (დიდი შეტრეს ბრძანებით) სლავიანური დაბადება, რომელზედაც ჩვენ უგვე ზემოდ კუნძუნეთ მკითხველთა და არა ის, რომელიც შემ- დეგ კომმისიისაგან (იმპერატ. ელისაბედის დროს) გასწორდა 70 მთარგმნელთა ბერძნულ ტექსტზედ, რადგან ამ უკანას-

გხელ კომისიაშ დაბადების თარგმნას სელი მიწურ რიგიანად მსო-
ლოდ 1742 წლიდგან, როდესაც, როგორც გამოჩნდება, ქარ-
თული დაბადება უკვე გასწორებული იყო, და ძლიერ გაათავა 1750
წელს. ამ წესს დასკვნას სრულიად არ ეწინააღმდეგება ბაქარის
სიტუაციი, რომ მოხსენებული დაბადება იყო «მრავალთა წმინ-
დათა ფილოსოფოსთა და ღვთის-მეტყველთაგან გამოძიებით
თარგმნიდი და გამართული ბერძენთა სარწმუნოებასა ზედა»;
როგორც ზემოთ ვსთვით, თეოფილაკტემ სლავიანური დაბადე-
ბა შეასწორა სხვა-და-სხვა ენაზედ ნაწერ დედნებზედ და მხელი
ან საეკვრ ადგილების თარგმნაში სელმძღვანელობდა გამოჩე-
ნილ ღვთის-მეტყველთა და წმინდა მამათა განმარტებით, მაგ-
რამ ამასთან უპირატესობას მაინც ბერძელ და ძველ სლავია-
ნურ დედნებს აძლევდა.

თუ ამ გვარად, ქართულ დაბადება გასწორდა სლავიანურ
დედაზედ, მაშ რომ უნდა აისხნას რესის მეისტრორიეს ფი-
ლარეტის და პლატონ იოსელიანისაგან მოყვანილი ცნობანი,
რომ ქართული დაბადება გასწორდა იოსებ სამებელის მიერ ებ-
რაულ, ბერძელ, ასურულ და სლავიანურ დედნებზედ ³¹⁾?
ან როგორ უნდა გავიგოთ თვითი ბაქარის სიტუაციი, მისს წი-
ნისიტყვაბაში მოყვანილი, «რომელ (მისგან გამოცემული) არ-
დარა უდარეს საგონებელ არც სსხვათა ბიბლიათა, ანუ ელენთა,
ანუ ასურთა, ანუ ბულგართა, ანუ სომეხთა, და სსეათა უო-
კელთა». ნე თუ შეეძლო ბაქარს ეგრე თქმა, თუ რომ მის
მიერ გამოცემული დაბადება არ შეთანხმებულიყო მოხსენებულ
ენებზედ დაწერილ დაბადებასთან? ჩვენის აზრით ეს გარემოება
არ აისხება მსოლოდ იმით, რომ მოხსენებული თეოფილაკ-

³¹⁾ История Русск. церк., ч. II, стр. 23

ტეს სლავიანური დაბადება, რომელიც გასდა დედნად ქართული დაბადებისთვის, გასწორებული იყო დედანთა შემოვრებით. ჩვენ უეგვიძლია უფლებასოდ მივიღოთ ის აზრი, რომ ქართული დაბადების გამომცემელი მართლა ხმარობდენ მოსისნებულ ენებზედ დაწერილ დაბადების დედნებსაც, სხვათა შორის სომხურ დაბადებასაც, რამდენადაც შეეძლოთ და საჭიროდ ხედავ-დენ, განსაკუთრებით იმ ადგილების ასახსნელად, სადაც ქართული ხელ-ნაწერი დაბადება არჩილისა და გასტანგისა და თეოთულაგტეს სლავიანური დაბადება არ ეთანხმებოდენ ერთმანერთს და მეტად განსხვავდებოდენ, ანუ საზოგადოთ უოკელ ბეჭედ და მნელ ადგილების უფრო გამოჩინებით და გასაგებად გადასათარგმნელად, და არ არის სრულიად ჰეშმარიტების ღირსებას მოკლებული ჩენგას ზემო გამოთქმული აზრი, რომ ამ შემთხვევაში რუსების ლინგვისტები, რომელთაც მინდობილი ქვენდათ სლავიანური დაბადების გასწორება, შემწეობას აძლევ-დენ თავის ცოდნით ქართველ მთარგმნელებს და ამ შემთხვევაში თვით რუსის მთავრობა (გრაფის ოსტრერმანის შეამდგრმდობით) ეხმარებოდა მათ.

რა ცვლილება მოახდინეს ქართულის დაბადების ასლად გამსწორებულთა არჩილის და გასტანგის მიერ დასაბეჭდად მომზადებულ ხელ-ნაწერ დაბადებაში?

უკალაზედ უფრო შესამჩნევი ცვლილება, რომელიც შეეხო უკელა საღმრთო წიგნებს, რომელიც შეადგენენ დაბადებას, იურ ის, რომ მრთელი წიგნი დაიყო მუხლებად, მსგავრად თეოთულაგტეს დაბადებისა; ეს იურ უმთავრესი ცვლილება, რომელსაც სჭირდებოდა დიდი შრომა, უურადღება და ცოდნაც. ამის გარდა არჩილის ხელ-ნაწერ დაბადებაში სხვა ცვლილებაც ბეჭრი მოხდა. ბეჭრ მუხლები, რომელიც სრულიად გამოშევ-

ბული იუვნენ იმ სელ-ნაწერში, შეიმსნენ, ბევრი შეცვლილი ადგილი გასწორდა, აგრეთვე გასწორდენ წინადადებანი, სიტყვა-სი და ასონი მეტ-ნაკლები მრთელ წიგნში ორთვილაკტესავე სლავიანურ დაბადების თანახმად. რომელნიცა აკლდნეს, მოუ-მატეთ (იტეჭის ვახუშტი), ვითარუა განმართულ-იყო რუს-თავან თავ-თავად და მუხლ-მუხლად და სიტყვანი შეცვლილი, რომელიც ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ებრუთ დაუტე-გეთ და ნადირთა, მხეცთა, თევზთა, სეთა სასელნი, რამცა კერ კსციანით, ანუ საგუთაონი, ეგრეთვე დავსხენით, სხვანი უოკელ-ნივე განვმართეთ და შევსრულეთ, ვითარცა ძალგმედვა, არა უდებ ჰყენით შრომანი ჩვენნი». — ებელაზე მეტი ცვლილება მოასდინეს შემდეგ არჩილის მიერ ნასწორებ წიგნებში: შესაქ-მე, გამოსვლა, ღევიტელთა; რიცსვოა, მეორე რჯული, ისო-ნავე, მსაჯულთა, რუთი, რთსი მეფე, როი ნეშტი, სამი ეზ-დრა, ნემი, ტობია, ივდით, ესთერ, ილა, იგავი, კვლესიასტე, ქება ქებათა, სიბრძნე, ისო ზირაქი და სამი მაგაბელთა. ამ წიგ-ნებში გასწორდა არა მსოლოდ შეცორომები, თვით ენასაც მოხ-ვდა შეუბრალებელი კალამი გამსწორებელია, რის გამო მოსე-ნებულ წიგნების გასწორებას მოანდომეს წელიწადზედ მეტი დრო განუშევარტელის შრომისა; ამათში წიგნი ტობისი და იუდითისა გარდოლებულ იქმნა ვულგატიდგან; მესამე წიგნი მაკაბელთა, როგორც თეოთვილაკტეს სლავიანურ დაბადებაში, გასწორდა ლათინურზედ. საზოგადოთ მოსსენებულ წიგნების გასწორების დროს, ალბათ სარგებლობდენ გარდა რუსული დაბა-დებისა სხვა-და-სხვა ენებზე დაწერილი დედნებითაცა. — უფრო მცირე ცვლილება მოხდა იმ საღმრთო წიგნებში, რომელიც უბებ დაბეჭდილ და გამოცემულ იქმნენ ტფილისში ვახტანგის სრამბისგან (1709—1720 წლებში), სახელდობრ: ფსალმურ-

(დავითი), წინასწარმეტყველებანი და სრული ახალი აღთქმა.

გარდა მღსსენებული ცვლილებისა გამსწორებულთა შეაძლის დაბადების წიგნი შენიშვნებითა; უოკელ წიგნის სათაურში დაბეჭდეს მოვლე შინაარსი მისი და შესაბამი საჭირო განმარტება, თავისი და მუხლები წიგნებისა დაჭინეს დასაწყისად და გვერდზედ მიუწერეს ეგრეთვე განსამარტებული საძიებელითურთ. —დაბადების ბოლოს დაბეჭდეს: 1) მოვლე კალენდარი («ათორმეტი თვე»), უოკელ დღეზედ ნაჩენებია, ორმეტი სახარება და სამოციქულო წაიკითხვის ცისკრად და წირვაზედ; 2) «სახარებანი საზიანი», ოდეს სსენების ჰუთფედეთ რომელთათვისაცა; 3) «სასარებანი ვითარ ჯერ არს კითხვად შვიდეულთა უოკელთა წელსა»; 4) «საძიებელი» ალფავიტური ლექსიკონად უმთავრესთა პირებისა, ადგილებისა და მოქმედებისა, ორმეტნიცა მოხსენებულნი არიან დაბადებაში; ამას უჭირავს დიდი ადგილი და ალბათ გადმოღებულია ეპოპიულ მწერალთაგან, რაღაც აქა-იქ ჩართულია პროტესტანტული აზოები (მაგ. გვ. 1067); 5) ქორონიკონი; 6) სელთა ვოკელი ასსნით; 7) კასტანგ მეფისგან განმარტივებული დროთა ანგარიში; 8) «შეცომილთათვისა, სადაც გასწორებულია კოროპეტიურული შეცომილებანი, ორმეტნიც დაბეჭდილია არიან რვა გვერდზედ. ამას გარდა დაბადებაში დაბეჭდილია მოვლე წინასიტყვაობა ბაქარისა და ბოლოსიტყვაობა ვასუშტისა, ორმეტშაც იგინი მოვლედ გვიამბობენ დაბადების გასწორების და დასტამბვის ამბავს.

სრულიად დაბადება გასწორდა კომისიისაგან 1742 წლის დამლეპს, მაგრამ ბეჭდვა მისი ნაწილ-ნაწილად დაიწყო უფრო ადრე და 1743 წლს 1 მაისს უგეგვებილი იყო სრული დაბადება, ამ ვიცით, ომდენ ეგზემპლარად.

ამაც შესება გამოცემული დაბადების შინაგან და გარეგან.

ღირსებას, ჩვენ ამაზედ არა შეგვიძლიან-რა კსთჭეთ გადაჭინით; შეოღოდ თუ მივიღებთ სასეში თვით გასწორების ისტორიას, მნელი არ იქნება მივსვდეთ, რომ ბაქარის დაბადება სრულიად უნდა განიღებულდეს ძველ ქართულ წმინდა ათონელთ მამათა-გან ბერძულიდგან (LXX მთარგმნელთა). თარგმნილ დაბადე-ბისაგან, რაღაც გამსწორებულთა სელში არ ჭრის დაბადება კარიანტები და არც ათონელთ მამათა დაბადება. ზოგი წიგნე-ბი კი ასდად სთარგმნეს, თუმცა ესენა რამდენჯერმე თარგმნილ-იყვნენ მემკვეთ და მეთერთმეტე საუკუნოებთ შეა და იმ დროის სელ-ნაწერი და ნათარგმნი წიგნები ესლაც მოიპოვებიან. ამის-თვის ფრიად სასწორებელა, რომ ჟავარის გამოცემული დაბა-დება შესწორდეს იმ უძველეს ქართულ სელ-ნაწერებთან და გარ-ჩეულ იქმნეს მათი განსხვავება და შედარებითი ღირსება. ეს იქნება შრომა მნელი, მაგრამ ნაუთვიერი და საყურად-ღებო.

თვით შრიოფტი და ასოთა მოუკანილობა გამოცემული დაბადებისა, თუმცა მოსაწონია, მაგრამ სილამაზით და გარჩე-ულობითაც დაბლა დგას ტფილისში (კასტანგის სტამბაში 1710 წ.) გამოცემულ წიგნების შრიოფტზე. მათ შროის ერთი (უამნი) ჩვენ წინ გვიძევს წვრილის, მაგრამ მშვენიერის და ადვი-ლად გასარჩევი ასოებით კარგ ქალალდზედ დაბეჭდილი, შემცუ-ლი ნახატებითა, წითელ მელნით ანუ ფერადითაც დასტამბუ-ლი.

იოსებ სამებელის ღვაწლით არ გათავებულა დაბადების გა-
მოცემით; ხელის საქმეს მან სრულიად შესწირა უკანასკნელი
წელით თავის სიცოცხლისა დროს სიძურემდის, სანამ თვალი
უკრიდა და ძალა და დონე შესწევდა. მაგრამ ჩექნ არ ვიცით,
რომელი წიგნი და რა რიგ გამოიცა მისგან შემდეგ წლებში (1743—1749 წ.). ჩექნ გვინახავს მხოლოდ ერთი წიგნი მის-
გან დაბეჭდილი, ითანე დამასკელის თხზულება «მიუწერნელო-
ბისათვის ღვთისა» და სხვ., დაბეჭდილი ოუსეთში სინადის
ნებართვით (1744 წელს) შემდეგის წარწერით: «საფასეთა და
წარსაცებულითა იოსებისათა გაეკეთდა საბეჭდავი ესე და დაბეჭდ-
და წმინდა ესე ითანე დამასკელი დიდსა სამუშაოსა ქალაქსა მოს-
კოვს დასაბამითგან 7252 წ. ქრისტეს აქეთ 1744, ქორონი-
კონსა 432, მაისს 28». — რას ნიშნავს ეს წარწერა? რომელ
სტამბაზე ამხობს წარწერა, იმ სტამბაზედ, რომელშიაც დაბ-
ბეჭდა ერთი წლის წინ დაბადება, თუ ეს ახალი სტამბაა, გაკე-
ბული იოსების ხარჯით? ამაზედ ბეჭითად მიგება არ შეგვიძ-
ლია, მაგრამ თვით წარწერა იტყვია, რომ ეს სტამბა არის
ახალი სტამბა, იოსებისაგან გაეკეთებული, მისის ხარჯით, სტამ-
ბა იმულოვება მოსკოვში და არა ვსესვიატეში. *) რა ბედი ეწ-
ვია ბაქარის სტამბას, ჩექნ არ ვიცით; მაგრამ ვგონებთ, რომ

*) უკაველია, რომ ამ სტამბილგან გამოვიდოდა სხვაც ბევრი ქარ-
თული წიგნები, მაგრამ ჩექნ ამაზედ არა ვიცით-რა. იმედი უნდა ვიქო-
ნოთ, რომ ჩექნი ძველი შექრლობის და ისტორიის მოუკარენი უკრად-
ლებას მასტერენ ძველ ნაბეჭდ წიგნებს და წარმოგზავნიან «წერა-ეით-
ხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», სადაც არის ქართული ძველ
ნაწერების ბიბლიოთეკა, ან თვით ვეზემპლარებს, ანუ იმ წიგნების წი-
ნა-სიცუვალის სწორედ გადმოლებულ კოპიებსა უესანახავად მომავალ
გამომძიებელთათვის.

ეს სტამბა 1756 წ. ანუ შემდეგ წლებში გარდავიდა ანტონი
ქათალიკურზების ხელში, ორმეტმაც ვლადიმირის არქიეპის-
კოპოსობის დროს ისარგებლა იმით ქართული წიგნების დასა-
ზეჭდათ. ითხების სტამბაზედ ჩვენ თრიოდ სიტუაცია ვიტუვით
ჰქომოდ.

თვით იოსებზედ 1744 წლიდგან სიკედილის დრომდე
მხოლოდ რამოდენიმე ცნობები არის შენასული სინოდის არ-
ხივში; ამ ცნობებიდგან სჩანს, ორმ 1744 წ. ის დაახლოევე-
ბია განთქმულ ქართველ მისასილენტს იოანე მანგლელ ეპისკო-
პოსტს და, ორგორც სჩანს, სიკედილამდე მტკიცე მეგობრულის
კაშმირით შეკავშირებულან ეს ორნი ჩინებულია ქრისტიანობის
აღთარძინებაზედ შზრუნველია და დაუცხრომელი მოღვაწე შირ-
ნია.

რადგან მოხსენებული პირი, იოანე მანგლელი, გამოჩენილი
პირია, ორგორც გამაურცელებელი და დამფუძნებელი ქრისტია-
ნობისა და ქართველთაგანაც პატივცემული, ჩვენ მოვიყენთ მოვ-
ლე ცნობებს მასზედ. მანგლელი იოანე იყო გვარით სააკაძე *)
(გიორგის შვილი). დაიბადა 1666 წელს. ერთს კაცობდა სახე-
ლი მისი იყო იოსები. სიყრმითგანვე შედგა ბერათ, ორგორც
ის სწერს თავის ანდერში და იმუოფებოდა დავით გარესჯის
(«ბერთ-უბანის») უდაბნოში; ამ უდაბნოში მიიღო იერომო-
ნაზნობა და იწოდა იოანედ. ბაქარის თხოვნით მიიღო ეპის-
კოპოსობა მანგლელისა («მანგლელობა»). ოდესაც 1723 წ.
თათრებმა აღარსრუს მისი სამწესო, ის წავიდა კახეთში და

*) მისი მკვიდონი მა ნიკოლოზ შავაძე გარდავიდა და მსახუ-
რის ასეულობის ქართველთაგან შემდგარ გუსარის პოლკში 1750
წლამდის. არქ. Синод. 1725 წ. № 193.

დაქვეიდოა დორებით. სისისის მონასტერში და ერთი წლის
შემდეგ, ან ცოტათი ადრე, გარდავიდა ლექებში ჭრისტია-
ნობის გასაკრცელებელად. წმინდის ცხოვრებით და მცენა-
მეტყველობით მან მოიპოვა მთველების პატივისცემა და ეხ-
ლამდის მათში დარჩენილია მოთხოვნა მისს საკვირველ სას-
წაულო-მოქმედებაზედ. ვახტანგის და რუსის ხელმწიფის (ეგა-
ტერინა ალექს.) თხოვნით ითანე დაქვეიდოა 11 სამღვდელო
შირითა 1724 წლიდგან დერბენტში (დარუბანდი), სადაც,
როგორც თვითვე იტუვის ანდერში თავის ხელით ნისაბით
ხელში აუშენებია საყდარი» და შემდეგ უკურთხებია; შემდეგ
1729 წელს ადაშენა მის ადგილზე ქვის ტაძარი მიიძინებისა
თავადი დოლგორუკოვის სარჯით (სიგრძით 43 საუნი, სი-
განით 6) და მეორე დადა მოწამე ეკატიონისას სახელზედ. არ
ვიცით რის გამო 1737 წელს გარდავიდა ასტრახანში, სა-
დაც ადაშენა დვითის-შშობლის სახელზედ კვლესია, რომელსაც
1744 წელს ეწოდა მონასტერი და დააუქნა წინამძღვრად მო-
ნასტერისა თვისის ჭრებულის ქართველი არხიმინდრილი გერ-
მანე (მონასტერი ესე დაიწვა 1749 წ.). აგრეთვე უიზლიანში,
სადაც სცხოვრობდა (და ეხლაც ბევრ სცხოვრობს) დიდ-ძალი-
ქართველობა ადაშენა 1738 წ. საყდარი და დათვების სასწავ-
ლებული ექართველთათვისა, რომელსაც ჭმართვიდა ვიღაც არ-
ქიმიანდრილი დანიელი. მიზანი, რომელსაც კლოდი ითანე,
იუო ჭრისტიანობის აღდგენა გავგასის მთებში და განათლების
დაცვა, გავგასს იქმთ გარდასახლებულ ქართველებში (დერბენ-
ტში, უიზლიანში, ასტრახანში). კრებული მისი თან და თან
იზრდებოდა და წრე მისის მოქმედებისა ფართოვდებოდა.

აი, ამ ასმითან დახსლოვდა იოჟებ სამებელი, როდესაც

იგინი შეიყალნენ მოსკოვში 1744 წელს. *) ამ თართ ჩინებულთ გვამთ შორის დაიბადა მაღალი აზრი — დაფუძნება მუდმივი, განუწყვეტელი მისისისა ქრისტიანობის აღსადგენად კაჭკასიელ ხალხთა შორის. აქ, მოსკოვში, შეადგინეს მათ პროექტი ამ დადას საქმისა და ეს პროექტი ითხებ სამებელის ხელ-მოწერით წარდგენილ იქმნა ამ უკანასკნელისგან (სამებელისაგან) უწ. სინოდში 1746 წელს ³²⁾). ეს პროექტი მიიღო სინოდმა და დაარსდა ეგრეთ წოდებული ოსეთის ქრისტიანობის აღმადგენელი კომისია, ოომელსაც მიეწა ჯამაგირი და საშუალება. კომისიაში დაინიშნენ ქართველი სამღვდელოთაგანნი, ზოგნი მანგლელის კრებულისაგანნი, ოომელთაც ქარგად იცოდნენ ასური ენა, ჩვეულება და ზენ ხალხისა და ძღვიარებისა მათის ქვეუნისა. ³³⁾ არსიმანდრიოტად მისისისა ითვლებოდა ქართველი ბერი შახომი და მასთან კიდევ თრი ქართველი იგუმენი და რამდენიმე მთავარ დიაკონები. მისისის საქმეს ხელს უწყობდა თვით იოანე მანგლელი, ოომელც უფროსი მისისიას და მმართველი. ეიზლიარში, სადაც იოანე უკანასკნელ დროს დაქმევიდრა, მისიისთვის გაკეთდა სახლი, ბაღები, გაწნდა სათვაზო და სათიბაკი მინდვრები ³⁴⁾). 1751 წელს, ოდესაც

*) სინოდის არჩევი 1745 წლ. № 289 მოხსენებულია, რომ იოანე მანგლელის და სამებელის იოსებს გადაუყენებიათ წილვილებან მღვდელი დავით ივანოვი, ოომელსაც სხვისა ქალი მიუთხოვებია ვიღაც სომხეთის ამაზედ აცოდინებენ ერთად სინოდსა.

³²⁾ История Русской церкви. Филарета ч. II, стр. 24 и Знаменского, стр. 381.

³³⁾ Материалы для Ист. Буткова, I, 266 и др..

³⁴⁾ ibidem.

გარადიცებალა მანგლელი იოანე, მისიაის უფროსობა მიეცა სი-
ნოდისგან ზემოსენებულს პახომია ³⁵), ომელიაც დაუწერეს
დარიგებაცა, ოფიციალური მისია, მაგრამ მისიალენების
სასეში ჭირნდათ უსელა კავკასიელი ხალსები. პახომის შემდეგ
მისია მიენდო ქართველ არქიმანდრიტთა: გრიგოლსა (1767
წ.), ამის შემდეგ პორფირს, მის შემდეგ რუს ლეიედევს,
ომელიაც თანა შემწედ ჭირნდა თითქმის მხოლოდ ქართველ-
ნი; 1793 წელს ზედამსედეგელობა კომისიისა მიენდო ქარ-
თველ არქიეპისკოპოსს გაითხს, თელავის სემინარიის რექტორად
ნამყოფს, ომელმაც დაბეჭდა ქართული შრიფტით ლაურ და
ქართულ ენაზედ ზოგიერთ საეკლესიო წიგნები ³⁶). გაითხის
შემდეგ მისიაის უფროსად იუო საქართველოს ექსარხოსი თუ-
როვილაქტე და ბოლოს მისია გარდაცა ეხლანდელ «კავ-
კასიასა შინა მართლ-მადიდებლობითი ქრისტიანობის აღმაფნე-
ნელ საზოგადოებას.»

ამ ნაირად იოანე სამებელმა ერთად იოანე მანგლელთან
შირველმან დასდევა ის საიუმებელი, ომელზედაც აღმენდა შემ-
დეგ ზემოსენებული გავლენანი და სამუალების მექანი საზო-
გადოება.

ამ დროს სამებელი იუო ლომა სიბერეში; მისს მოქმედე-
ბაზედ ამ დროიდგან მისს გარდაცევალებამდის ცნობები თით-
ქმის არ მოიპოვებან. მოსკოვიდამ თავის კათედრაზე (ნოვ-
გორიდში), კვონებთ; ის არ დაბრუნებულა და მოსკოვში იყი-
ალბათ, გართული იუო იმ საქმეში (წიგნების ბეჭდვაში), ომი-

³⁵⁾ Буткова I.

³⁶⁾ ibid. стр. 270—273.

დასთვისაც მან ნოვგოროდის კათედრა დასტუროვა. 1749 წ., როდესაც სამებელმა ღრმა სიბერებდე მიაღწია, გარდასწუვიარა დაბრუნება საქართველოში, სადაც უნდოდა გაეტანებისა უგანასკნელი დღენი თავის ცხოვრებისა და ივლისში მიართვა არზა სიხოდისა, რომ გაეთავისუფლებინათ იგი და ნება მიუცათ უზღლიარში წასკლისა და იოანე მანგლელთან ცხოვრებისა «მაზრზისათვის ღრმა სიბერისა», როგორც სწერს იგი თავის არზაში. ³⁷⁾ სიხოდმა ნება მისცა; მაგრამ სამებელმა მხოლოდ შემდეგს 1750 წელს, 3-ს ივლისს მოახერხა მოსკოვიდამ წამოსკლა. თან წამოიყვანა თავისი ბიძა-შვილი არსიმანდრი ეკთმე, რომელიც მუდამ თავისთან ჰქონდა, ღვიძლი და, ღლუმენად ნამყოფი ქართველთ მეფებისაგან მოსკოვში დაარსებული სამოლოზნო ნოვინის მონასტერში ³⁸⁾); და ერთი ბიძა-შვილი ქალი; მასკე მოწევებოდა ქართველთა გუსარის პოლკის მაიორი აკთანდილ ქობულოვი, ეგრეთ ღვიძლი ბიძა-შვილი მისი; მასთანკე წამოვიდა ზემოსესენბული მღვდელი მესტრამბე ფილიბე და რამდენიმე სხვანიცა. წასულის გეორგებთ, ედილის (კოლგის) წელით. მაგრამ სამებელმა კერ მოაღწია საქართველოს; გზაზე სარატოვის ქალაქში 1-ს სეკტემბერს იმავე წლისას გარდამცვალა იგი, ღვაწლითა შემკული, სიღარიბეში და გაჭირებაში; თან ჰქონოდა მხოლოდ 30 მანეთი. თანხმად ანდერძისა დაუმარხავთ ასტრახნის საკათედრო საუდარში, სა-

³⁷⁾ Архив. Съюд. 1749 г. № 247.

³⁸⁾ ibid. Дѣло 1745 г. № 283. ეს მონასტერი დააპისა გამოუკვეთ მეფის ძმის სვიმონის მეუღლემ ანნა დაქვრივების შემდეგ; მონასტერში ირიცხებოდა 19 ქართველი მოლოზანი და ქვრივი (იხ. ოქც.).

დაც მარხან ჩვენი მეფენი: ვასტანგ VI, თემურაზ II, ერეკ-
ლეს მამა და რამდენიმე სხვანი ჩვენის ისტორიული ცხოვრე-
ბის მოწადმართე პირი.

მისგან დარჩენილის ქონების სიიდგან სჩანს, რომ სამე-
ბელის მოსკოვიდამ წამოუღია ქართული სტამბა; ასოები და
დაზგები (печатные станки); სხვა წიგნებ შორის მას ეგრეთვე
თან მოჭქონდა თურმე ქართული ანბანი 101 ეგზემპლარი და
ქართულადვე დაბეჭდილი საარქიერო კონდაკი (служебники
архиерейской), რომელიც გამოცემულ იყო მისგან, არ ვიცით
როდის. ანდერძის ძალით სტამბა და სახალება შეუწირავს ნათ-
ლის-მცემლის (დავით გარესჭიას) მონასტრიდისათვის, ერთი კერ-
ცხლის საცეცხლურო—ალავერდის ეკლესიისათვის; წიგნები მიუ-
ცია თავის დის თინათინისთვის და სხვა უთავლისაგე დანარჩენზე
«სხვათ ხელი არა აქვთ». ანდერძი ჩაუბარება თვისის მოძ-
ღვრის დავრენტიდისათვის. ორი თვის შემდეგ სამებელის სიკვდი-
ლისა მის მმის-წულს აკთანდილ ქობულოვს არზით უთხოვ-
ნია სინთდისათვის, რომ იგი ცნობილ იყო მემკვიდრედ სამე-
ბელისა და დაშთენილის მისის ეკიპაჟის, შესამოსელთა და
სხვა ქონებათა.

თუ მავიღებთ სახეში, რომ საქართველოში არქიერად არ
აკურთხებდენ თუ 30 წლისა არ იყო და ითავსმა კი ეს ხა-
რისხი მიიღო 1705 წლის, ჩვენ სრულად დავრწმუნდებით,
რომ სამებელი გარდაიცვალა არა ნაკლებ 75 წლისა.

მისგან ნაბეჭდი წიგნების ცნობაში მოუკანა და მათი ლირ-
სების დაზღაცება ეკუთვნის მომავალსა, რომელიც, უნდა გვწიმ-
დეს, არ დაივიწუბს სახელოვანს ჩვენს წარსულსა და მისთა
გმირთა აჩრდილთა.

ერთი წლის შემდეგ 1751 წ. 28 მარტს გარდაიცვალა ყიზლიარში 85 წელს მიღწეული იოანე მანგლელი, მეგობარი სამესელისა და გამოჩენილი მასსიონერი *) და დასტოა ანდერძი, რომ მისი გვამი დამარხულიყო სამშობლის ცის ქვეშ, იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში, სადაცა მან განატარა პირველნი წელი ჭაბუკობისა, სინოდმა ნება არ მისცა «სიძნელისათვის გზისა» და დაფლეს მისგან აშენებულ ყიზლიარის ჯვართ-ამაღლების მონასტერში. მაგრამ შემდეგს 1752 წელს, 17 იანვარს სინოდმა შეიწყნარა თხოვნა მისის მმის-გუსარის პოლვის აფიცირის ნიკოლოზ სააკაძესი და ნება მის-ცა მას განსენებულის გვამის წალებად და დაფლებად იოანე ნათ-ლის-მცემლის უდაბნოში; მაგრამ რადგან ეს უდაბნო გაუქმებული აღმოჩნდა, წმინდა გვამი იოანესი დაფლეს სიონის სო-ბოროში, განკულ-ქვეშ. — ღრმა სარწმუნოების მექონმა და წმინ-დის ცხოვრების მიმდევან მწირმან თვისს შემდეგ დიდი შთა-ბეჭდილება დასტოა. სასწაულები, რომელიც იქმნენ მისგან სიკვდილის შემდეგ, როგორც მოგვითხოვთ, აღწერილია იოანე ნათლი-მცემლის უდაბნოს მწირის გაბრიელის მეტ

*) არ იქნება ურიგო აქ შევნიშნოთ, რომ მანგლელის კრებული თან და თან იზრდებოდა მისის მისიონერობის წარმარების გვარად. 1736 წელს ამ კრებულში ითვლებოდნენ: არხიმანდრიცი ევლეოს, იგუ-მენი გერმანე, მღვდელ-მონაზონნი დანიელ და ილარიონ; მღვდელნი: იაკობ, ბართლომე, ნიკოლოზ, ბესარიონ; პროცედიკონი ბარნაბა, იუ-რო დიაკონი მაკარი, რიზნიჩი გიორგი, კელეინიკი დავით; იმოდიაკო-ნი: იაკობ, გრიგორი, ქრისტეფორე, ვასილი; მგალობელნი: იოანე, გიორგი, იაკობ; არხიმანდრიცის დიაკონი მაკარი და მოსამსახურე მისი სპირიდონ. (Arch. Св. Синод. 1725 წ., № 192.)

ქართულ ენაზედ ქმნილს წიგნში «ჯვარ-მოსილი», რომელიც
შესდგება რამდენიმე თავისაგან.

ჩვენ გვინდოდა გაკრცელებით გვეამბო ქართული სტამ-
ბის საქმეზე მეთვრამეტე საჭურნეში, მაგრამ რადგან მეტად
გაგრძელდა გამოკვლევა, იძულებული გართ აჭ შევჩერდეთ და
მხოლოდ რამდენიმე სიტუაცით დავაძღვოთ.

იმავე წელს (1750), რა წელსაც მოკვდა სამებელი, მა-
იცვალა მეფის შვილი ბაქარიც. ქართული სტამბის საქმე რუ-
სეთში შეჩერდა. მაგრამ, როდესაც საქართველოდგან განდევნილ-
მა სწავლულმა გათალივზმა ანტონ I-მა რუსეთს მიაღწია
(1756 წ.) და კლადიმირის გათედრა მიიღო (1757 წ.), შე-
დი წლის განმავლობაში, რომელიც მან რუსეთში დაჭურ, სტამ-
ბა გამართა და დაბუჭდა ხელახლა უკედა საკედესით წიგნები.
გარდა თთვენისა (მხარე მისე), აგრეთვე დაბუჭდა ხუ-
ცურათ და მხედრულათაც რამდენიმე საღვთისმეტეცელო და
საერთ წიგნები, სახელმძღვანელოები, ანბანები ქართული, და-
თინური და ბერძნული და სხ. სხვა წიგნთა შორის ამ
სტამბიდგანვე გამოვიდა 1760 წ. „კლდე სარწმუნოებისა“
იავორსკისა, თარგმნილი მეფის შვილის გახუმტის მიერ. სტამ-
ბა ანტონისა იყო გამართული კლადიმირში.

აქ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ანტონ I-მა და-
დის ღვაწლით და წარსაგებელით შეჭრიბა დაკარგული ხელ-
ნაწერი წიგნები, რომელთაგან შეადგინა წარჩინებული მცხეთის
ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკას ეწოდებოდა „პატრიარქის ბიბ-
ლიოთეკა;“ რიცხვი ტომებისა ამ ბიბლიოთეკაში მიაღწევდა
7,000-მდის. ამ ბიბლიოთეკისაგან ჩვენს დრომდის მოღწეუ-
ლა მხოლოდ უუმცირესი ნაწილი. უმეცართ ბარბაროზთ ხელ-

თა განაბნიეს და სამუდამოდ დათოგუნეს უმრავლესი ნაწილი
ამ ჩვენის წინაპართ გონიერი ნაწარმოებთა. *)

1761 წელს გაიხსნა ახალი ქართული სტამბა მოსკოვში
ტფილელ მიტროპოლიტის ათანასის მიერ. ათანასე გვარით
ამილახვარი, გაგზავნილ იქმნა ერებლე II მიერ რუსეთში ეღ-
ჩათ 1752 წელს. ოფიციალურად ეტუობა ეს იურ მომხრე ერებ-
ლეს მოწინააღმდეგისა რუსეთში მუოფი ვახტანგ მეფის შთა-
მომაკლიობისა (ალექსანდრესი), ოფიციალურად საზოგადოთ ამილა-
ხვარნი, ამ მიზეზის გამო სახტივად დასჯილნი ერებლესაგან;
და აღმართ იმისთვის იგი არ დაბრუნდა საქართველოში და 1751
წ. მიიღო ქუშევრდომობა რუსეთისა (ПОДДАНСТВО). თუმცა
ერებლემ თრვერ მოითხოვა იგი უკანვე რუსეთის მთავრობი-
საგან, მაგრამ ათანასე მაინც რუსეთში დარჩა (მოსკოვში). ³⁹⁾
1761 წელს, 21 დეკემბერს ნებართვა მიიღო სინოდისაგან
სტამბის გახსნაზე მოსკოვში. კოროქტორად იურ ჩვენგან უკ-
ბა ცნობილი მედასისედეკ კავკასიე, ზედამხედველად—ერის კა-
ცი ეპიკი ამილახვარი; გამსწორებელად საკლესი წიგნთა

*) აწინდელ მცხვის დეკანიზმა მამბო მე, რომ ამ თხუთმეტი
წლის წილით ურმებით გაიცანეს ეს წიგნის ცფილისშით, ვითომ გასარ-
ჩევად და დაფუძნებულ კავკასიის მუზეუმისათვის, გარნა იგნი ეხდა
ასრად სჩანან. ერთს პირს უნაჩავს რამდენიმე ძვროფასი საუნდებოდანი,
მუზეუმში წილით ნაცული, ლუპლუპის და პარუის მუზეუმებში; მაგრამ
ნუ დაგოჯვრებოთ, რომ განათლებაზედ მაღლა მყვირალი ჩვენი საუკუნე
ეპურე უწყალოდ და ბოროვად დასკინოდეს სწავლას, ერს და ქართ-
ლიას.

³⁹⁾ ამ ათანასეზედ ცნობები იხსლე: აpx. Синода 1752 წ.
№ № 129 և 296. № 301; 1762 წ. № 197, 1761 № 142; 1764
წ. № 336.

სლავიანურ ტექსტზედ — ძმის-წული თანასესი ციციანოვი და-
მიტო. 1765 წელს ამ სტამბაში დაბეჭდა: სამოციქულო
(ერთი ეგზემპლარი ინხება ეწერა-კითხვის გამავრცელებული
საზოგადოების წიგნთ საცავში), დავითი, ლოცვანი, ჟამნი
და ანბანი სამს ენაზედ: ლათინური, ბერძნული და რუსული,
რომელიც სინოდმა მიართვა რუსთ იმპერატორისა. ამ სტამ-
ბილგანებები გამოვიდა დაუფლომელი 1762 წ., პარავლისი 1767
წ. და სსვ. — ათანასე გარდაიცვალა მოსკოვში კვართამაღლე-
ბის მონასტერში 1774 წ. 9 ივნ. და დამარხულია დონის
მონასტერში.

1786 წელს გაიხსნა ქართული სტამბა ს.-პეტერბურგში,
ქართველ ეპისკოპოზის გრ. ხარჭაშნელისაგან, რომელიც გა-
მოგზავნილ იყო დასაბრუნებლად საქართველოშივე ვახტანგ მე-
ფის და სხვა-და-სხვა სამღვდელო პირთაგან საქართველოდან გა-
ზიდული საქართველოს ეკლესიას კუთხითა სიწმიდეთა და
სხვა ნივთთა. დარჩენილმა სამუდამოდ რუსეთში, მან დაბეჭდა
რამდენიმე წიგნები; სხვათა შორის სახარება ქართული 1789
წელს. ¹⁰⁾

ქართული სტამბა ჭრინდა რუსეთში აგრეთვე ქართველ არ-
ჭიებისკოპოზის გაიოზს, რომელსაც იგი თან დაჭრინდა. მის-
გან დაბეჭდილ წიგნებში ჩერნ გვინახვს ოსურ და ქართულ ენა-
ზედ ესაცისკო ლოცვანია; ქართული გრამმატიკა კრემენჩუბ-
ში. დაბეჭდილი; ემცნება... კასილიოს ბერძნთა მეფისა (მაგ-
დონელი) ძასა თვისისა მიმართ. და სხვ.

ამ საუკუნის დამდეგს პეტერბურგში გამართა სტამბა —

¹⁰⁾ ხარჭაშნელზედ იხილე ცნობანი აpx. Синод. 1785 წ.

პირველი საქართველოს ექსარხოსის ქართველის გარდა-
მის მიერ, საიდამაც ბევრი ქართული წიგნები გამოვიდა ხუცუ-
რად და შესეძლოდაც. ერთს ამ წიგნთაგანში, (თოვენია, რო-
მელიც შეიცავს ათას გმერდზე მეტს) ბოლოს დაბეჭდილია შემ-
დეგი ღვევი დიმიტრი ბაგრატიონისა, რომელიც ინტერეს მოვ-
დებული არ არის ამ სტამბის ისტორიისათვის და მისთვის აქ
მოგვიანს:

«ლოთის შეწევნითა ზესთა ზენითა, მოსკოვს შემზადდა სტამ-
ბა ქართული, კესნის ერისთვისა დავითის ძისა, ვარლამის ღვაწლით კმა გა-
მართული, კინ იურ ძველად ახტალის მწყელელად, აწ რუსთ სინოდის წევ-
რად შეართული, ფიძღვნისთ ივერთა, ამერ-იმერთა წიგნის დღესასწაულთ შეძ-
ლველი სრული.

«მასთან იონა, კინ არ იონა შრომის მოუვარე ცენტრობითა,
ემიტროპოლიტიმან გამშინჯ-გამშვრელმან, გედეონისმემ ძველთ
გვარობითა, ნიკიტორითა მეითხველ სწორითა იგულს მოდგინეს საკმა-
რობითა, ყეთილ-შობილმა პაიჭაძემან, მესტამბემ უღელით სახმარო-
ბითა. და სხ..

თვით საქართველოში მეთვრამეტე საუკუნეში, კახტანგის
სტამბის შემდეგ, წიგნის ბეჭდვა გახშირდა უღელგან, განსა-
გუთოებით 1760 წლიდან. უგელაზე წინ დღვა სტამბა პატ-
რიარხის ანტონი I, ერეკლე მეფისა, დარეჯანისა. ეს სტამბა

ათხრდა ახა-მაჭადხანის შემოსულის დროს. ამ სტამბაში იბეჭ-
დებოდა ოთვორც საეკლესია, ეგრეთვე საერო წიგნებიც, ზოგ-
ნი მათგანნი ნახატებითა. იმერეთში სტამბა შემოვიდა მეფე
სოლომონ მელრის დროს. სტამბა იყო გამართული საჩხერე-
ში და ქუთასში. საეკლესია წიგნები იბეჭდებოდა სამღვდე-
ლო კრების ნება-დართვით.

III. შორდანია.

სეული ოჯახი.

ობრავს გოგონა ნინუა, ქმარიც აკათ ჭეავს, შვილიცა,
რა ქნას მარტოვამ, უკვესის მოხუცი დედამთილიცა...
მმარს უსომს შებლზე სნეულებს, ხან ჭარხლის ფოთოლს დებსა,
ხან თხლის შეჭამნდს ჭირდება თავისგან დანამზადებსა...
მაგრამ თითონაც უძლურობს, კურც გაახურა თონეა,
დღით მაშვრალს, ღამე ნატეხსა, გამოელა ღონეა!...
გვერდით არავინ არა ჭეავს, ბევრჯელ ინატრა მშობელი,
არა ჭეავს: არც წელის მომტანი, არც მდგადის გამომცხობელი!..
გვენესის ბეჩავი ნინუა, არსათ უჩანს მკურნალი,
სიცხით ეწყება ქმარ-შვილი და ეხოცება მწყურვალი!...
ობრავს გოგონა ნინუა, ქმარიც აკათ ჭეავს, შვილიცა,
რა ქნას ბეჩავმა, უკვესის მოხუცი დედამთილიცა!...

თ. რ. მრისთავი.

ლაპით მზიანი შვეულა

ანუ

შეცია და ნორგეგია.

(დასტარული) *)

II

თვითმართველობა შვეციანობრევებიში შეადგენს საზოგადო წევზილების საძირკველს, და ხალხს შემღებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს თავის ქვეუნის მართვაში. შეცია ში უკალა სოფლის მრევლი (რიცხვით 2,954), ქალაქი, ან დაბა (95) ადგენს საზოგადოებას, ან მუნიციპალიტეტს, რომლის წევრებათ უკალა მცხოვრებელია, ვინც გი საზოგადო ხარჯების ისდის. ამასთანავე არსებობენ სამრევლო, ანუ საკულტურო ოჩევანი, რომელსც განაგებენ სკოლის, ეკლესიის და სასაფლაოების საჭმებს. მუნიციპალიტეტში თავმჯდომარეობს ადგილობრივი მღვდელობა. მთავრობის წარმომადგენელი სამრევლო ოჩევაში არის ლენსმინი, მუნიციპალიტეტში — ბურგომისტრი, რომელსაც აღსრულებს ში მოჭევათ რჩევათა გარდაწყვეტილებანი. ადმინისტრატივულის მხრით შეცია იულივ 24 მაზრად — თითოეული მაზრა იურთა რამდენსამე თემად. მაზრებს აქვთ

თავისი იჩევანი (ლანდსტინგი), რომელიც წარმოადგენს თვით-მმართველობის უმაღლესს ფუნქციას. ლანდსტინგი შესდგება ქალაქების და მოქალაქების დეპუტატებისაგან. დეპუტატების ამორჩევაში ხმა უკეთასა აქვს. დეპუტატად ამოირჩევა უკეთა, მსოფლიდ არა ნაკლებ ოცნება-ხეთის წლისა. დეპუტატების რიცხვი დანიშნულია: ქალაქებისთვის 2,500 მცხოვრებელზე ერთი, და სოფლებისაზე 5,000 მცხოვრებლისათვის. ლანდსტინგის წევანი იოჩევან თრი წლითით. ამ ხანის გასვლის შემდეგ ერთი მათგანი გენუის-ყრით სტოკებს ადგილს და მის მაგირად სხვას იოჩევენ. ლანდსტინგი ვერითება უოუელ-წლივ შვიდი დღით, მეოდეს უფლება არა აქვს იგი დაშალოს; მაგრამ არა ჩეკულებრივ დროს კი უფლება აქვს შეჭრიბოს. ლანდსტინგის წევრებს ჯამაგირი არ ეძლევათ, სამგზავრო ხარჯის გარდა. ლანდსტინგის თავმჯდომარე ინიშნება მთავრობისაგან. გუბერნატორი მონაწილეობას იღებს ბასში, მაგრამ ხმა კი არა აქვს. ლანდსტინგს უძვემდებარება უკეთა საქმეები შესახებ ეკონომიური მდგრამარეობისა, მეურნეობისა და კარობისა, გზებისა, საზოგადო ჯანმრთელობისა, საზოგადო აღზდისა, საზოგადო წესიერებისა და ქვეუნის გამაგრებისა. ამის ხელშია აგრეთვე ხარჯის გაწერა, მოკრეფა და სხვ.

შვეციის დიდობონ ქალაქებს აქვთ მინიჭებული განსაკუთრებული თვით-მმართველობა და თავის წარმომადგენელებს არა გზავნიან პროვინციალურ რჩევებში. ქალაქის მუნიციპალური რჩევა შესდგება ასი წევრისაგან, რომლებსაც იოჩევენ ქალაქის ხარჯის მძლეველი მცხოვრებლები; ხმის რაოდენობა არის დამოკიდებული ხარჯის რაოდენობაზედ, ე. ი. ერთი გრონი (1 მ. 45 კ.) ამლეკს კაცს ერთს ხმას; მაგრამ ამასთანავე ერთს კაცს ას ხმაზედ მეტი არ შეიძლება ჰქონდეს. მუნიციპალურ

ოჩენაში თავმცდომარებს გუბერნატორი, კიცე-გუბერნატორს გი თვით ოჩენა აოჩენს. ამ ქადაქის ოჩენას ეჭიშძებარება უკულა ქალაქის საჭმები. მთავრობა სკრ და მლის კერც პროცენტიალურ, კერც მუნიციპალურ ანგების. თთორ წევრი 2 კრონს ჯარიმას ისდის, თუ კუბაზე არ დაეწრება და 49 კრონს ისდის, თუ ნასეკარი რიცხვი წევრებისა არ მივიდა და ამის გამო კრება სკრ შესდგა.

თვით-მმართველობა ნორვეგიაში ისეთივეა, როგორც შვეციაში. მთელი სასელმწიფო არის გაუოფილი 17 მაზრად, მაზრები ღლებებათ, ღლები ღვდერებათ, ღვდერები საზოგადოებად. შინაგანი საჭმების წარმოება. ამ დაწესებულებათა ისეთივეა, როგორც შეცდაში, მსოლოდ ნორვეგიაში სამაზრო ოჩენაზე იკრიფებიან წელიწადში ერთ - ხელ მთავარ ქალაქში, საზოგადო საჭმების გასარჩევათ, მაგალითად: სარჯის გასაწერად, სკოლების და გზების საჭმების გასარჩევად.

სამსაჯულო უფლება ნორვეგიაში უწინ ეკუთვნოდა საერთ კრებას, ესლა კი ერთ იოჩენს მსოლოდ მომრიგებულ კომისიას, რომელიც შესდგება რომ მსაჯულისაგან. ეს კომისიები აოჩენენ სამოქალაქო საჭმებს, მინამ ეს საჭმები გადავლენ ჩვეულებრივ სასამართლოში. ამ გვარი მომრიგებული კომისიები 55 ქალაქებშია, 517 სოფლის ღლებში. კომისიის წერები აიოჩევიან სამი წლიბით, ჩვეულებრივი წესით. თუ რამდონაა სასარგებლოა ეს კომისიები, ამას გვიმტკიცებს შეძლება. ფაქტი: 1877 წ. ამ კომისიებმა გაარჩიეს 84,169 საჭმე და ამათში მსოლოდ 13,968 საჭმე გადავიდა. ჩვეულებრივ სასამართლოში. ნორვეგიაში ნაფიცი მსაჯულები არ არიან, მაგრამ ამათ მაგივრათ არის ღლი ასესორი, რომლებსაც სრულ-

წლიურანი მცხოვრებლების სიიდამ ირჩევენ და ესენდ თავის სეჭას მოწერით ამტკიცებენ, ორმ საქმის გარჩევა კანონიერად იყოვს. ნორგეგიაში პირველი ინსტანციის სასამართლოების რაცივი არის 116, უმაღლესისა—5. ნორგეგიას სასამართლოებში პროცესურატურა სრულიად არ არის. კამატტურნებლად აქ არის ან გუბერნატორი, ან სიკა რომელიმე პირი ადმინისტრაციისა. შესანიშნავი კიდევ ის არის, ორმ მსაჯულნი პასუხს აგებენ ზარალისთვის, თუ იგი მოუკიდა მათთან მისულ კაცს, ანუ მათის უცოდინარობით, ანუ განზრას ბოროტოქმედებით.

სამსაჯულო უფლება შვეციაში თითქმის ისეთივეა, როგორც ნორგეგიაში, მაგ. იქაც არ არიან ნაფიცნი მსაჯულნი, გარდა ბეჭედის შესახებ დაწყობილი პროცესებისა. შეცდის დაბალ სასამართლოებში სალსიც იღებს ცოტა რამ მონაწილეობასა. ქალაქის სასამართლოებში ბურგომისტრის გარდა, მონაწილეობას იღებს თხზი ასესორი, რომელისაც ნიშნავს მუხიციპალური რჩევა; სოფლის სასამართლოებში არის თორმეტი ასესორი, თვით სალსისაგან ამორჩეული, მაგრამ მათი უფლება კი ძალიან განსაზღვრულია. შეცდის არის სამი აპელაციური სასამართლო, შემდგარ თავმჯდომარისაგან და თხუთმეტი წევრისაგან, რომელისაც ნიშნავს თვით მეფე. ამ სასამართლოს ექვემდებარება სიგვდილით დასჯის საჭმუბი, ფინანგმობა, შეურაცხებულით მეფისა და აზნაურების დანაშაულობანი. უმაღლესი სასამართლო სტოკოლმში მეფისაგან დანიშნულ პირთაგან შესდგება. წევრთა რიცხვი არის თექვსმეტი, თვით მეფესაც რამ ხმა აქვს, თუ ისურვა საქმის გარჩევაში. მონაწილეობის მიღება.

არც ერთ სახელმწიფოში არ არიან ისე პატივ-ცემულნი.

მსაჯული და მოსამართლები, როგორც შეკრის-ნორვეგიაში. საქმების გარჩევა არ არის გარემოცული ათასგვარი მანქანისთ. საქმე სწარმოობის მოვლენა, მარტივად, უგელას იყალბინ. მსაჯული აქ არის კეთილი მამა, რომელიც არჩევს შეილების საჩივარს. იმისთვის სამწუხაროა შეიღების შორის შედლის ჩამოვარდნა, იმიტომაც სცდილობს მოარიგოს იგინი მამაშვილურად. თვით ხალხს სასულეთ საქმის გახდომა სირცეს კითხად მიაჩნია. მსაჯულებს ეს კარგათ ესმით, და ხშირად მთელ საქმეს ათავებენ მხოლოდ საუკედურით, რომელსაც სალხი უცემის, როგორც დიდი სასჯელს და იავის ჰატიოსნების შეურაცხეოფას.

ნორვეგიაში, სადაც მთლად ერთ მიწის მსვნელია, ჰატიოსნების გრძნობა უფრო გავრცელებულია, ვიდრე სსკა ქვეუნები, სადაც ხალხი პირდაპირ არ არის დაგავშირებული მიწასთან. ნორვეგია თავის დღეში არა უოფილა ტელდალურ მსარედ, ჰატიონ-უმობას არ დაუსვაგა, მისთვის მოსობის ბეჭედი, ისე რომ ნორვეგიელები უოველთვის განირჩეოდნენ თავისუფალი, დაუმოკიდებული სასიათოთ.

როგორც ეხლა არიან კეთილშობილნი, ამჰარტაკანსი მუშავნი თავის საკუთარის მიწისა, რომელიც უგელაფერს აძლევს მათ, ეგრეთიც იუპენ მათი წინა-ჰატიონიც. თუ სალხს აქვს მიწა, მაშინ ხალხში ბუნებითვე ფეხის იდგამს ჰატიოსნება, კეთილ-შობილება, ჰატიოსცემა კანონისა და უგელაფრისა, რაშიაც კი იხატება წესიერება და ზნეობა. ერთი უბედურებათაგა ახლანდელი აღებ-მიცემობის მიმდევარ ქვეუნებისა მდგრმარეობს იმ-ში, რომ ხალხს არა აქვს კავშირი მიწასთან, ისა სცნეორობს ფასით, რომელსაც აძლევენ სამუშაოში, როგორც დაქირავებულს და ამასობაში მუშა ჰქონებავს ჰატიოსნებაზედ ცნებას, ის ჰატიოს

ადარა სცემს განონს, აღლვევს ზენებრივ წესებს. მაგრამ თუ ხალხს, მიწა აქვს, მაშინ სულ სხვა არის. მაშინ ის გრძნობს, რომ მისი პირდაპირი კეთილ-დღეობა მოითხოვს კანონის დაცვას, იმიტომ რომ ამ კანონს აქვთ საგნად ბედნიერება ქვეუნისა, რომლის ნაწილი იმისაც ეკუთვნის.

მასწავლებლები ისევე პატივცემულნი არიან ამ სახელმწიფოებში, როგორც მსაჯულნი. დიუმალიუ ამბობს: «მე განსაკუთრებულის სიამოვნებით კხედავდი მთელ სკანდინავის ნახევარ კუნძულზედ, როგორ პატივსა სცემებს მასწავლებელთ, რომელთ სელობაც — შოამომაკლობის აღზრდა — თვლება საჭარიო და კეთილმობილურ სელობად და იმიტომ მვირად ფასობს. ეს იმიტომ ხდება, რომ სოფლის მასწავლებლები განათლებული ხალხია, სშირად უნივერსიტეტის დიპლომებით. ღარიბ სოფლის ოლქებში ეს მასწავლებლებათ არიან თვით მცხოვრებლებთავანნა, რომლებიც თუმცა ძალიან ნასწავლები არ არიან, მაგრამ მაინც პატივცემულნი არიან კეთილის ფერმერებისაგან, რომლებიც დიდის სიამოვნებით იღებენ მათ თავიანთ ოჯახებში.» სკოლები შეადგენენ მუდმივ საზოგადოებრივ საგანს და საზოგადოთ სელ-მოჭერილნი შევდები — ძალიან უსკები არიან ამ მსრივ. ერთმა გუბერნატორმა უთხრა დიუ-შალიუს: «თუმცა ჩენ დარიბები გართ, მაგრამ ჩენ გვიყვარს ფულების დასარჯვა სკოლებზედ», — და გუბერნატორმა ამპარტავნებით სელი გაიშვირა შშენიერ სკოლისკენ ერთ პატარა ღარიბ ქალაქში. მართლაც მეორე გამოჩენილ მოგზაურს კესლინ შვარცს გაკვირვებით მოჰყავს მაგალითად ერთი მასწავლებელი მივარდნილ ჩრდილოეთის დაპლანდიაში: ეს იყო ნიჭიერი, განათლებული კაცი, რომელსაც ეძლეოდა 1,200 კრონი ჯამაგირი (კრონი 1 პ. და 45 გ.) სახლისა და შეშის გარდა. «გახსოვდეთ, ამ-

ბოს ტრანსუზი-შოგზაური, «რომ აქ მეცადინება სკოლაში გრძელდება მსოლოდ თც-და-ერთი კვირა, და შეადარეთ ამისი მდგომარეობა ფრანციულ მასწავლებლების უძელურ მდგომარეობასთან და მაშინ ცხადათ დაინახავთ, როგორ ძვირად იქასობს მასწავლებლების შრომა შეცდა-ნორვეგიაში.»

სავალდებულო უფასო სწავლა დიდი სახია რაც შემოღებულია სკანდინავის ნახევარ კუნძულზე. 1842 წ. შეცდის სეიმმა დასდო კანონია, რომლის მაღისაც უკელა ბავშვი გაღდებულია იაროს საზოგადო სკოლებში, ან შინ ისწავლის ცხრა წლამდინ. ნორვეგიამაც მიჰმამა ამ მაგალითს და 1848 წ. შემოიღო სავალდებულო სწავლა. 1874 წ. სტატისტიკური ცნობებიდამა სხანს, რომ შეცდაში 738,204 უმაწვილი იყო სასკოლო წლოვანებისა, ანუ 17% მთელი მცხოვრებლებისა. ამათში 615,135 ანუ 83,5% დადიოდა პირველ დაწყებით სკოლებში. 9,267 — საშუალო სასწავლებლებში, 29,066 კურსობისათვესითნებში, 67,021 იზრდებოდა სახლებში. სულ გამოდის 720,479 ანუ 97,6%, მაგრამ ეს ოცნები თანდათან იზრდება, ისე რომ 1878 წ. 98% უბელა უმაწვილების რიცხვისა დადიოდა სკოლებში, როდესაც რომ საფრანგეთში სკოლაში მოსიარულე უმაწვილების რიცხვი 75% იყო, ინგლისში 72%, შეერთებულ შტატებში 82%. პირველ-დაწყებითი სკოლები ოცნებით 8,133 არის (ამათ რიცხვში 1,149 მოძრავი სკოლაა) ანუ ერთი სკოლა 534 მცხოვრებზედ. მასწავლებლების რიცნები არის: 4,803; მასწავლებელ ქალების რიცნები 4,072. პირველებიდამ 3,448 და მეორებიდამ 435 ჭერის და ატესტატები საოცატატო სემინარიებიდამ. გადავალთ ნორვეგიაში და იქაც გავეკირდებით სავალდებულო სწავლის შედეგით. 1875 წ. ნორვეგიაში იყო 1,817,000 მცხოვრებელი და სასკოლო წლობისათვეს 1,200,000 მცხოვრებელი.

კანების უმაწყილების რიცხვი 267,009, რომელიდამ 211,000 დადიოდა მუდმივ სკოლებში, 20,000 მოძრავ სკოლებში, 4,000 კურსო პანსიონებში, 17,000 სწავლითი და კურსო და უმაღლეს სასწავლებლებში და სახლებში. სულ 262,000, ესე იგი 98% მეტი. მუდმივი პირველ-დაწებითი სკოლები 4,470 იუთ 2,266 მასწავლებელით; მოძრავი 1,911 სკოლა იუთ 998 მასწავლებელით. ამ გვარად თითო სკოლა 284 მცხოვრებელზედ მოდის.

ჩემთხსსენებულნი ციფრები ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა მდგრმარეობაში იმულობება სალსის განათლება ამ პატარა გლეხების სამეფოში, და შორც არ არის ის დრო, როდესაც, მთელ შეცდია-ნორვეგიაში უსწავლელი გაცის პოვნა ისევე ძნელი იქნება, როგორც მაგალითად ზოგიერთა ჭკეუნებში ნასწავლი კაცის პოვნა არის ძნელი. იმიტომაც ამ ხალსის კუთილ-დღეობა დღითი-დღე მატულობს. გონიერივ განვითარებას ზედ მოსდექს სივთიერი გაუმჯობესობა. ვერც ერთ სახელმწიფოში თქვენ კურა სახავთ ისე თან-ტოლად განაწილებას, როგორც გონიერივის, ეგრეთვე ნივთიერის ძალისას, როგორც შეცდია-ნორვეგიაში. თქვენ იქ კურა ნასავო იმ შესაძლებულებელ სურათებს, რომ ერთ მხრივ მფლობელობდეს გაცოვებული სიმდიდრე და იმის გურდით კაცს გულა ჰგმირავდეს გამოუთქმელი სილარისე იქ უკელავერი შეზარებულია, უკელავერი შეხამებულია. არ არის უპირველესი მიზური ამ კუთილ-დღეობისა? შრომა, მეოთხეულო, თვალსუფალი შრომა! შრომა არის ის მძლავრი აზარმაცი, რომელზედაც ტრიალებს ბედნიერება ამ პატარა სასელმწიფო-სი. ისინი ჩვენსავით გაჭირებებაში ტრიალებს კი არ მოჰქმებიან-სოლმე, არამედ მაშინვე შეერთებულის ძალით მიადგებიან საჭმეს და გააკეთებენ გადეც; ისინი მთელ თავის სიცოცხლეს ქმნითაში კი არ ატარებენ, არამედ შეგავშირებულნი. არაინ

წრფელის მმურის სიკარულითა, და ეს ხომ ისეთი ძალა არის, რომელსაც წინ ვერა აღუდგება-რა. იქ საჭმას გაკეთება სირცხვილად როდი მიაჩნიათ; იქ კაცი როდი იტუკის «მუშაობა რათ ეკადრება ჩემ გეთიღმობილებასათ.» იქ კაცი, რომელსაც წელიწადში ოცი თუმნის შემოსავალი აქვს, როდი ცდილობს დახარჯოს ორმოცი თუმანი. იქაური ფერმერი-მემამულე, უოკელ-წლივ ნაწიბურებს კი არ ახევს თავის მამულს ჩვენებურათ, არამედ ცდილობს მოუმატოს რამე და მოუმატოს არა სხვის გაგლეჯით, არამედ პატიოსნურის შრომით. როგორც შედეგი უკელა ამისა, იქ წურბელები ვერა ხარობენ, როგორც ჩვენში,

III

როგორც ზემოთ კსოვებით, საზოგადოების და კონსტანტინის წერბილების ბურჯად შეეცია-ნორვეგიაში აღიარებული არის თავისუფალი მიწის მხვნელი. არც ერთ და არც მეორე ძველებაში არას დროს არ ყოფილა ბატონ-ყმობა და ტეოდა-ლური დამოკიდებულება მიწის პატიონისა და მიწის მომვლელის შორის. ერთიც და მეორეც იქ მოთავსებულია ერთ პირში და ტეოდალურის წერბის მაგივრად, რომლის მძიმე უღლიდებამ კერ განთავისუფლებულან თვით განათლებული სახელმწიფოები კვრობაში, აქ ყოველთვის უშიობატესობა ჰქონდა ესრულ წოდებულ აღოდიალურ სისტემას, რომლის ძალითაც მოძრავი და უძრავი ქონება თანასწორეთ იურიებს ღვახის უკელა წევრებ შორის. ამ სისტემამ მიწა კი არ დაჭირ პატიონისა ნაწილებად, რომელსაც არ შეუძლია ღვახის გამოვიყება, როგორც ბევრს ეგონა, არამედ შესდგა მოზრდილი ფურ-

მები, საკმარისნი თქას უძინავებათ. იმიტომაც ამ შეუწებში სუფექს თანაბარი განაწლება ქონებისა. ინგლისში კი, სადაც ოჯა საუკუნეზე მეტი სატონობდა ჭეოდალური წესი, მიწა შეგროვილია რამდენსამე მდიდრის და არისტოკრატის ხელში, ღარიბების რიცხვი დიდია და ხალხის უმრავლესობაც არ არის კმაყოფილი, ბედნიერი და თვით მომქმედი. ამ უკანასკნელ თვისებას ხალხისას ჰიადავს, ორგორც ზემოთაცა კითხვი, მსოლოდ მამულის მფლობელობა, და სადაც ხალხი მოშორებულია დედა-მიწას, იქ ამ ხალხის თვით-მოქმედება და-მოხავებულია. უმამულოთ ხალხი კერ იჩენს თავის განსაკუთრებულ ნაციონალურ თვისებებს. აიღეთ მაგალითად ჩვენ რეინის გზებზე მოსამსახურე პირები. სომ დიდი სანი არ არის, რაც ეს გზა გაისხნა, მაგრამ ერთი შესედეთ ცე მოსამსახურე მეგრელებს, იმერლებს და ქართლელებს ისინი უკალათერი არიან და არა ის, რაც უნდა იყვნენ: ისინი აღარც ქართლელები არიან, ადარც მეგრელები და აღარც იმერლები. იმათი ზნეობითი იდეალი არის აშენებული «სუიდვა-გასუიდვი» პრინციპზე. მაგრამ მებაღე იმერლები კი, საუკუნოდ რჩება იმერლად. მიზეზი არის — მიწის ზედ-გავლენა ადამიანის სასიათზედ. განჩინეთ ბლუმად ქარხანები, ფაბრიკები, რომლებიც შირკელ ხანებში, იქნება მეტს მისცემენ, კიდრე აძლევს ეხლა მიწა და მაშინ ჩვენა გლეხობა დააგდეს გუთანს, გავა ქარხანებში სამუშაოდ; ცოტათ გაისხნება გონებით, უფრო გაუეგნობით, მაგრამ დაუცემა ზნეობით, ჩაკარდება სიღარიბეში, და დაჭიადავს იმ პროლეტარიატს, რომელიც ეხლა მძიმე ღოდად აწეს განათლებულ ეკონომიკას.

მიწის მფლობელობა, ორგორც შეცდაში, ეგრეთე ნორგებაში არის დამუარებული ერთსა და იმავე საფუძველზედ —

ალოდიალურ წესზედ, მაგრამ ისტორიული შემთხვევების ზედგავლენით, ამ წესებმა მიღღო სხვა-და-სხვა ფორმები, და ნორპეგია უფრო კარგს ძღვომარეობაში იმყოფება, ვიდრე შეცდა. 1789 წელს იუო გამოცემული კანონი, ორმლის ძალითაც გლეხების საკუთრებათ ხდებოდა ის სახელმწიფო მამული, რომელიც მათ კერიათ და უკერა წოდებას ნება მიეცა სააზნაურო მამულების შეძენისა. ამ დროდგან იწყება მამულების გადასკვა გლეხების ხელში და ეხლა შეცდაში მიწის მფლობელების რიცხვი შესდგება გლეხებისაგან. 1878 წელს შეცდაში იუო 270,580 მიწის მფლობელი, და სახნავ მიწას

2 აკრს *)	მფლობელობდა	— — —	68,000	კაცი.
2-დამ	20	— — — —	176,000	—
20	100	— — — —	24,500	—
უმეტეს 100	— — — —	—	2,080	—

სულ კერძო მიწის ნაკრები იუო 200,000; გარდა ამისა წერილი ფერმები იუო 185,000. სულ მიწის-მფლობელების რიცხვი იუო 270,580; ამათში 200,000 გლეხებისაგან შესდგებოდა. საშუალო რიცხვით შეცდის გლეხი ჭილობს 30 აკრს სახნავს და 26.—სათბის ადგილს. დიუშალიუს გამოანგარიშებით შეცდაში ერთი ფერმა ითვლება 17 მცხოვრებელზედ, ერთი ძროხა აღზე და ერთი ცხენი ათს მცხოვრებელზედ.

შეცდაში, ოფერაციულ მოძრავი, ეგრეთ უძრავი ჭონება თავსაწორეთ იყოფა შეიღების შორის სქესის-განურჩევლად; მხოლოდ ვაჟი-შვილებს უფლება აქვთ ამოირჩიონ თან-ტოლად და-იოფილი ნაწილთაგანნი, ქალიშვილები კი კმაყოფილდებიან და-

*) აკრი არის მიწის ზომა. უდრის 0,37 მეტამედს დესიკრინისათ. ანუ 888 თოხუეთს საუკენს, თოჯშის 8%, ღლიურისას.

ნარჩენი ნაწილებით. ოომ მამული ბეკ ნაწილად არ დაიყოს, დაწესებულია; ოომ უკეფა ნაწილს უთუოდ შემჭრის სამი სულის გამოგვება, კ. ი. უნდა იუთს 8—14 დღიურამდე. ამაზედ წვრილად მამულის დაუთვა სასტიკად აღკრძალულია. მაგრამ აქც ამ უკანასკნელ დროს ხადგხმა გამოიჩინა სურვილი შეაკრთოს დაუთვილი ნაწილები დიდ ფერმებად, ოომ უფრო კარგად ისარგებლონ მაშინებით და სხვა სამეურნეო მოწყობილობით. ამ სახით მამულის საერთო მფლობელობა აქც ჰოულობს ნიადაგს, და შორს არ არის დრო, როდესაც გერძო საკუთრება სოულიად აღარ იქნება, და შეიძლება დაწწმუნებითა ვსოდეთ, ოომ ამ ჭკეუნების გეთილ-დღეობაც ერთი-ორად იმატებს ამის გარ.

მიწის მფლობელობა ნორვეგიაში იმავე საფუძველზედ არის აღშენებული, ორგორც შვეციაში, მხოლოდ უფრო დემოკრატიული ხასიათი აქვს და უფრო ბლობად იპოვება თემები (ინშინა). საზოგადოთ სკანდინავიაში ბეკი მიწებია საერთო მფლობელობაში; შეუმუშავებელი ადგილები, მთიანი სამოვრები და ტუები ეკუთვნის რამდენსამე ფაზას, ან სამრეკლოს, ზოგაქერ რამდენსამე სამრეკლოს ერთად. ზოგიერთ ადგილებში მიწა იუთვა წერთა შორის რამდენიმე წლით. ერთი მოგზაურობა სიტყვით, ნორვეგიაში ერთს აღაგის აქვთ ჩვეულება, რომლის ძალითაც ფერმერები ურკვდ 50 წლის შემდეგ ერთმანერთს უცვლიან ფერმებს, ისე რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უკეფას ეძლევა შემთხვევა ისარგებლოს საუგეთესო მიწით. ზოგან ტუე ასე იუთოდა: ერთს ეკუთვნოდა მხოლოდ ფინების ხეები, მეორეს ნაძვები, მესამეს ცაცხებები, მეოთხეს ბალახი, მეხუთეს თვით ნიადაგი. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კანონით აღეკრძალათ ტუის ამ გვარი გაუთვა, რადგანაც ნია,

დაგის ჰატრონი მტრად უხდებოდა ხების ჰატრონებს. 1876 წ. მთელი ნორვეგიას მეშვიდედი იუო საერთო მფლობელობაში.

1878 წ. ნორვეგიაში იუო 149,013 ფურმა. ამათგან 135,150 შეიძლება და უკლიდნენ თვით ჰატრონები, და შეოლოდ 13,863 ფურმა იუო იჯარით გაცემული, ისე რომ ერთი ფურმა მოდიოდა თორმეტ მცხოვრებელზედ. ამ სახით ნორვეგიაში იუო 85%, მოსაკუთრე და 15% მოიჯარადო; შეცდიში კი 62%, მოსაკუთრე და 38% მოიჯარადო.

ნორვეგიაში სრულიად არ არის დიდობონი სააზნაურო მამულები, როგორც მაგალითად სხვაგან, სადაც ზოგან მთელი მაზრები ერთს გვარს ეკუთვნის. ნორვეგია უოკელთვის უოფილა და ესლაც არის სამეფო, სადაც ხალხს მინიჭებული აქვს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მამულის საკუთრება. თუ სადმე კიდევ დარჩა ნორვეგიაში ძალიან წოტა სააზნაურო მამულები, ამათ ჰატრონებს არა აქვთ რაიმე გავლენა ხალხზე და ცდილობენ გაყიდონ თავიანთი ფურმები, ისე რომ, მართლაც შორის არ არის ის დრო, როდესაც უკელა გლეხი ნორვეგიაში იქნება მიწის ჰატრონი, ან საკუთრებისა და ან საერთო მფლობელობის წესზე.

თუმცა სკანდინავია კერ დაიტრაბახებს. თბილი ჭარით, ნიადაგის ხაუთეირებით, მაგრამ ნორვეგიულ გლეხებს მთელ კუროპაში ჰირკელი ადგილი უჭირავთ ნივთერის კეთილ-მდგრა-მარებით და ზნეობით. სიმაღლით. მეტადრე ამ თვისებეთ გაირჩევან იქაური ბონდერები ანუ გდეხები, მიწის ჰატრონები, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფოს წესილების ბურჯას. ლენი ამზღვას: «ბონდერი არავისი ბატონია, მაგრამ არც მონა ვისიმე. იმას იმოდენა მიწა არა აქვს, რომ ჰირადი შრო-

მა არ დასჭირდეს, მაგრამ ამასთანავე არც ისე მცირეა, რომ ერთი ღვასი კურ გამოჭერებოს. იმათ გასაყიდათ კი არ მოჭევათ მოსაკალი, არამედ მსოდოდ თავიანთის მოთსოუნილებების დასაკმაყოფილებლად. ისინი თვითონავე იშენებენ სახლებს, თვითონავე იკეთებენ აკეჯეულობას, გუთნებს, ურმებს, ცხენის დარალებს, რკინისა და სის ნივთებს, ერთი სიტუაცით უკელა-ზენს, რაც კი ღვასში საჭიროა, შეუძლებელისა და ფრალადის ნივთების გარდა. ამიტომაც ისინი იმუოფებიან უფრო კარგს. მდგრამარეობაში, ვადრე სსკა სასელმწიფოების გლეხები. ამ სა-ხით, თუ სადმე მოიპოვება კმაყოფილი სალსი, ეს ხალხი უნდა იყვეს ნორუებიელი ბონდერები. ასინი სწორვობენ ლამაზი, მოსერ-ხებულ, სუიფა სახლებში; იმათ აქესთ ბლომათ ლოგინი, სა-ციალი, ტან-საცმელი, საჭმელი. და სასმელია.

IV

ჩვენ ადარას ვიტუკით კურძოდ გამოჩენილ ფერმერებზედ, როგორც არიან ტაფტე, ბიულსტაგ. ადარას ვიტუკით იმათ დემოკრატიულ ცხრვრებაზე, იმათ შრომის-მოუვარეობაზე, იმათ თავმდაბლობაზე, იმათ მამა-შვილურ მოქცევაზე მუშებთან, იმათ გავლენაზე ხალხის უკელა მოქმედებაში. უკელა ამის აღწერა ძა-ლიან შორს წაგვიუგანდა; იმიტომაც ჩვენ გადავალო საერთოდ სეანდინავის სალხის ჩეკვების, ზნეობის, განკრობის, სახელ-მწიფო ხაზინის მდგრამარეობის აღწერაზე.

«საერთო აბანოები», ამბობს დიუ-შალიუ, დარბას იმის-

თანა დაფუძნება, რომელიც აშეარად გვიჩვენებს სკანდინავიულების ჰატრიარხისალურ მიმართულებას. ეს არის ერთი ჰატრიარა უფანჯრო ხის სახლი; რომელიც სდგას უოკელთვის სოფლის განშორებით. უოკელ შებათობით ეს აბანო ხურდება და სოფლის მცხოვრებლები ბანაობებ უგვარას ერთად. უცხო კაცის არ უშევებენ ამ აბანოებში. იმას ცალკე უეუძღია ბანაობა; ჩეულებრივ სტუმრისთვის აბანოს მართვენ შინ, დიდ ჭვპბში, რომელშიაც საქანელს საჭმელს უმზადებენ. მაგრამ აქაც ბანაობის დოროს ეხმარება ახალ-გაზდა ქალი, რომელიც დაურიდებლად ჭბანს საპნით. ზოგიერთ დიდრონ ქალაქებშიაც აბანოებში ემსახურებიან ქაღები, მხოლოდ მოხუცებულები. როდესაც კარგად დავუახლოვდო მცხოვრებლებს, მხოლოდ მაშინ მიმიწვიეს საერთო აბანოში. მე ძალიან კარგად მახსოვს ჩემი ჰირკელი ბანაობა. ერთხელ შებათს მოვიდა ჩემთან რამდენიმე უმაწვილი და მითხრეს: მოდი ჩვენთან იბანეო. ახალ-გაზდა ქაღები და მათი შშობლებიც დასთანხმდნენ. საშინლად ციოდა და დედა-მიწა თოვლით იყო დაფუძნელი. საღამოთი მე ფანჯრიდამ დავინახე, რომ ახალ-გაზდა ქაღებმა გაარჩინეს აბანოსკენ იმ სახით, რომელმაც მამაკანს აფრიკა.. მერე მათ შოჰევნენ დედაბერები, მოხუცებულები, ახალ-გაზდა ქაუები და უმაწვილები. სუეველანი მთლად ტიტკლები იუნენ გარდა ბებერი დედა-კაცებისა, რომელთაც ძელი იუბები ჭრონდათ აფარებული. ბოლოს მეც წავედი სუბუქათ ჩაცმული. შეკალე კარი, შეკედი და იქ დამსვდა ბლომად ხალსი, რომელმაც სიხარულით მიმიღო. ჰატრია ხანს უგან, ბანაობა თომ გაათავს, ისეც ტიტკლები დაბრუნდენ სახლებში და გზაზედ ბეგრძა თოვლში დაიწყო გორაობა; მეც მიღბაძე იმათ და ეს ძალიან სასაბამოვნოთ მეჩვენა. შინ რომ დაბრუნდი, მაშინვე არ ხავიცვი, რომ

გაკმრალვიყავი, და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ჩემთან შემოვიდნენ სახლის ჰატრონი ქალი და იმისი ორთ ქალი-შვილი სრულიად ჩაწმულები. მე საშინლად შემრცხევა, არ კიცოდი რა მექნა; ისინი ამას უურადღებას არ აჭირდნენ და დაშიწუეს დაშვიდებით მასლაათი. უგელა ეს, რასაცა გსწრე, მე მინასავს ჩემის თვალით. აქ საკვირველიც არ არის-რა. უმე-ლა ჩემი მეგობრები ბანაობდნენ ერთად და არავის უკვირდა-სრატისტიკა გვიჩვენებს, რომ მთელ ეკრობაში არ არის ხალ-ხი, რომელიც ზნეობით შეკცია-ნორგეგიელებზედ მაღლა იღ-ბეს. არც ერთ გარევნილ ქალს, რომ გამოჩენილიურ გიღეც, არ აცხოვორებდნენ ამ ჰატრიათხალურ სოფლებში».

უკელა ზემოთქმულიდამ შეიძლება გამოვიყვანოთ ხასიათი სკანდინავის სალსისა. ეს არის მამაცი, კმაყოფილი, ჰირ-მტკიცე სალხი. მათი ციკის, მშვიდ დ თითქმის სასტიკ გარეგ-ნობის ჭკეშ-იმალება ჩვილი, მხურვალე გული. დიუ-შალიუს თა-ვის ე უოფნაში არ გაუგონია, რომ მშობლებს ეთქვათ რამე ხეპრული სიტყვა თავის შვილებისთვის; არ უნასავს არც ერთი ჩსუბი ცოლ-ქმრებ შორის. უპირველესი თვისებანი ამ სალსისა არის: ჰატიოსნება, უბრალო ჭცეა, სიფხიზლე, ანგარიშით ცსოვრება, განათლება, ჰოლიტიკურად დაკმაყოფილებული; თანა-სწორობის გრძნობა, შრომისა და სტუმართ-მოუკარეობა, ზრდა-ლობა.

ჰატიოსნობა სკანდინაველისა საანდაზოთ არის გამხდა-რი და ეს ცხადათ მტკიცდება იმ უკელასაგან ცნობდები ფაქ-ტებით, რომ იქ არათერს არა ჰქეტავენ. ეს ჩვეულება ისე აქვს გამჭდარი ხალხსა, რომ მოსამსახურე ერთს წამს არ დადგე-ბოდა იმ სახლში, სადაც ჰატრონი მოინდომებდა კამოდების, ან შეაფებდას დაკუტვას. სახლის ჰატრონი რომ წავა სადმე,

სახლის გასაღებს გარეთა კარებში აჩხენს, რომ ვინიცობაა მე-ზობელს, ან მოგზაურს დასჭირდეს სახლში შესვლა, შეეძლოს კარების გაღებათ. დიუ-შალიუ რამდენჯერმე დამდგარა ამისთანა ცალიელ სახლში. ამავე მოგზაურს უნახავს მივარდნილ ადგილებში მთავრობისაგან აშენებული პატარა სახლები მოგზაურებისათვის. ამ სახლებში უოველთვის მოიპოვება თბილი ტანისამოსი, საცვალი და საჭმელ-სახმელი, დატოვებული რომელიმე მოგზაურისაგან თავის დაბრუნებამდის. თავის დღეში მათთვის ხელი არავის არ უხდია. სტონი ამბობს, რომ იმისმა ქმარმა დიდ გზაზედ დაკარგა ჭისა. ერთიც კნახოთ უკან მოგვდევდა პატარა ბიჭი და იქნევდა ჭისას; მოგვცა და თითონ მსწრაფლად გაიჭცა, რომ არა გვერუებინა-რა. დიუ-შალიუსაც ბეკრჯელ დაჭერებოდა ფული, ნივთები, მაგრამ უოველთვის ასევე უბრუნებდნენ; ერთი რაღაც პატარა ნივთი წლის შემდეგ ნორვეგიიდამ ამერიკაში გაუგზავნეს თავის ეჭის ხელით. ერთმა მუშა ჭალმა იპოვა ოქროს მედალიონი და მაშინვე დაუბრუნა პატონის. პატონმა ჭიდოხს. რატომ არ დამალეო? ჭალმა უპასუსა: «მერე, როგორდა უნდა. შემეხედნა სსვისთვის თვალებშიათ!» ჩვენში? ნუდარას იტყვით. აიღეთ რომელიც გინდათ გაზეთი და წაიყითხეთ: იქიდამა გვწერენ, რომ ჭურდება გახშირდათ, აქ ავაზავები დაუცნენ სახლსა და გაქურდესო, იქ ცხენები დაიპარესო და სხვა ამ გვარი ამბები შეგხვდებათ ბლობათ, ძალიან ბლობათ. დაკარგულის დაუბრუნებლობას ვიდა სჩივის: ნეტავი რაც ჭაცს არ დაუკარგავს; იმასაც ძალით არ ართმევდნენ.

ზნეობით სიმტკიცეს ამ ხალხისას უგელაზედ გარგად გვიჩვენებს სტრიტი ტეტერი ციფრები. მცხოვრებლების რიცხვები ძალიან ემატება; ნორვეგიაში ეს რიცხვი ერთი-ორად აქცია 62

წლის განმავლობაში. ხოლო შეცდიაში 72 წ. განმავლობაში. ამასთანავე საჭირო არსად სცხოვრობს იმდენი ხანი, რამდენსაც აქ. სიკვდილის პროცენტი არის შეცდიაში $18,3\%$, 1,000 მცხოვრებელზე; ნორვეგიაში კი $17,1\%$, მთელ ევროპაში არის 20 და 25% , რუსეთში კი 30% . სკანდინავიაში საჭიროების სიმაღლემ იმატა, ევროპაში კი იყლო. არც ერთ სასელ-მწიფოში არ არის ისე მცირე რიცხვი დანაშაულობათა, როგორც სკანდინავიაში; მკვლელობა ძალიან იშვიათად ხდება; ნორვეგიაში ან ერთი, ან როი მკვლელობა უნდა მოხდეს წელიწადში, მაგრამ ზოგჯერ რამდენიმე წელიწადი გადის, რომ მკვლელობა სრულიად არა ხდება.

თავის-მოკვლა, რომელიც ისე მძინარებს უკეთა სახელ-მწიფოებში — სკანდინავიაში სრულიად არ არის.

მხოლოდ უკანონო შეილების რიცხვითა სდგას შეცდა ერთ წელზე ეპოქის ზნეობით დაცემულ სახელმწიფოებთან; მართლაც იქ 10% უკანონო ბავშვებისა — ეს ძალიან ბევრი არის. მაგრამ ამათ რიცხვში ითვლებიან ბავშვებიც, დაბადებულნი იმისთანა მშობლებისაგან, რომელიც სამრეკლო წიგნებში ჩაწერილნი არიან ცოლ-ქმრებათ, მაგრამ კერ მოუსწორიათ საკლესიოს წესის შესრულება. შეცდის კანონების ძალით კი ამ ბავშვებს აქვთ კანონიერის შეილების უფლებანი. ნორვეგიაში კი უკანონო შეილების პროცენტი არ აღემატება 8% .

უკეთა მოგზაურები ერთ ხმათ ამტკიცებენ, რომ სკანდინავიები ზნეობით უკეთა ეპოქიებს საჭიროებზედ მაღლა დგანან. ერთად ბანაობა მხოლოდ იმისთანა საჭხს შეუძლიან, რომელსაც გარეუნილობა აზრშიაც არ მოსდის. ეგრეთვე შესანიშნავია ის ფაქტი, რომ სკანდინავიები წვერან ერთად კაცები და ქალები, როგორც შინ, ეგრეთვე გამებში. დიუ-შალიუს

შოთავას შემდეგი მაგალითით. ერთხელ ის უოფილა დაპატიჟებული ქორწილში, მაგრამ ის უკელაზე ადრე წასულა დასაძინებლად. მაგრა ტანთ-გასდა კერ მოესწრო. კარები გაღებულიყო და ოთახში შესულიყო პატარძალი თავის ამსანაგი. ქალით, გაეხადნათ ბაშმავები და ნაცეკვათ ჩაცმულნი წამოწოლილიყვნენ მეორე კრავატზედ. აჩვენ მოვედით თქვენთან, უთსრუს იძათ, რომ თქვენ მარტოვა არ მოგეწყინოთოთ.

ლოოთობა ერთ დროს მძვინვარე მტერი იყო სკანდინავის სალსისა. ამ საუკუნის ნასეკარში ლოოთობა ისე გახშირდა შეკრიაში, რომ მოული სალსის ზნეობა დიდ საფრთხეში იყო; თომოც ათასზე მეტი ზავოდი ხდიდა 1855 წ. 130 მილიონ ლიტრა არავსა. მაგრამ ბოლოს დროს გამოიცა კანონები, რომლებმაც შეავიწროვეს არავის გამოსდა და გაუიდა, ისე რომ 1877 წ. ისდებოდა მსოფლოდ 77 მილიონი ლიტრა არავი. რასაკეიირკელია ლოოთობაც შემცირდა. ამ კანონებს ზედ დაუმატეთ განათლების ზედ-გაულენს და მაშინ ადგილად დაერწმუნებით იმ მოგზაურებს, რომლებიც ამბობენ, რომ ნორვეგიაში მთვრალი კაცის ნასვა მნეფი არის.

ეკონომიკური ცხოვრება, მომჭირნეობა და პირიანობა არიან აუცილებელი შედეგი სიცოდურებისა; და თუ ეს თვისერ ბანი არა, სკანდინავის ფერმერები კერა გზით კერ მოახერხებენ ისე მშენებვად წაეუგანათ თავისი მეურნეობა. ისინი ყოველთვის კეთილ-გონივრათ მომჭირნეობენ, და თავის დღეში არ აიღებენ პირველის, ან მეორე კლასის ბილეთებს გემებზედ. ამასთანავე ისინი მუნწები არ არიან და სადაც საჭიროა, იქ დიდს უხვობას იჩენენ. რაც შეეხება სტუმართ-მოუკარეობას შეკრინორკებიელებს არა ჰყავთ ბადალი მთელ უკროპში. მოგზაურს უოკელთვის სისარულით, ზრდილობიანად იღებენ, ასმევენ, აჭ-

მეგენ და ძალიანა სწყინთ, თუ ფული შეაძლიეს.

თანასწორობის გრძნობა არა ხალხში არ გრის ისე გაძლიერებული, როგორც შეციანორგებილებში. სკანდინავიანასეპარ-კუნძულზედ უკელა თავის-თავს სხვის სწორათ სთკლის, იმიტომაც უკელა საქმე პატივ-ცემულია და ხელით შრომა სირცხვილად არ მიაჩნიათ. მდიდარი მემამულები, პარლამენტის წევრები, მსაჯულები თვითონა მუშაობენ მამულებში, მეთე კარლო XV სშირად ხნავდა თავისი ხელით. დიუ-შალიუ მოგვითხრობს ერთის ციხის გამნდანტზე, რომელიც იჯდა თავის სახლის გარებში და შეიაღებს ფეხსაცმელებს უკერებდა. ესლანდელმა მეფემ რასეარმა II თავისი სიცოცხლე დაზღვევა. აი სადამდინ მიაღწია ურთიერთ-შორის სათხოების გრძნობამ. დიუ-შალიუს უთხრა ერთმა მუშამ: მე ერთს წამსაც არ დაკრჩებოდი იმ ოჯახში, რომელიც მომცემდა ცალკე რთახს; მე დაკრიკები მხოლოდ იქ, სადაცა წევს მოედი სახლობა. ა მუშები, მოჭამაგირები სკამენ და წერნან პატრონებთან, რომელებიც ამათ მამა-შკილურათ ეჭცევან. იმიტომაც მხოლოდ ამისთანა ჭრეუნაში შეიძლება შემდეგი მაგალითი: იყო ერთი დამაზრი, ახალ-გაზრდა მოახლე, რომელსაც 500 დოლარი ჰქონდა. ბევრმა ითხოვა ეს ქალი, მაგრამ უგალას უარი უთხრა. რათ გავთხოვდები, ამბობდა ის მხიარულის სიცილით, მე მუშაობა მიოჩეუნიათ».

შრომის მოყვარეობა აუკავშირდებოდა თვისება არის მცხოვრებელისა სკანდინავიაში, რადგანაც სამ თვეში მემამულებ უნდა შეასრულოს ერთის წლის მინდვრის საქმები. იმიტომა

საკიონკელი არ არის, რომ ის მოკლე ზაფხულში მუშაობს დი-
ლის 9 საათიდამ საღამოს 9 საათამდინ. დანარჩენ დროს ის
სხვა-და-სხვა საქმეებს ანდომებს, რადგანაც ბეკრ ფერმერები იმავა
დროს მჭედლებიც არიან, ხარაზებიც, თერმებიც. ახლა აიღეთ
სკანდინავიულების ბრძოლა ბუნებასთან: ზოგან ტუების გაეათვა,
ჭაობების გაშრობა, რომ მოუმატონ სახნავ მამულებს, და
თქმენ მაშინ უფრო ცხადად წარმოგიდგებათ ამ სალხის უზო-
მო შრომის მოვარეობა. აქაც არ შემიძლიან ჩვენ ქართველებ-
ზე არა ვთქვა-რა: რა გემებულებოდა, რომ ჩვენც ბუნებასთან
ისეთი საბრძოლველი საქმე გვქონოდა, როგორც, მაგალითად,
ამ ხალხს? რა გემებულებოდა, რომ ბუნება თვითონკე ძალათი
არ გვაძლევდეს ლუქმას.

საკალებულო სწავლის წყალობით განათლება აქაურ უბრა-
ლო ხალხში უფროა გავრცელებული, ვიდრე სხვა სახელმწი-
ფოების პროვინციალურ საშუალო ხალხში. სკანდინავიულების
ძალიან უკართ ვითხვა, და გრძელ ზამთარს წიგნის ვითხვაში
ატარებენ. თათქმის უოგელ სოფელში მოიპოვება წიგნის მა-
ღაზია. მდიდარ ფერმერებს აქვთ საკუთარი ბიბლიოთებები სა-
სულიერო და სასარგებლო წიგნებისა, რომელებშიაც უთურდ
კანონის წიგნიც მოიპოვება. ურთნალ-გაზეთებიც ძალიან არიან
გავრცელებული ამ ქვენებში, იმიტომაც აქაურ გლეხს, ადგა-
დნ შეუძლიან თვალ-ური ადეკნოს პოლიტიკას, რომელებიაც
ის კარგად არის დასელოვნებული. შესანიშნავია, რომ ნორვე-
გიელი რადიკალები არიან. სხვა სახელმწიფოებში
კონსერვატორობას უფრო სანდელი მოთავე ნორვე-

გველების რადიკალებისა არის სოფიულები შეარია ფერმერი, სასელად ითვან სკორდოული.

როგორც ზემოთა ვსთხევთ, ამ სამუფლოში ქალაქებს დადი მნიშვნელობა არა აქვთ. 1879 წ. შეკვეთის იურ სულ 4,578,901 მცხოვრებელი და ამათვან მსოფლოდ 690,188 სცხოვრობდა ქალაქებში, რომლებიდამაც მსოფლოდ სამს ქალაქებში იურ 50,000 მცხოვრებელზე მეტი, მაგალითად სტოკოლმი—173,433 მცხოვრებელი და გოტებორგში 76,761 მცხოვრებელი. ნორვეგიაში იმავე წელს იურ სულ 1,916,000 მცხოვრებელი, ამათვან ქალაქებში მცხოვრებელი იყო 332,398. თითქმის უკეთა შეკვის ქალაქებს დადი ადგილი; აქვთ განიერი ქუჩები, დიდობანი დაბალი სასლები, რომლებიც ერთმანერობენ მოშორებითა სდგანან. მღმეტებული ნაწილი სახლებისა, როგორც შეკვიაში, ეგრეთვე ნორვეგიაში, წითლად არის შეღებილი. ქალაქის მცხოვრებლები, როგორც საერთოდ მთელი სალხი, განირჩევა თანაბარის შეძლებით; თუ მალიან მდიდარი არავინ არის, მალიან დარიბიც არ არის. გამოჩენილი ისტორიული ფრთუდი ამბობს ერთ ქალაქზე სასელად ბერგეზზე: «იქ არ არის მდიდარი სასლები, არც გლასები, არც საღარბის ნიშნები. — გუავთ თქმენ დარიბები? ვკითხე ერთს მენახშირეს: — დარიბები? მიპასუხა იმან: — დიალ, ბევრი, მაგრამ უსიკეთები კი არა, როგორც თქმენ ინგლისში; უკეთა ჩენ დარიბი აქვს ლუკმა-შური.»

უაჭრობაში შეკვიას და ნორვეგიას უკირავთ თვალ-საჩინო ადგილი, მეტადორე უგანასკნელს. უკეთ-წლიური კატერული მიმობრუნვა ამ შეარია სასელმწიფოსი აღმატება ნახევარ მილიარდ ფრანგის. უკეთზედ მეტს სკანდინავია ვაჭრობს ინგლისთან. ამ ქვეუნებიდამ გააქვთ ტუე და გარდა ამისა შეკვიდამ

მაღნეულობა და პური; ნორვეგიდამ თევზი. ინგლისიდამ შემოდის: ნახშირი, ბამბის და მატულის ქსოვილები. მაღნეულობიდამ სკანდინავიაში პირველი ადგილი უჭირავს: რეინას ჭსპილენძს. გარდა ამისა შეკრის პოულობენ თუთიას (ცისკა) და კერცხლს. მაგრამ აქ პირველი ადგილი უჭირავს თევზით კაჭრობას.

ქარხანები არ არის ბევრი შეკრია-ნორვეგიაში. 1875 წ. იულ 2,719 სხვა-და-სხვა ქარხანა, ორმლებიც ამზადებდნენ 240 მილიონი ფრანგის საჭრელს და ამჟამებდნენ 200,000 მუშას. უკანასკნელ ღრუს აქ ძალათ გახშირდა სპიჩების კეთება. 1876 წ. 98 ქარხანა 3,085 მუშათ ამზადებდა 45 მილიარდ კოლოუ სპიჩებს და გაჭქონდათ უკალა ეპროპის სახელმწიფოებში 9 მილიონი ფრანგისა. წკრილმანი სელოსნობა ძალათ არის გარეულებული შეკრია-ნორვეგიაში.

სახელმწიფო ფინანსების შესახებ სამეცო იმუოფება განსაკუთრებით კარგს მდგომარეობაში. ის ცოტა ხარჯს ისდის, არა აქვს სახელმწიფო კალი და შემოსავალი კი უოკელობის აქაობებს გასავალსა. 1881 წ. შემოსავალი იყო 74,995,000 კრონი *) გასავალი კი 61,814,000 კრონი. დანარჩენი ფული 10,000 მეტი წავიდა რეინას გზების გამოსასუიდავად აღებულ კალებში. ეს კალები შეადგენენ 220,296,159, მაგრამ სახელმწიფოს აქვს მიწა და სხვა საკუთრება, ორმედიც აღემატება ამ კალს. ნორვეგიაში იულ: შემოსავალი 43,791,900 კრონი — გასავალი ამდონიკე, მაგრამ ამ გასავალში არის ნაჩვენები რეინას გზების გამოსასუიდველად აღებულ კალებში მიცემული 6,000,000 კრონი. და ახალი გზის გასაკუთებლად

*) კრონი უდირის 1 მან. და 45 კაპ.

8,000,000 კრონი. სახელმწიფო მამულები ნორვეგიას აქვთ
84,200,000 კრონისა. მაშასადამე კალი ჭრინია მხოლოდ
15,432,000 კრონი. ამ სახით სკანდინავიულებს შეუძლიანოთ
დაიტრაბებონ თავის ფინანსების კარგ მდგრამარებით. *)

6. ჩაჯანაშეილი.

*) ეს ორი პაციანა სცაცია შვეცარია დი ნორვეგიაზე წარმო-
ადგენს შემოკლებით გამოკრებილს ცნობებს ორის ვრცელი ურილილია,
რომელიც იყო დიბჭიდილი რუსულად უკრნალ «Отечественные За-
писки» წარსულის 1883 წ. № № 2 და 3. სათაურით: Страна по-
лunoчнаго солнца и граматныхъ крестьянъ. ავტ.

თვით-შეასრულობა საზოგადოთ და ქალა- ქისა კონკრეტ.

(წერილი ქუთაისიდგან)

ერობა და ქალაქის თვით-შეასრულობა ერთი უგეოესი
და უმეთიღმობილესი ოჯორომათაგანია წარსულის მეფობისა.
თვით-შეასრულობა, თუ კი იგი ხეირიანად არის მომართუ-
ლი და მართლა თვით-შეასრულობის პრინციპზედ არის დაწ-
უობილი და აღმენებული, წარმოადგენს უტეუგას სკოლას, სადაც
საზოგადოება იწვრთნება და კითარდება პოლიტიკურად. დღეს ეპ-
რობის სალხთა შორის პოლიტიკურად უფრო ის სალხია გაწ-
კრთნილი, იმ სალხს უფრო შესაფერად აქვს მოწყობილი ცხოვრება
და დამოკიდებულებაც უფრო მკეთრო აქვს გარეთ და შინ, რო-
მელიც სარგებლობს. სრულის თვით-შეასრულობით. განათლე-
ბაც იმ სალხისა არის, ეკონომიკურის გეთიღ-დღეობითაც უფ-
რო ამ გვარი სალხი სდგას მაღლა და მნიშვნელობაც უფრო
იმისთანა სალხის ხმასა აქვს სახელმწიფოთა ურთიერთ შო-
რის პოლიტიკაში. პოლიტიკური ჭრის სახელმწიფოსა,
რასაც ირკველია, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკური
მდგრადიანებაზედ, იმიტომ რომ ეკონომიკურად უზრუნველ-
ეოფილი ხაწილი უოველთვის ხელმწიფობის და მმართველობის
იმ გვარს სასიათსა და მიმართულებას აძლევს; როგორიც მას

მოუხდება და პოლიტიკურის უფლებითაც ის უფრო სრულად სარგებლობს, კინემ დანარჩენი ნაწილი, ეკონომიკურად უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნილი. ისტორიულად ცნობილია, რომ არეულობისა და რეკოლიუციის შედეგებით და ნაყოფით უოველთვის ნივთიერად შეძლებულს ნაწილს საზოგადოებისას უსარგებლნია და ღარიბისა და ღატას კი ერთი, ან ორი რამე თუ რგებია ამ შედეგისა და ნაყოფისაგან. ამ გვარი გავლენა ეკონომიკისა პოლიტიკურებ და სახელმწიფოის პოლიტიკურს წეს-წერილებაზე ისტორიისა და ცხოვრებისაგან აღიარებული ტაკტია და, მაშასადამე, წარმოადგენს უტეუჯარს ჭეშმარიტებას. მაგრამ ისიც მართალია, რომ პოლიტიკურს ჭორმასაც დიდი ზედ-გავლენა აქვს საზოგადოების ეკონომიკურს მდგომარეობაზე, ამასაც ვიტევით, რომ არის იმისთვისა მდგომარეობა ხალხის ცხოვრებაში, როდესაც პოლიტიკურ საქმეთა გარდაწევეტა და პოლიტიკურის საგანის დამთავრება არის პირველი ნაბიჯი ეკონომიკურის კეთილ-დღეობისა. პოლიტიკური უფლება ერთხმდლავრ იარაღთავანია, რომლითაც შეიძლება ნივთიერის მდგომარეობის განვარგება. უწინდელს დროში, როდესაც მონობა და ბატონ-ემობა ჩვეულებრივისა და კანონიერის მოვლენას შეადგნდა, მონა და უმა მოვლებული იურიდიკულად უფლებას, რომ საწინააღმდეგო ხმა ამოუღო თავის არა-კაცურს მდგომარეობაზე; ეთქვა, რომ ისიც ადამიანია, რომ იმისაც უფლება აქვს დააკმაყოფილოს თავის ტეინისა და კუჭის მოთხოვნილება. ამიტომ შემცდარად მიგვაჩნია ის აზრი, რომ კითომც თავდაპირველად ცხოვრების ეკონომიკურად გაუმჯობესობას უნდა მეცადინეობდეს კაცი და პოლიტიკური უფლება თავისი-თანკად მოჰქმება ამ გაუმჯობესობასათ. ამ აზრის ერთ-მხრივობას ამტკიცებს, როგორც ისტორია ხალხთა წარსულის, ცხოვრები-

სა, ისე თანამედროვე ცხოვრების გამოცდილებაც. ეპროპაში დღეს პირსელს პლანზედ სდგას ეგრედ-წოდებული და მათა საქმე» ესე იგი მუშა სალხის ცხოვრების განკარგება, — ეს საქმე წარმოადგენს საზოგადო სოციალურს საგანს. მაგრამ დაუკვირდით მუშების განათლებულს, წრთულსა და უერთგულების წარმომადგენლებს და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი იღენტან, სხვათა შორის, იმაზედაც, რომ პოლიტიკური უჯღება, სახელმწიფო საქმეებში ხმის უფლება მიენიჭოსთ მუშებსა და დაბალს ხალხს უფრო მომეტებულად ფართდ, კინემ ეხლა აქვთ მინიჭებული. რატომ? იმიტომ, რომ ამით შესაძლებელია სახელმწიფო ორგანიზმის სხვა-და-სხვა ნაწილები ისე მოიწყოს, რომ მუშა-მაწარმოებელი ულუკმა-პურლდ, მშერ-მწუურკალი, შიშკელი და გაუნათლებელი არ დარჩეს. და უგელა ამით კი არ ისარგებლოს უსვად იმან, ვინც მუშა-მწარმოებელი არ არის.

თვით-მმართველობას, სხვათა შორის, ერთი ძვირფასი გამამართლებული საბუთი აქვს კიდევ, და სახელდობრ ის, რომ თავის საქმის ავისა და კარგის ამბევრ უფრო ადგილის კაცმა იცის, ვინემ სხვამ მოსულმა და ამას გარდა უოკელს საქმეს ის უფრო ერთგულად, თავიანად და მუედათად ჰქიდებს სელს, ვის ბირდაპირს ინტერესებსაც ეს საქმე ესება. რუსეთში და ჩენწიაც ხვით-მმართველობას, რასაკვირკელია, ნიადაგი ერთობ სუსტი ჰქონდა. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვითომც სალხი მოზადებული არ უოთილიყოს, ან დღეს არ იყოს ამ თვით-მმართველობისთვის მომზადებული და ან ვითომ ნიჭი არა ჰქონდეს თვით-მმართველობის შეთვისებისა და გამოუქაბისა ცხოვრებაში. ჩვენ ვამზობთ, რომ რუსეთის სალხი მომზადებული არ იყო რევოლუციებისათვის, ან კი როგორ შეიძლებოდა მომზადებული უოთილიყო თავისუფალის მმართველობა-

სათვის ის ხალხი, რომელიც საუკუნობით მონებისა და ბატონ-უმობის ატმისფერაში ცრდაღობდა და რომელიც მონობისა და ბატონ-უმობის სკოლაში იზრდებოდა!... მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვიტუვით, რასაკირკელია, რომ თვით-მიმართველობის შემოღება რუსეთში ვითომც უდროვო უოფილოება, როგორც ბევრი ჭირიქობს... თქმა არ უნდა, რომ იქ, სადაც ხალხის ცხოვრება შეუფერებლად მიმდინარების პროგრესის გზაზედ, სადაც ხალხის ფიქრს, აზრს, მოსწრაფებას და თვით-მოქმედებას ხელოვნურს, გამოგონილს დაბრულებას არ უღობავენ,—იქ, ვამხობთ, რასაკირკელია, უოკელი რეფორმა პირ-და-პირი ბუნებრივი შედეგია წინა-მაკალის ცხოვრებისა, ნახტომი კი არა, ერთი ფეხის წინ გადადგმა არის, ნაბიჯი; იქ ხალხი უოკელოვის მომზადებულია ამ ნაბიჯისათვის, რეფორმისათვის, იმიტომ რომ წინა-მაკალის ცხოვრებას მისი ტვინი პოლიტიკურად განუვითარება. რუსეთში ცოტა სხვა ნაირად მოხდა საქმე. რუსეთში განსენებულის იმპერატორის აღქმანდებუს რეფორმების შემოღება ნაბიჯი კი არა, ნახტომი იყო, თთქმის სრული და თთქმის მოუბრუნებელის კავშირის გაწევება იყო წარსულს ცხოვრებასთან; მაგრამ მიუცილებელი კი იყო ამ ნახტომის ქმნა. ყირიმის ომია რუსეთის შეგნებული საზოგადოება დაარწმუნა, რომ ბატონ-უმობა იყო ის უმთავრესი სენი, რომელიც ხრწინიდა სახელმწიფო სხეულს და რომელიც შეუძლებელად ხდიდა ცხოვრების წარმატებას. ეს საზოგადოება და მასთან მართებლობაც წახდად სედაჭდა, რომ თუ ეს ბატონ-უმობა არ ამოიფსვრებოდა ძირიანად, ისე უოცლად შეუძლებელი იყო, რომ რუსეთს კროპის დანარჩენ სახელმწიფოებთან ფეხი გაეწვდია, ესე იყო, საზოგადოდ რომ გსთქვათ, ბატონ-უმობასთან მოუფიქრებელი იყო, რომ რუსე-

თას საზოგადოება განათლებას, ცივილიზაციას და კულტურულს
წარმატებას ზიარებოდა. — ამიტომ მართებლობამ, საზოგადოებას
შეგნებულის ნაწილის დაწმარებით, მოსპონსორობისა
და შემოიღო სსკა-და-სსკა რეფორმები, რომელთ შორის პირ
გელი ადგილი უჭირავს: სამსჯავრო რეფორმებას, ერთხს და
ქალაქის თვით-მმართველობას. მართალია, ამ რეფორმებმა სრუ-
ლიად კერ გაამართდა საზოგადოების იმედი; მართალია, ამ
რეფორმებს სულ ის შედეგები არ მოჰყევა, რომელთაც რეფორ-
მების მომხსენი და თავისანის-მცემელი მოედოდენ, მაგრამ
აქედგან სულაც არ გამოდის თვითონ რეფორმების უადგილო-
ბა. ერთი რომ, თუ ამ რეფორმებით არა, რუსეთის საზოგა-
დოებრივი აჩრი, მისი პოლიტიკური შეხედულება და გამოც-
დილება ასე შორის კერ წაკიდოდა, თვითონ განათლება და მეც-
ნიერებაც ფეხს კერ ადგამდა და მეორეც ამ რეფორმებს ისე-
თი შრინციპით უდეგსთ დედა-ბომად, რომ მათი ნაკლის გას-
წრობება ადგილად შეიძლება, და შეიძლება სწორეთ იმავე თვით-
მმართველობით, თუ კი გარეგანს, მესანიკურს დაბრგოლებას
არ შეისვერებენ.

დღეს როგორც მწერლობაში, ისე საზოგადოებაშიც ბევრი
მტკრი ჭიავს ამ რეფორმებს და იმ მტკრებში ზოგიერთი იქამდის
ჭავადნიერებულან, რომ ჭედაგებენ მათს სოულიად მოსპობას
და ურჩევენ მართებლობასა და საზოგადოებას უკან დაბრუნებას
და იმ წეს-წეობილების მიღებას, რომელიც ჭერნდა რუსეთს
დიდებულ აღეჭვანდო მეორემდის. ეს ვაჟ-ბარონები ამტკი-
ცებენ, რომ ამ უკანასკნელს დორს რაც უწესოება მოხდა რუ-
სეთში, უკალა რეფორმების შედეგი არისო, ვრეთვე ეგრედ-
წოდებული ნიგილიზმი, სოციალიზმი და სსკა ათას გვარი
დაზმა რეფორმების ნიადაგზე ამოვიდათ. რეფორმებმა საზო-

გადოება გარეუნათ, სარწმუნოება დასცალ, უმცროს-უფროსობა მოსპოვო, მთა და ბარი გაასწორაო და სხვა და სხვა... ამ მოწინააღმდეგეთ მთავარება ბატ. კატელიძა დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც თავის გაზეთში. მოსკოვის უწყებებში გამოსთვევა ის, პზრი, რომ ვითომც რეფორმებს რესეტის საზოგადოება შეცდომასა და დაბრკოლებაში შეუვანოს, ვითომც ეს რეფორმები საზოგადოებას მიეღოს ხელმწიფე იმპერატორის განუსაზღვრელ უფლებათა შესამცირებლად და თითვის კონსტიტუციის მომასწავებელ და წინა-მორიენ ნიშნადაც.

აქ, რასაცირკელია, სუუკელათელი იმაზედ არის დამოკიდებული, თუ კაცი რომელის მსრიდგან უურებს საჭმეს, რას ეძახის გარეუნას, ზნეობის დაცემას. ამის შესახებ უოგალს გაცს, ასე ვსოდეთ, თავის შეხედულების კუთხე აქვს. მაგ. რომ შელიმე პოლიციის ჩინოვნივი საზოგადოების გარეუნილებას იმაში ჭიდავს, რომ მის წინაშე მოწინებით აღარ არიან; რომელსამე მღვდელს სარწმუნოების დაცემად ის მიაჩნია, რომ იმდენს საწირავს აღარ ამღვენ, რამდენსაც წინეთ ამღვდენ, და ან კიდევ იმის მოღვრებას და მღვდელობას მაღდენს სულისა და ხორცის განმგურნებელს მნიშვნელობას აღარ ამღვდენ. იმისთვის ადამიანებიც ბრძანდებიან, რომელიც საზოგადოების განრევნილებას იმაში სჭიდავს, რომ ეს საზოგადოება ბედავს ხმის ამოღებას, საკუთარს მსჯელობას, ითხოვს კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ერთის სიტუაცია, ბედავს თავის არსებობის გამოცხადებას.

ამ მოწინააღმდეგერთა შორის არიან იმისთვისაც, რომელიც

თავის დროს თავ-გამოდებით და გულ-წრთველად იღვწიოდნენ რე-ფორმების შემოღებისათვის და რეფორმების ძლიერს მოწინა-აღმდეგე დასს ბურთსა სჩრიდნენ ჰირში. რამ გასადა იგინი შემდეგში რეფორმების მტკრად? მსოლოდ მათმა ჰოლი-ტიკურმა სელ-მოკლეობამ!. ასინ, უმეცარნი, ჭიქრობა-დნენ, რომ რეფორმა საზოგადოებაში დაამყარებდა მშვიდობას, ბედნიერებას, ცხოვრების კაულოვილებას; იმათ სიზმარშიაც კი გრ წარმოედგინათ, რომ საზოგადოების ტკინი, ბატონ-უმო-ბის ყალიბზედ გამოჭრილ წეს-წყობილებათაგან განთავისუფ-ლებული, ასალს შირობებში აღზრდილი და ფრთხ-გაშლილი; თან-და-თან გავითარდებოდა, დამთავრდებოდა და მაშინ აღარ დაკმაყოფილდებოდა ნახევრად გაკეთებულის საქმით, ან და უფრო მართალი იქნება კსოვეათ, საქმის დაწყებით; არამედ მოითხოვდა დაწყებულის საქმის გავრცელებას და გათავებასაც იმ გვარად, რა გვარადაც ეს უფრო სარგო იქნებოდა საზო-გადოებრივის ცხოვრებისათვის.

ისინი იმდენად ჭიქა-მოკლენი გამოდგნენ, რომ წინ და წინვე კერ წარმოიდგინეს, რომ გლეხი-კაცი, პირადის მონე-ბის უღელ-ასსნილი, ცოტად თუ ბეკრად თავისუფლებაში და-ბალებული და აღზრდილი, აღარ დაკმაყოფილდებოდა ცხოვრე-ბის იმ შირობებით, რომელიც მის მამასა და პაპას, სრულს მონებაში აღზრდილს, მიაჩნდა განონიერად, ღვთისაგან დად-გენილად და რომელთ წინააღმდეგობას ღვთის გმობად სთვლი-და, რომ ამის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა სწავლა-განათლე-ბას, ცხოვრების შირობების გაუმჯობესებას და ამიტომ ბეკრის

წეს-წულბილების თავის სასარგებლოდ შეცვლას. მოკლედ რომ გსთქვათ მაცხოვრის სიტყვებით, რეფორმის მომხრენი კერ შეგზუნ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ახალი ღვიძლი უოგელთვის და უოველგან ითხოვს ახალს თხიერს; ახალს ტიკებს; რომ რეფორმის შემომღებნი თავის წინააღმდეგნი არ უნდა გამხდარიყვნენ და რეფორმების შემოლებისათანავე უნდა ეზრუნათ თვით საზოგადო პრინციპის თან-და-თან შეცვლისათვის და ბოლოს ის საზოგადო პრინციპი უნდა აღიარებინათ, რომელიც ამ რეფორმების მთავარს დედა-აზრს ეშესაბამებიან, ან და, უმჯობესია ასე გსთქვათ, რომლიდგანაც შემოღებული რეფორმები დოგიგურად გამომდინარებულიან. თუ რეფორმების მომხრებმა უარ-ჟუვეს კერძო წეს-წულბილებათა დორო-გარდასული და მავნებელი პრინციპი, იმით, ამისდაგრანადებე, უნდა უარ, ეულო ის მთავარი პრინციპიც, რომელზედაც ეს კერძო მათგანვა უარ-უოფილი წეს-წულბილებანი იყენენ დამყარებულნი, როგორც დედა-ბოძზედ.

ამ რეფორმებს ჰყავთ მეორე გენარ მოწინააღმდეგებისიც, რომელთაც ეყუთვნიან რესეტის უყვარესი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მოწინააღმდეგებენიო რომ ვამბობთ, სულ მართალიც არ არის, იმიტომ რომ ისისი პრინციპიაღლურად რეფორმების მომხრენი არიან და რეფორმების დედა-აზრის თავისი და დაუტევეს მხოლოდ ფორმა. მმარი თვითონ არათერი შვილი იყო და კიდევ წეალს ურევდენო, იმისი არ იყოს, ისე მოუვიდა რეფორმებისაც. რეფორმების, როგორც უოველს ახალს დაწესებულებას, როგორც უოველს საქმეს, რომელიც კი კაცის ხელიდგან გამოდის, ბერი ხაკლულებანება

ჭრნდა, მაგრამ ეს ნაკლულევანება შემდეგში უნდა გასწორებულიყო ცხოვრების ახალს პირობების მიხედვით, ზოგი ელემენტები რეფორმისა სულ უნდა გამოცვლილიყო, ზოგი უნდა ახალის მოთხოვნილობისა მეტრ, მეცნიერებისა და ცხოვრების გამოცვლილების თანხმად უნდა შეცვლილიყო და ამ ცვლილების ჩროს უოკელთვის ფართო ადგილი უნდა მიეცათ საზოგადოების აზრისათვის, უკელის და უოკელთვის უნდა აღერთა ნდობა საზოგადოებისადმი, რომელიც თან-და-თან უნდა განთავარსუფლებულიყო ათას-გვარის მზრუნველობისაგან. ეს არ მდებარება და ამიტომ რეფორმებმაც დაჰყარგეს უმთავრესი მნიშვნელობა საზოგადოებისათვის. ამ აქ გამოხატვების მოწინააღმდეგენი ან და უკმაყოფილონი, რომლებზედაც ზევით გვითქვამს და რომელიც უოკელს ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავის-თავად მშენებელს რეფორმებს უოკელი ნაკლულებანება თავიდგან ააშორონ და დაუმჯვიდრონ მათ შემდეგი განვითარების გზა.

ჩვენ აქ ვისარგებლებთ წარსულს იანვარში რომ აზალი ხმასწებების, ქალაქის თავისზე და გამგეობის წევრის აღმოჩენებები იყო ქუთაისში და, რამდენათაც გარემოება ნებას მოგვარეს, კეცდებით, რომ დავანახვოთ მკითხველებს მთავარი ნაკლულევანება ქალაქის თვით-მიართველობისა საზოგადოდ და ჩვენის ქუთაისია კერძოდ. აქ ჩვენ არ შეკეხდით იმ საარჩევანო ციებ-ცეხელებას, რომლის აღმოსფერაშიაც ტრიალებდა მთელი ქუთაისის საზოგადოება ერთის თვის განმავლობაში მაინც. ამ ციებ-ცეხელებას უნდა დავაბრალოთ ის, ზირველის შესედვით, თითქმის აუღსნელი გარემოება, რომ ქალაქის თავად და გამგეობის წევრად ისინი არ აღმოიარენ, რომელთაც წინ-და-წინ უფლოცავდა საზოგადოება ქალაქის თავისა და გამგეობის წევრის საკარძლებს. მაგრამ ჩვენ აქ მაგდენ სასაუკედუროსაც კერ

გხედავთ და კანდიდატებს სულაც არ უნდა ჩაეთვალისოთ ცოდნათ მეცადინება, რომ თავიანთი თავი გაიყვანოს, თუ კი, რასაკვირველია, კაცის ღირსების დამამცირებელის საშუალებას არ სმარობენ. ამაზედ სიტუას მოკლედ მოვსწროთ, მხოლოდ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი, ჩვენის აზრით, ანორმალური მოვლენა, რომელიც შევნიშნეთ აღმორჩევების დროს. ქუთაისი იმერეთის დედა-ქალაქია, სადაც სცენოვრებები წმინდას სისხლის ქართველები, გაქართველებული სომხები და ურიები, (ფრანგები სომ შთამომავლობითაც ქართველები არიან); აქ სხვა უცხო ელემენტი ძალიან მცირეა, ასე რომ მისი სახეში მიღება, როდესაც ქუთაისის მცხოვრებზედ ლაპარაკობთ მეტი რამ გამოვა. ამისთანა ქალაქში გამოდის კანდიდატად გამგეობის წევრის ადგილზედ თავიდგან ბოლომდის უცხო ტომის კაცი (ბ. ლ—სკი). ამას ჩვენ, რასაკვირველია, ჰირად კანდიდატის გმირობად ჩავთვლიდთ, რომ მას საკმარის პარტია არ აღმორჩენოდა სმოსნებთა შორის, რომელთა რიცხვშიაც ითვლება ორად-ორი უცხო ტომის კაცი — უბელისაგან პატივ-ცემული ნაფიცი კეჭილი ბ. ს—კი და თვითონ კანდიდატი ბატოლ—ვსკი. ეს კანდიდანტი კინალამ არ იქმნა აღმორჩეული გამგეობის წევრად. მნელად ასასნელია ეს, ვიმეროებთ, ანორმალური მოვლენა!... მადლობა ღმერთს, ჩვენს ქალაქში საკმარიდან კანათლებული ქართველები, რომელთაც უფრო შეუძლიანთ სამსახური გაუწიონ ქალაქის მცხოვრებლებს. მაგრამ, მასლას! ტუუილად კი ამბობს ერთი კიდაც რეუსის მგზავრია თავის წერილებში კარშავიდგან, რომ საქართველოში ჩვენი ისე კვრძნობთ ჩვენს თავს, როგორც საკუთარს სამშობლოში; სადაც კი მისეუდ-მოისედავ, უბელისან ჩვენებულობის ნიშნების შეეხდებოთ.

დაკუბრუნდეთ ისევ მთავარს საკანს. თავი და ოვი ნაკლულებისა ქალაქის თვით-მმართველობისა იმაში მდგრადობის, რომ საარჩევანო უფლებით ნამდვილად, de facto სარგებლობის არა მთელი მოსახლობა ქალაქისა, არამედ შესამჩნევად უმცირესი ნაწილი, რომელიც უფრო შეიღებულია და გავლების მექონი. ამის გამო ქალაქის საქმებისაც განაგებს მხრილოდ ეს უმცირესობა და, რასაცვირველია, განაგებს უფრო ისე, როგორც ხელს მისცემს თვითონ მისს შირადს ანგარიშებს. ჩვეულებრივი კაცი უოგელთვის ცოდვილ კაცად რჩება, ის უფრო თავის ერთგულია, ვინემ საზოგადო საქმისა, ის თავის ძოქმედებაში სარგებლობის იმ მეთერთმეტე მცნებით, რომელიც ამბობს: ჯერ თავი და თავი და მერე ცოდო და შვილოვან და ან როგორც რუსები იტუკიან: ცვია ყუბაშა ближе къ тѣлу... აღმორჩევითი უფლება და თვით-მმართველობა იმითა კარგი, რომ საზოგადოებას ნებას აძლევს, რომ თავის საქმები თვითონვე განაგოს, თავის თავს თვითონვე მოუაროს, საზოგადო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზედ თვითონვე იზრუნოს. მაგრამ უკულა ეს მსოდლოდ მაშინ, არის საფიქრებელი, როდესაც თვით-მმართველობის წარმომადგენლებს ირჩევს მთელი ქალაქის მოსახლობა და არა უმცირესი ნაწილი; მხრილოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, რომ საზოგადო ინტერესი არ გახდეს კერძო ინტერესის მსხვერპლი. ქალაქის არა თუ უოგელი მეცნიდრი მცხოვრები, არამედ დოკებით, რამოდენიმე წლით მოსული კაციც კი გულითა და სულით მოწადინებულია, რომ ქალაქის საქმები კარგად მიდღოდენ, ე. ი. რომ ქალაქში იმოგებოდეს გასასუიდლად კარგი და იავი საჭმელ-სასმელი, რომ ქალაქს ჭრონდეს მშრალი და საკმაოდ განათებული ჭურები და მოედნები, რომ ქალაქი არ წარმოადგენდეს თავის უწმინდეულების 9

ბით უოკელის ავად-მუოფობის ბუდეს, ორმ ქალაქის ჭრინდეს სკოლები, სადაც შეიღების გამოზრდა შეიძლებოდეს, ჭრინდეს რიგიანად და შესაფერს ადგილს გამართული სასაფლაოები და სხვ. და სხვა... ამიტომ სამართალი მოითხოვს, ორმ უკელის ქალად ედვას შეძლების დაგვარად ფულის შეტანა ამ საზოგადო მოთხოვნილებათა დასაგმაუთვილებლად და თან ზმაც მიენიჭოს ქალაქის მმართვაში; ქალაქის დებულების ძალით კი ამ ხმით სარგებლობს მხოლოდ ის, ვისაც ან უძრავი ქონება აქვთ და ან ვაჭრობს, საზოგადოდ რომ ვსოდეთ. ამ საზოგადო ნაკლულებანებას ემარება ის, ასე ვსოდეთ, კორდა უბედურებაც, რომ საარჩევანო უიღებით სარგებლობს ძლიერ მცირე ნაწილი. ქალაქის იმ მცხოვრებთაც მინიჭებული აქვთ ეს უფლება. მაგალითად, ქუთაისში ხმის უფლება აქვს ცენტრით სულ რიც ათას სამოც-და-თვრამეტს (2078) პირი, მაგრამ ამათში აღმომჩენებელთა რიცხვი ამ უკანასკნელს აღმომჩენაზედ იყო მხოლოდ ხუთას ოც-და-ექსი (526) ე. ი. საარჩევანო უფლებით ნამდვილად სარგებლობს, დაახლოებით რომ ვიანგარიშოთ, ოც-და-ხუთი პროცენტი (25%), ანუ ასში ოც-და-ხუთი. ამ ხუთას ოც-და-ექს აღმომჩენებელში პირველის განულებებისა (კარეგორიისა) არის ოც-და-ექსი (26), მეორესი სამოც-და-ოთხი (64), ხოლო მესამისა რთხას ოც-და-თექსმეტი (436). ამათ აღმომორჩიეს სმოსნებად სულ ოც-და-თექსმეტი კაცი (36). თითო განულებებიში თორმეტ-თორმეტი ხმისანი; თუ ჩვენ სახეში მივიღებთ პირველად იმას, რომ პირველის განულებების თორმეტი ხმისანი და უმეტესობა მეორის განულებებისა ეკუთვნიან ქალაქის მცხოვრებთა უფლებებს ნაწილს და მეორედ იმას, რომ იმათვან ირჩევა ქალაქის გამგება, რომელიც, რასაკვირველია, უღელთვის

მოწადინებულია ასიამოკნოს მხოლოდ იმ სმისნებს, რომლებზედაც მათი ბედი დამოკიდებულია, მაშინ დამეოანსმებით, ორმ ქალაქის საქმეებს განაგებს და მართავს მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა უმცირესობა და ისიც შეძლებული კაცები და მეტყვებისთანა მოვასხებია. რამდენად საქმის ამისთანა მდგრადი კურძო მავნებელია საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებთათვის, ამას მკითხველი ადგილად მიხვდება, როდესაც შემოსავალ-გასაკლია; აღრიცხვასა და ეკრედიტოდებულს «დაფასებითს გარდასახადზედ» გვექნება ლაპარაკი.

რასაკვირველია, საქმისათვის ბევრად უფრო სასარგებლოვანებოდა და შეძლებულს უმცირესობასაც იმდენი გავლენა აღარ ექმნებოდა ქალაქის საქმეების წარმოებაზედ, ორმ ქალაქის თავს, გამგეობის წევრების და სეკრეტარის ინჩევდენ არა სმისნები, არამედ უკალა აღმომჩერით უფლების მექონი. ამ შემთხვევაში ბევრად უფრო შესაძლებელი არის, რომ მესამე განუოფილების აღმომრჩევლებმა მეორე განუოფილებიდგან რამოდენიმე ნაწილის დასმარებით შეადგინონ უმრავლესობა და აღმომრჩიონ მმართველობის წარმომადგენლებად უფრო იმისთა შირნი, რომელნიც შედარებით უფრო მიუღიომელად იზრუნებენ ქალაქის საქმეებისათვის. ეს იმითაც კაცები არის, რომ ქალაქის გამგეობას ათავისუფლებს რამოდენიმე შეძლებულის სმისანის კლან-კებიდგან და დამოკიდებულებიდგან.

რას ბრალია, რომ 2078 აღმომრჩეველში საარჩევანო უფლებით სარგებლობის მხოლოდ 526 კაცი? იმისი მხოლოდ, რომ 1552 აღმომრჩეველს ქალაქის სასარგებლოდ შეწერილი გარდასასად კერ შეუტანა თავის დროზედ, — ე. ი. ასში სამოც-და-თუთხმეტის (დასხლოებით) ან შეძლება არა აჭერს და ან არ სურს, რომ ეს გადასასადი შეიტანოს! ამ ორს მიზეზში

ერთ-ერთი მაქტედობს, თუ არიყე, ჩვენ მაინც და მაინც არ
შეგვიძლია დაჭეშმარიტებით ვსთქვათ, რადგანაც ამისათვის საფ-
მაო მასალა ხელით არა გვაჭვს. ცოტა რამ საბუთი კი გვემო-
ვება, რომ მთავარ მიზეზად სიღარიბე და ქალაქის ეკონომიკუ-
რი დაცუმულება აღვნიშნოთ. მართლაც, ქუთაისის თვით-მმარ-
თველობის კაი ძალა შემოსავალს შეადგენს ის გარდასახადი,
რომელიც გაწერილია უძრავს ქონებაზედ, სახლებზედ. მაგრამ
საქმე ის არის, რომ ქუთაისში დიოგენის კლასიკურის ფარ-
ნითაც კერ იპოვნით თავისუფალს სახლს, თუ კი ცოტა რამ
ხეირიანობა ატუვია. უკეთ ხეირიანი სახლები დავირავებულია
ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში; ამას გარ-
და შეტანილია «ცეცხლისაგან საზღვევს საზოგადოებაში.» მა-
ვიდოთ სახეში ისიც, რომ ძალიან ბევრს მართებს «ქალაქის
საუკთიერთოდობის საზოგადოების» კალი. მაშასადამე, სახლის
შემოსავალს ადევს ბანკისა და ხეირებულის საზოგადოების უ-
კელ-წლიური გარდასახადი, იმავე სახლს აძევს «დაფასებითი
გარდასახადი» ქალაქის სასარგებლობდ. მიუმატეთ ამას თუნდ
მსოფლიო ის გარემოება, რომ ძალიან სშირად სახლი შეად-
გენს ერთად-ერთს წყაროს, რომლისაგანაც იკვებება მისი პატ-
რონი და თქვენ ადვილად წარმოიდგინთ, თუ რა სამძიმო იქ-
ნება სახლის პატრონებისათვის ეს რამდენიმე გვარი გარდა-
სახადი,—ამის ბრალია, ჩვენის ფიქრით, რომ სახლის პატ-
რონები იმდენს კალი კელარ უძლებენ, რომ სახლი მათ სარ-
ბებლობას აღარ აძლევს და იმიტომ ზოგს აღკრძალვა ადევს
გერძო მოვალისაგან, ზოგიც ბანკის კალში იყიდება და ზოგ-
საც ცეცხლი ეგიდება...»

ქალაქის თვით-მმართველობას, რასაკვირველია, კერას კუ-
საუკუდურებო ამ გარემოების შესასებ, იმიტომ, რომ თუ მან

სახლებსაც არ დაადგა გარდასახადი, მაში საიდგან ეჭმნეს შემოსავალი და ოა საშუალებით დააგმაურთოლოს ქალაქის საზოგადო საჭიროებანი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მაინც ორიოდე სიტუაცია კითხვათ გარდასახადის გაწესებაზედ და იმ ბოროტ-მოქმედებაზედ, ორმეტიც მაღაზის ადვილად შესაძლებელია, როდესაც ქალაქის საქმეებს მართავს შეძლებული უმცირესობა. სახლის გადასახადი შეადგინს სახლის წმინდა შემოსავალის ათს პროცენტს (10%) ე. ი., ას მანეთზე ათს მანეთს. წმინდა შემოსავალის გამოსაანგარიშებლად ხახლის შემოსავალს აკლებენ სახლის რემონტისათვის ოც-და-ათს პროცენტს (30%), თუ ჭირდეს არის, ორმოცხს პროცენტს (40%), თუ ხისა არის და თუთხმეტს პროცენტს (15%), თუ დუქანია. ამიტომ კითხვათ, თქვენა გაქვსთ ჭირვილის სახლი, ორმეტიც წელიწადში გაძლიერდესთ სულ ორას მანეთს. აქედგან ჯერ გამოაკლებენ რემონტისათვის სამოწას მანეთს და დანარჩენის თოთხმეტი თუმნიდგან წაიღებენ ათს პროცენტს. ე. ი., ას მანეთზედ თუმანს და სულ თოთხმეტს მანეთს. ადვილი წარმოსადგენია თქვენი მდგომარეობა, თუ ამ სახლს მართებს ბანკის კალი და ცხეცხლისაგან საზღვეებს საზოგადოებაში შესატანი ფული და თუ, ამას გარდა, ამ სახლიდგან შემოსავალის მეტი სხვა საფსარი ცხოვრებისა არა გაქვსთ. ახლა ვინ დაგვარწმუნებს, რომ სახლის შემოსავალი პირუთნებელად და მიუღიომელად იქნება დაფასებული იმ კომისიის მიერ, ორმეტიც იაჩიევა საბჭოსაგან, სადაც შეძლებული უმცირესობა ბარონობს?... ვინ გვატუგის, რომ შეძლებულის კაცის სადგომს სახლებსა და დუქნებს არ აკლებოდეს გარდასახდელი და ღარიბის კაცის სახლსა და დუქნებს არ ემტებოდეს?!

დაფასებითის გარდასახადის თავის დორზედ შემოტანას

უშლის გიდებ ერთი საუკრადგებო გარემოება. ჭუთაისის საქართველოს
გარდა უწყებელია, რომ სახლზედ გაწერილი გარდასახადი შემო-
იტანებოდეს თუ პირველს თებერვალის არა, უსათუოდ პირ-
ველს მარიამობის თვემდის მაინც, შემდეგ კი ეს გარდასახადი
ითვლება კალად და პოლიციურს ზომებს ხმარობენ მისის მოქ-
რევისათვის. ეს პირობა რომ სახლის პატრონმა დააკმაყო-
ფილის და პოლიციის ბოჭოულის სტუმრობის ბედნიერება თა-
ვიდგან აიშოროს, საქართვა, რომ იმას ჭირდეს ან თავის-
უფალი კაპიტალი და ან სსვა-და-სსვა წყაროებიდგან შეძლე-
ბიოდეს ეს ფული. წინააღმდეგს შემთხვევაში ის თავის დრო-
ზედ კერ შეიტანს ფულს ქალაქის სამმართველოში, იმიტომ
რომ ჩენები მალიან ხშირად სახლი ქირავდება თვეობით და
თითქმის არასოდეს მდგმური წინ და წინ არ ამლექს ქირას
სახლის პატრონს, რომელსაც კალად სდებენ, რომ მთელის
წლის ხევდრი გარდასახადი შეიტანოს სამმართველოში უთუოდ
წინ და წინ,—ან პირველს თებერვალს, და ან პირველს მარი-
ობისთვეს...

როგორც ხედავს მკითხველი, ქალაქის სასარგებლოდ ფშ-
ლის შემომტანი კერ არიან კარგს მდგომარეობაში. ამიტომ
მათგან ნება-უოფლობით, თუ პოლიციურის ზომებით შეპრე-
ფიციალური ფულს დიდის სიფრთხილით უნდა ეჭროდეს კაცი, იგი
უნდა დაისარჯებოდეს მართლა და ნამდვილ ქალაქის საზოგა-
დო საკიროებაზედ. მაგრამ სანამ ამ საუკრადებო საგანზედ და
აგრეთვე შესავლის აფრიცხვაზედ რამეს კი ტუოდეთ, საჭიროდ
შეგვაჩნია, რომ მკითხველის უკრადდება მივაჭრით ერთს საჭ-
მეს, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობას მოსდის. ქალა-
ქის პოლიციისაგან. საჭმე ის გახლავსთ, რომ პოლიცია კანო-
ნით კალდებულია შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის გამგეობას

«დაფასებითის გარდასახადის» შეკრებაში მათგან, ვისაც ეს გარდასახადი არ შეაჭის კუთვნილებისა მეტ თავის დროზედ. საბჭოსაგან უგრძე დამტკიცებულის ხარჯთა-აღრიცხვის ძალით, ქალაქის პოლიციის გამგეობას ეძღევა მდგრადი წელში 11,854 მან. ამას გარდა პოლიციის ურის აქტების რომ სახლის ქარასათვის ეძღეოდა ოც-და-ოთხი თუმანი, ამ წელში მოუმზარეს კიდევ თემპსმეტი თუმანი. (ეს მარტო პოლიციის გამგეობის კამაგრია). დამეთანხმებით, რომ ქალაქი სიმუნწეს არ იჩენს პოლიციის გამგეობის წინაშე და არიტომ პოლიცია უნდა იყოს გალდებული, რომ თავის მოვალეობა ქალაქისადმი წმინდად შეასრულოს, ჩემ უპირ პსოტებით, რომ ქალაქის გაი ძალს შემოსავალს შეადგენს «დაფასებითი გარდა-სახადი»; თუ ეს გარდასახადი თავის დროზედ არ შემოვიდა, ქალაქის თვით-მმართველობა რიცხვები გამოგდებულს თემპს დაემგანება, ხოლო ამ გარდასახადის შეკრება, თუ იგი კალად ირიცხება, არის პოლიციის მოვალეობა. წინა წლების მაგალითებიდგან აშეარად სჩანს, რომ ეს გარდასახადი სკო შემოდიოდა თავ-თავის დროს და კარგი ძალი რჩებოდა მცხოვრებლებზედ კალად. გამგეობა, ასაკვირველია, უოგელთვის ეხუწებოდა პოლიციის, რომ უკანასკნელს მიეღო ზომანი ამის შესახებ, ამას გარდა გამგეობას ერთი საშუალება გამოუგონებია და ეს საშუალება ძალიან უბრალოა. ქალაქის გამგეობა აძლევს პოლიციის პრისტავს. ამ ფულის ხეთს პრიცენტს (5%), რომელსაც პრისტავი წარადგენს გამგეობაში მცხოვრებლებთაგან მოკრებილს. ამ საშუალების შემწეობით ჭიდვირობენ, რომ წრეულს «დაფასებითი გარდასახადი» თუ სულ არა, სამოც-და-ათი პროცენტი (70%) მაიც შემოგრძელოს გამგეობისა და საბჭოს მოღოდინი, იმედია, გამართლდება...

ამ პროცენტებითანათ რომ კიანგარიშოთ, ქალაჭის პოლი-
ციას გამგეობის მოსამსახურეთა შესახვა უკადება წელიწადში
ათა 11,854 მან., არამედ ბევრად უმეტესი თორმეტის ათასის
მანეთისა...

ასლა გადვიდეთ შემოსავალ-გასაკლის სმეტაზედ. ამ სმე-
ტის განხილვამ და დამტკიცებამ დიდი ბათი გამოიწვია ქალა-
ჭის საბჭოში. ზოგიერთი ხმოსნები, მაგ. ბბ. თუმანოვები და
შასივოვი, იმ აზრისანი იუნენ, რომ ქალაჭის ნამდვილის შე-
მოსაკლის შეტყობისათვის მიუცილებლად საჭირო არისო,
რომ ის ფული, რომელიც დღეს ვალად ირიცხება სხვა-და-
სხვა პირებზედაც და რომლის შემოსაკლას გამგეობა მოელის-
ცულებები ხაზში (რეზოგამი) ინიშნებოდესო და არა იმავე ხაზ-
ში, რომელშიაც სხვა შემოსავალი არის აღნიშნული, ეს
აზრი არ იქმნა შეწყნარებული, რადგან ამის წინააღმდეგ გა-
მოილაშერა, როგორც გამგეობამ, ისე ხმოსნების უმრავლე-
სობამაც. ზოგი ამას უზრალო და უოვლად უმნიშვნელო ფორ-
მას ეძახდა და ზოგიც ამბობდა, რომ თვითონ სმეტა სხვა რა
არისო, თუ არა მოსალოდნელის შემოსავალ-გასაკლის აღრიც-
ხვაო. უკანასკნელი აზრი ჩვენ შემცდარ აზრად მიგვაჩნია და
არ რატომ. თუ სსოვნა არა გვიღალატობს, უკულასაგან ცნობი-
ლი ინგლისის შეწყრალი სპაილისი ერთს თავის თხზულებაში
(Бережливость) ამზობს, რომ უანგარიშო და სულელია ის
გაციო, რომელიც მომავალის, მოსალოდნელის შემოსაკლის
ანგარიშზედ სცესოვრებსო და მიმიტობი იმაზედ მუტს ხარჯავს,
რის შეძლებაც დღეს ხელთა აჭირო. ჩვენ, თუ მაინც და მაინც
გნებავსთ, სუ მიგამოეთ უურადღებას იმ გარემოებას, რომ უ-
კულის დაწესებულების სმეტაში უოვლთვის ცალებები, საკუთარს
ხაზში აღმორიცხება იმ ფულის რაოდენობა, რომელიც, ასე

გსთვიათ უზრუნველ უოფილია. მაგალითისათვის ჩენ ავიღებთ სასამართლოების, უწყების სმეტას. ამ უწყებას ეძლევა უოფელ წლობით სახელმწიფო საზინიდვან რაოდენიმე ათი ათასი მანეთი. ეს შემოსავალი უზრუნველ უოფილია, ამ ფულს უმტკელად მიიღებს აღნიშნული უწყება. მარამ ამ უმტკელის, უზრუნველ-უოფილის შემოსავალს გარდა სასამართლოს უწყებას აქვს კიდევ სხვა შემოსავალიც, მხოლოდ ამ ფულის შემოსავალა არის განუსაზღვრელი, ე. ი. შეუძლებელია წინ და წინ-შე აღინიშნოს, თუ სახელდობრ რამდენი შემოვა ამ ფულებიდან. ამის დაკვარად თვითონ სმეტაშიაც როი ჩაზია (რებრიგა), — ერთი უმტკელი, უზრუნველ უოფილის, განსაზღვრილის შემოსავლისათვის და მეორეც — შემთხვევითის შემოსავლისათვის. რასაკვირებელია, ეს ფორმა არის, მაგრამ ამ ფორმას აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა: უოფელს უწყებასა და დაწესებულებას აქვს უმოავრესად ორ-გვარი ხარჯი, — სავალდებულო და არა სავალდებულო. პირველი ხარჯი უსათუოდ უნდა მოხდეს და მეორე კი შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველის ხარჯის დასაკმაყოფილებელად საჭირო ფული მზად არის, მაგრამ ხარჯის გასავლის წესიერად განაწილებაც მხოლოდ მდებრი მაშინ შეიძლება, როდესაც ნამდვილის შემოსავლის რაოდენობა ცხადად არის ცნობაში მოკანილი და სწორედ ამ სიცხადეს ეხმარება ის ფორმა, რომელზედაც ზეპირ ვამბობდეთ და რომელსაც ხმოსანთა უმრავლესობის აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ასე რომ ქალაქის შემოსავალის გასავლის სმეტის ამ ფორმაზედ შედგენას საჭიროდ არა რაწმუნებუნ. ამიტომ თუ გინდათ, რომ შეიტყოთ რაოდენობა იმ შემოსავალისა, რომელსაც წარსულ წელთა ვალებიდგან მოელის ქალაქი, თქვენ უნდა გადაათვალიეროთ სმეტა თავიდვან ბო-

ლომდის, გამოიანგარიშოთ ცალ-ცალებე აქა-იქ ნაჩვენებია ამ გვა-
რი შემოსავალი და გამორიცხოთ იმ ჯამიდგან, ომელიც სმე-
ტის ბოლოს არის ნაჩვენები, ოფიციალურ საზოგადო შემოსავა-
ლი. ამოდენს წვალებას და ამ არევ-დარევას განა ის არა სჭო-
ბიან საქმისათვის, ომი ის შემოსავალი, ომელიც მოსალოდ-
ნელია წარსულის წლების ვალების ანგარიშში, საკუთარს საზ-
ში იყოს ნაჩვენები?! სწორედ ეს მოსაზრება ჰქონდათ სახე-
ში ზოგიერთს სმოსნებს, ოდესაც ამტკიცებდენ, ომ ქალა-
ქის შემოსავალ-ვასავლის სმეტა შედგენილ იყო იმ ფორმაზე,
ოფიციალურ საზოგადოდ არსებობს ამისთვის. ამ ფორ-
მაზედ რომ შეედგინათ სმეტა, მაშინ ქალაქის საბჭო ცხადად
და ადგილად დაინახავდა, ომ ქალაქს სულაც არა აქვთ ნამდგო-
ლად ის შემოსავალი, ომელიც ნაჩვენებია სმეტაში. ეს სსვა-
ლა შორის იმითაც კარგი იქნებოდა, ომი სარჯების აღრიცხვის
დროს ცოტა უფრო ყაირათს დაიშერდა. მაგალითებრ, სმე-
ტიდგან სჩანს, ომ ქალაქს შემოუვა წრეულს ას ხუთი ათას
სამოც-და-ცხრა მანეთი (105,069 მან. და 21 კაპ.), მაგრამ
აქედგან უნდა გამოვავლოთ სამას ლც-და-ცხრა მან. (329),
ომელიც ვალად ითვლებოდა ერთს მოქალაქეზედ და ომდოდ-
განაც ეს მოქალაქე განათავისუფლეს, ადგან აღმოჩნდა, ომ
უკანასკნელობან შეკრული კონტრაქტი უსაგნო. ფიქტიური იყო.
ამას გარდა იმავე შემოსავალიდგან უნდა გამოირიცხოს ის
ფული, ომელსაც ქალაქი მოელის წარსულის დროის ვა-
ლების (ჩელიომხი) ანგარიშში, — ეს ფული შეადგენს ზით-
ქმის ათა-ათას მანეთს. გარდა ამისა, საზინიდგან მოე-
ლიან წრეულს რვა ათას მანეთზედ მეტს, ომელიც უკანო-
ნოდ დაუვალებით ქალაქისათვის იმ შესაწევრიდგან, ომელ-
საც საზინა აძლევს ქალაქს; ახლა თუ მივიღებთ სასეში, ომ

ძალიან შესაძლებელია, დღაივასებითის გარდასასადისაგან» და სხვა წყაროებიდანაც რამოდენიმე ათასი მანეთი არ შემოვიდეს წრეულ, მაშინ ცხადი იქნება, რომ ქალაქის შემოსავალი თუ მეტით არა, თოთხმეტ-თუთხმეტი ათასი მანეთით მაინც ნაგვალები იქნება. ჩვენ ჭეშმარიტებზედ შორს არ ვიქნებით კსოვეათ, რომ ქალაქს უნდა შემოუვიდეს წრეულს ბევრით არა უმეტეს თხმოფუ-და-ათი ათასის მანეთისა... მართალია, გამგეობას პოლიციის იმედი კი აქვს, რომელსაც ნედოიმების შეკრებისა-თვის ხუთს პროცენტს აძლევს.

ახლა ისიც ვნახოთ, თუ რა ხარჯი მოულის ქალაქს გასავალის სმეტიდგან. ამ სმეტიდგან სხახს, რომ ქალაქს მოულის სავალდებულო ხარჯი ოთხმოც-და-თექვსმეტი ათას მანეთზედ მეტი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, ძალიან სა-ეჭვა რომ დაითვაროს ნამდვილის შემოსავლით. ასე რომ გამგეობამ, გაემოქმედათა ძალით, უნდა შეამციროს არა. თუ არა-სავალდებულო სარჯი, არამედ ზოგიერთი მუხლი სავალ-დებულო და აუცილებელის ხარჯისაც. ჩვენ, რასაკირვე-ლია, კერავის კერ გუსაუდეურებთ იმას, რომ ქალაქს შე-მოსავალი ცოტა აქვს და მოთხილენილება კი ბევრი. მაგ-რამ ჩვენ იმის საბუთი კი გვაქვს, გურჩიოთ გამგეობას, რომ იგი უფრო წრიგიანად და უფრო დაკვირვებით ადგენ-დეს სმეტას. მაშინ საბჭო უფრო დაკვირვებით გააჩაწილებს სხვა-და-სხვა სა რჯს და არა ისე, როგორც ესლა შვრება. საქ-მე ის კი არ არის, რომ ხიდების რემონტისათვის დანიშნო ქალალდზედ ური ათას-ოთხასი მანეთი, ქუჩების შეკეთებისა-თვის იმავე ქალალდზე ური ათას-ორესი მან. და ქალაქის გა-ნაოლებისათვის ური ათას ექვესი მანეთი და სხვ და სხვ. არამედ საქმე ის არის, თუ ნამდვილად რამდენი შეიძლება და-

ინიშნოს და დაისარჯოს კიდეც ამ საგნების დასაკმაყოფილებლად.

ამას გარდა, ჩვენის ფიქრით, ცოტა რამ გაუგებობაც არის ხარჯის სმეტაში. მაგ. სმეტა შესდგება სულ ორი განულფილებისაგან; ერთს განულფილებაში არის აღრიცხული «საკალდებულო ხარჯი», ხოლო მეორეში დარა საკალდებულო ხარჯი; პირველს განულფილებაში, სხვათა შორის, ნაჩვენებია კალების გარდასახდელად 6,726 მან. და კიდევ ის ფული, ორმედიც კითომც უნდა გარდაიხდოს ქალაქმა ჯარის სადგომის ჭირად წარსულის წლებისა, სულ 10,877 მან. ამას გარდა იმავე განულფილებაში აღნიშნულია ორასი მანეთი, ომშლითაც ეძღვათ შემწეობა ქალების გიმნაზიის ზოგიერთა მოსწავლეებს. ხოლო დარა საკალდებულო ხარჯთავ განულფილებაში მოშრევდეული არის იმ ერთად-ერთის სასწავლებლის ხარჯი, რომედიც ქალაქსა აქვს გახსნილი. რას ნიშნავს ეს?! იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უსათუოდ საკალდებულო ხარჯი უნდა დაგმაულივილდეს და არა საკალდებულო კი შეძლებისა გვარად?!... თუ ასე იქმნა, მაშინ ხომ «არა საკალდებულო ხარჯსა და მასში ერთად-ერთს საქალაქო სკოლასაც ერთი კაპეიკიც აღარ დარჩება, იმიტომ რომ სრულიად საკალდებულო ხარჯი შეადგენს კოსმოც-და-თეჭვემეტი ათას მანეთზედ მეტს, რომელიც სატევოა, როგორც ზეპიონაც ვამბობდეთ, რომ ქალაქს შემოუგდეს მთელის წლის განმავლობაში. მაგრამ ნამდვილად ეს ასრული როდია, —ჩვენ ვიცით, რომ გამგეობა უოკელთვის აკმაყოფილებს სასწავლებელს, თუნდაც რომ ამისათვის დასჭირდეს ზოგიერთი «საკალდებულო ხარჯის» შემცირება და, მაშისადამე, თვითონ გამგეობას მიაჩნია სასწავლებლის ხარჯი საკალდებულოდ. თუ ეს ასეა, მაშ რადას ნიშნავს ამ ხარჯის ჩვენე-

ბა არა საკალდებულო ხარჯთა განცოფილებაში? ამას ის არა სჯობია, ორმ «საკალდებულო ხარჯთა» განცოფილებაში ჩაი-რიცხებოდეს ის ხარჯი, ორმეტიც თავის-თავად საკალდებულოა და უეიტანებოდეს სმეტის ხაზში (Въ графу) მხოლოდ ის ოთადენობა ფულისა, ორმეტიც ქალაქის საშუალების მიხედვით შესაძლებელია მიჟეს, ხაზის წინ კი დაიწერებოდეს მთლად ამ საკალდებულო ხარჯის რაოდენობა. მაგ. სმეტის ორმ დავუ-ჯეროთ, ამ წელიწადში ქალაქი გადაიხდის ჩვიდმეტი ათას მა-ნეთზედ მეტს, ორმეტიც კალად აწერია დღეს. მართალია, ეს ხარჯი თავის-თავად საკალდებულოა და ქალაქმა უნდა გადაიხა-დოს იგი, ამიტომ უყრო კარგი ის იქნებოდა, ორმ ეს ფული მთლად დაწერილიყო ხაზის წინ, ხოლო ხაზში შე-ეტანათ მარტო ის, რის გადახდაც წრეულს შეუძლია ქა-ლაქს... ზოგიერთი ხმოსნები ამხრინ, ორმ სმეტა სხვა არაფერია, თუ არა მსოლოდ მოსალოდნელი შემოსაკალ-გასაკლის აღრიცხვაო (смѣта есть предположеніе). ერ-თი ის, ორმ ეს სულ მართალიც არ არის, იმიტომ ორმ თუ თვითონ ქალაქის თვით - მმართველობა რა მოისპო-ზა, უსათუოდ გარეუ უოკლის მიზეზისა, უნდა დაკმაყო-ფილდეს გამგეობა, პოლიცია და ზოგიერთი სსკა ხარჯი, თუნდაც დანარჩენი ხარჯისათვის ერთი კაპეიიც აღარ დარჩეს, მეორეს მხრით ქალაქს აქვს უკეთელი, — უზრუნველ-უთვილი შემოსაკალი. ამას გარდა თუ სმეტა წარმოადგინს მარტო სა-გულებულს საგანს, პრედპოლოჟენიე-ს, მაშინ აღარც განცო-ფილებაა საჭირო და ამ გვარად შეიძლება გუვუროთ უკეთა-ფის... ერთის სიტუაცია, სმეტის შედგენის იმაზედ უფრო უკრადლება უნდა მიაქციონ, კინებ ახლა აქცევენ და საბჭომაც

სმუტის განხილვისა და დამტკიცების დროს ცოტა მეტი გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს...

ბოლოს, მკითხველების უურადღება უნდა მივაჭიდოთ არსაქმეს ქალაქისას. პირველი საქმე ის არის, რომ ამა წლის დასაწყისიდგან ქუჩა უნდა შეაკეთოს იმან, ვისი მამულიც ამ ქუჩის პირზედ მდებარეობს. ასე რომ ქალაქის გამგეობა ძლიერდება მხოლოდ ზოგიერთი ქუჩები და მოედნები შეაკეთოს. ჩენ ეს უადგილოდ მიგვაჩნია. დრო დაგვარწმუნებს, რომეულების გამგეთების საქმე უარეს მდგომარეობაში ჩავარდება, ვინემ აქმდის იყო. საბუთი საჭირო არ არის მკითხველის დასაჯერებლად, რომ სახლების, თუ ადგილების პატრონები თავისის ნებით ქუჩებს არ შეაკეთებენ. რა უნდა ჭინას ამ შემთხვევაში გამგეობაში? ჩენის ფიქრით ის, რომ ქუჩები უნდა შეაკეთოს ქალაქის საზოგადო შემოსავალით და შემდეგ სუდის წესით, გინა სხვა გვარად ეძიოს დახარჯული ფულები მამულების პატრონთაგან, რომელთ მოვალეობასაც შეადგენდა ქუჩების შემთხვება. თუ ასე არ მოიქცა, ქუჩები მთლად გაფუკედებიან და მათის ოქმონტისათვის თავს არავინ შეიწუხებს!.. და ამას ხომ ისე ისა სჭობია, რომ ქუჩების ოქმონტი იდვას თავის თავზედ გამგეობაში და ამისთვის დაწესოს ცალებები გადასახადი ქალაქის მცხოვრებლებზედ! ჩენ კამბობთ, რომ ქუჩების შეკეთებისათვის ასალი გადასახადი გაეწეროს ქალაქის უპელა. მცხოვრებლებს შეძლებისა და გვარად, ასაკვირველია. მარტო სასლის პატრონებისაგან ფულის ხდევინება მიგვაჩნია უადგილოდ, იმიტომ რომ კარგი და წმინდა ქუჩები უპელა ქალაქის მცხოვრებისათვის ერთ ნაირად საჭიროა და ამიტომაც უპელას უნდა შემოჭირდეს ფული ამ საგნისათვის...

მეორე აზრი შეეხება იმისთვის საქმეს, რომელიც მთლად

გაუგებრობაზედ არის დამყარებული. ერთი ინსტრუქცია, რომელშიაც სხვათა შორის, სწერია, ოთმ გამგეობის წევ-
რის კანდიდატს, რომელიც წევრის ავათმუთვობის გამო
ასრულებს მის თანამდებობას, უნდა მიეცეს სწორედ იმ-
დენი ჯამაგირი, რამდენიც წევრსა აქვს დანიშნული. იმავე
ინსტრუქციის ძალით, ავათ-მუთვის წევრს ოთხის თვის გან-
მავლობაში ჯამაგირი ეძღვა, ასე რომ შეიძლება მოხდეს,
რომ ოთხის თვის განმავლობაში წევრსაც სრული ჯამაგირი
ეძლიათ და მის კანდიდატსაც. რომელ წყაროდგან უნდა ეძ-
ლიათ ეს ფული კანდიდატს, ამაზედ ინტრუქცია მაინცა-და-
მაინც გარკვევით არას ამბობს. სწერია მსოფლოდ: კანдидა-
ту, исправляющему обязанности члена, производит
ся жалованіе въ размѣрѣ, получаемомъ заболѣв-
шимъ членомъ, изъ суммъ по определенію каждыи
разъ Думы. აქედგან პირ-და-პირ სჩანს, რომ კანდიდატს
უნდა ეძლიათ ჯამაგირი იმდენი, რამდენსაც წევრი იღებს; ამის
წინააღმდეგ ლაპარაკი, სანამ ეს ინსტრუქცია არავის გამოუცვლია,
ემგვანება წელი-ნაცვას. მაგრამ საიდგან მიეცეს ეს ფული, ამი-
სი კი რა მოგასხენოთ, — საფიქრებელი კი არის რომ სას-
სარი უნდა აღნიშნოს საბჭომ (изъ суммъ по определенію
каждыи разъ Думы):

ამას გარდა კიდევ სთჭეს, რომ ბატ. ან. ჭ—ძე სამის
თვის განმავლობაში წევრის თანამდებობას ასრულებდათ და
ამიტომ სამას მანეთს ითხოვსთ და ოფიციალურ ინებებთო? შეიქნა-
ერთი ალიაქოთი!.. გადასახლ თუ ბანაკად: ერთი ბანაკი ამტკი-
ცებდა, რომ ბ. ჭ—ძეს ერთი კაშევიც არ ერგებათ, მეორე
კი, ინსტრუქციაზედ დამყარებული, ამბობდა, რომ ას-
გამოხნდეს იმისთანახმაც, რომლებიც ეკითხებოდეს ასე ის

თავს: კარგი და ორმეტის საშვალებიდგან უნდა გუზღლოთ ამო-
დენა ფული ბ. ჭ—ძეათ?! ბოლოს სთქვეს, ორმ მიეცეს
მხოლოდ ნახევარით, ე. ი. თუთხმეტი თუმანი, რადგან ეჭს-
ას მანეთს ისეც იღებდარ ბ. ჭ—ძე, ორგორც ერთი მოსამსა-
ხურეთაგანით...

აქ ჩენებნდა ვიჟებითხოთ შემდეგი: 1) ინსტრუქცია პირ-
და-პირ ამბობს, ორმ კანდიდატს, გამგეობის წევრის თანამდე-
ბობის აღმასრულებელს, უნდა მიეცეს იმდენი ჯამაგირი, რამ-
დენიც დანიშნული აქვს წევრს, მაშასადამე, ამ ინსტრუქციის ძა-
ლით გამგეობას სრული ნება აქვს ეს ჯამაგირი მისცეს ვისაც
ერგება; თუ ეს ასეა, მაშ რაღა საჭირო იყო კითხვა, მიეცეს
თუ არა ბ. ჭ—ძეს ჯამაგირით, ორმეტიც მას კანონით ეჭუ-
ვნოდა? ან, იქნება, სხვებსაც ასე ეძლევათ ხვედრი ჯამაგირი?
და 2) რას ნიშნავს: жалованіе производится изъ суммъ
по определенію какъдый разъ Думы? ეს იმას ნიშნავს
თუ არა, ორმ თვითოუელს შემთხვევაში საბჭომ უნდა განსა-
ზღვროს ის წეარო, საიდგანაც გამგეობამ უნდა დააკმაყოფი-
ლოს წევრის თანამდებობის აღმასრულებელი? საჭიროა ვიკით-
ხოთ: 1) იცოდა თუ არა საბჭომ ინსტრუქციის არსებობა და
თუ იცოდა, რატომ თავის დორზედ არ მიიღო ზომები
მისის გარდახედვისათვის? 2) სრული უფლება აქვს თუ არა
ბ. ჭ—ძეს, ორმ იმავე ინსტრუქციის ძალით გარდახედვინოს
ქალაქს სამასა. მანეთი სრულად? და 3) თუ ვინიცობაა ბატ.
ჭ—ძემ ამ უფლებით ისარგებლა, საიდგან აპირებს ფულის
მიცემას? —საზოგადო შემოსავლიდგანო, იტუკით, მაგრამ შე-
მოსავალს ხომ თავისი გამოანგარიშებული, გადამეტებული
ხარჯებიცა აქვს?!

მანელი.

შინაური მიმოსილვის მაზიარი

საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ ერთ და ქვეყანა მხოლოდ მაშინ სადგას წარმატებით გაიზე, მხოლოდ მაშინ უკისცემისა და შეკისლრთვიალების ბედნიერს მომავალს, როცა საერთო, საქვეუნო საქმებში უგელა მისი მკვიდრი, ან უფრო მომეტებული წილი ქმედისა და ერთია მონაწილეობას იღებს ცნობიერად და გონიერად საზოგადოობრივ ცხოვრება-ში. არავითარს საერთო საქმეს, საერთო დაწუებულებას არ მიეცება დიდი ძალა, დიდი სიმტკიცე, თუ ან ერთი, ან მეორე შეადგენს მხოლოდ არმძენთამე ხვედრს, რომელიმე საზოგადოების, ან ერთს რომელიმე ნაწილის გუთვნილებას. უკვე დიდი და საშვილი-შვილო საქმე მაშინ იქნება მტკიცე, მა-შინ მოიკიდებს ფეხს, მაშინ შეადგენს შეურეველს ძალას, რო-ცა იმ საქმეს ეკუთვნის, მთლად ერთს სიმპატია, როცა მას სი-სარულით შესცემს და სიყვარულით შესტრიქიალებს მთლად ქვეყანა.

ერთ და ქვეყანა, რომელიც იმ სიმაღლემდე ააწეს, რომ ერთსულობით და ერთგულობით რამ საერთო საქმეს ემსახუ-როს, დიდებული ერთა და დიდებული ქვეყანა, ის ერთ და ის ქვეყანა, რომელიც არ ასულა ამ სიმაღლემდე, არ გამოუცდია სისარულის გულის-ცემა ამ გვარ საერთო, საქვეუნო საქმისა-თვის სამსახურის დროს, ჯაფით, შრომით, ენერგიით, თავ-დადებით, იგი ერთ და ქვეყანა ისტრიქიაში ადგილს ვერ და-

ჭერს, მაღალ და დიდებულ ერთა-შორის კერ დაზიანა, კაცობრითის საფაროში კერა განძის კერ შეიტანს.

ჩენს ერს ერთს დროს ჭერნია დიდი ერთ-სულობა და ერთ-გულობა თავის ისტორიულს ცხოვრებაში. ჩენს ერს გამოუცდია და უგრძენა თავის ისტორიულის ცხოვრების განმავლობაში დიდებული წამი საერთოდ ჯაფისა, შორმისა, მოღვაწეობისა, თავდადებისა, სისილის დაღვისისა საერთო, საქვეყნო საქმისათვის. მან ამ გვარად გაზარდა თავის საერთო გალოოთ და ააღორძინა ქრისტიანობა, მან თავ-დადებით და სისხლის დაჭრებით დაიცა თავისი მიწა-წეალი, მამული მტკოაგან. ამაშია საბუთი მისდამი უურადღებისა კაცობრიობის მიერ, ამაშია უფლება მისი ისტორიულ ერთა შორის ექიროს განსაზღვრული ადგილი, ამაშია საიუმებელი, ორმ რუსეთი პატივს სცემს ერს, ორმედსაც ერთხელ, ერთს წამს, ერთის საგაცობრივო საქმისათვის მაინც უმუშევნია, უღვაწნია, უბრძოლნია—ეს არა-ფერი—უმუშევნია ერთად, უღვაწნია საერთოდ, უბრძოლნია საყოველთაოდ ერთ-სულობით, ერთ-გულობით გამსჭავალებს.

დღეს კილო ჩენის საზოგადოობრივის ცხოვრებისა უფრო დაბალია, სელია, მარდის ჩუმა ქართველობისა. უფრო სუსტია, ნაკლებ ანჭარებული, მიბინარებული. მაგრამ სუ თუ იგი მძლავრად არ დაიწყობს ცემას, ორცა საჭმე ჩენს საერთო ბედნიერებას შეხება, ორმედსამე საქვეყნო საგანს, ორმედის მოწყობისაგანაც ჩენი ბედი და უბედობა, ჩენი მომავალი. იქნება გადასაწყვეტი, ჩენ არ გავკეთილშობილებით წინაპართა მაგალითის მიხედვით?!

არა გვჭერა. არა გვჭერა, იმიტომ რომ ეგ კეთილშობილება, ეგ ამაღლებული სულის მდგომარეობა, ეგ ანჭარებუ-

დი გულის ცემა საქვეუნო საქმისათვის, ორმედიც წარსულში ჩვენ გამოგვიჩნია — ჩვენ სისხლში და ხორცშია ისევ დარჩენილი, უოგელივე ძალა, ენერგია ბუნებაში, გილო იგრ არ გამოვა ამ დაფარულ მდგომარეობიდამ, მაგრამ, ორცა კი გაიღვიძებს, გაიღვიძებს იმავ კრთ-სულობით, იმავ კრთ-კულობით.

თებულვლის ხუთი პირველი ნაბიჯია ამ მხრივ. ცოტის ურილობა, 5 თებურვალის შემდგარი, წინამორბედი ნიშანია იმისა, რომ ეს ძალა თავს იჩენს, საქვეუნო საქმისათვის განმტკიცდება და ისეთის ნაყოფის მოიტანს, ორმედიც სამუდამოთ დაგვაუქენებს უმეტესად კანათლების გზაზედ, და წარმატების ტრფილს გაგვიღვიძებს.

ამ გვარსაც ფურქობა და იმედებს აღვიძებს თბილისის შაზრის თავავდა-აზნაურია ურილობა იმავე საგნის შესასებ, ორმედსაც გორის 5 თებულვლის ურილობა შეეხებოდა. ცოტის შაზრი, დუშეთისა და თბილისისა კრთ-კულობით მოკიდნენ საქმეს, გაიწერეს სალჯი საქვეუნო საქმისათვის, თავიანთ შვილების აღნიშვნისათვის. შეიღების აღწერა, ხალ-თალის განათლების საქმე, რასაკვირველია, დიდი და ქვეუნისათვის სასარგებლო საქმეა. მაგრამ ამის გარდა ამ საგანს მეორეც ზედ ეძარება. ლორისა და სამის მაზრის გარდაწყვეტილებას, იმედია, თან მოჭევება ამ გვარივე თითქმის კრთ-ხმივი გარდაწყვეტილება თელავისა და სიღნაღის მაზრისაც და მაშინ უფლება გვემნება კსოვებათ. რომ თითქმის ნასევარი საქართველო, ესრულ წოდებული აღმოსავლეთის მისი ნაწილი, ერთსელ მაინც, ერთის წევთის განმავლობაში მაინც კრთის საქვეუნო სურვილით განმსჭვალა, კრთის საშვილი. შეიღო საქმისათვის ღონისძიება აუდარება, მძიმე ტერიტორია და თითქმის როგორც

ერთმა გაცმა აღიარა საჭიროება თავის საკუთარის გიმნაზიას დაარსებისა.

როცა ქვეყნის ერთს ომელსამე საერთო საქმეში გამოიჩინის ამ გვარს ერთ-გულობას, ერთიანობას, იმედია სხვა დრო. საწ, შემდგან, როცა უფრო საჭირო იქნება ამ გვარი ერთობა, ერთობრივი სურვილი, ერთობრივი ტვირთი, არც მაშინ დაიხევს უკან თავის სამშობლოს საბედნიეროდ, მის გეთაღდელებისათვის.

ამ გვარად შეიქმნება საუკეთესო და უგეთიანობილება არადიცია საერთოდ ქვეყნის სამსახურისა და ეს ტრადიცია მოძღვრებად იქნება აღიარებული, რომლის წინააღმდეგობა, ომლის ღალატი იყით ღვთის გმობად ჩათვლება.

ამ უკანასკნელ დროს მთავრობამ გადასწურიტა ერთი სასიამოვნო საქმე თავად-აზნაურობის შესახებ, რომელსაც თავის-თავად არა მცირედი მნიშვნელობა აქვს და ოლმელსაც ამის გარდა, სხვა მნიშვნელობაც მიეცა. ჩვენ კამბობთ ნახევარ პრივაზის კალის პატივებაზე თავად-აზნაურობისათვის უმაღლესის მთავრობის მიერ. მეორე სასერვაცი ამ პრივაზის კალისა თავად-აზნაურობა კალდებულია გადაიხადოს ნაწილ-ნაწილ 37 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ამ კალის პატივების მნიშვნელობას თავის-თავად, ჩვენ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. უკეთამ კარგად იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის მამულების უკალიობას და რა მნელია მამულებისათვის ერთხელის მასზე ტვირთად დაწოლილის კალის მოშორება, ან რა ადგილად იზრდება და მკვიდრდება ეს კალი თუ ერთხელ როგორ-მე ღალი იგი მამულს.

ესლა ჩვენ მკითხველის უკალდების მიგაჭრებთ მხოლოდ

ამ ბაასა, ორმეტიც გამოიწვია ამ კალის პატივების საჭიროებაზე გაკეთით წარმოთქმულმა გენერალ ჭადეივის აზრმა იმის ქართველთადმი თანავრმნობით სავსე წერილში.

როგორც მკითხველი გარჩად ეხსომება, მან სხვათა შორის გამოსთხვა, ორმ ფრთად საჭიროა ჩვენივის დაკაცვათ ქართველობა, როგორც ერთ და საზოგადოებათ, ორმ მას უნდა მიეცეს შეძლება სრულიად თავისუფელად ავარჯიშის იავისი ეროვნული აზრი და გონება, მაღა და ღონეო, განავითაროს ერთიც და მეორეც და, როგორც ერთგული რუსეთის სამეფო ტახტისა, მტკიცებ იდგენ, ჩვენ განაშირება შემუშავდეთ ჩვენის ინტერესების დასაცელებლათ. ამასთან ქართველი ჩვენი თანა-მორწმუნები არიან და მათი სარწმუნოების განმტკიცებისათვის ერაყელ-გვარი საჭირო ცვლილება უნდა მოვახდინოთ. სამსახურო და სამასწავლებლო სტურმი მათის ენას უნდა ადგილი მიეცესთ და დასასრულ თავად-აზნაურობას უნდა ეპარიზოს 3 მილიონი პრივატის კალით საზოგადოთ ამ შემუშავ გაწირებულ ეკონომიკურ მდგრძალებიდამ დასასხლელათ.

ეს სრულიად საკმარისი იყო, რომ ქართველობის მოწინააღმდეგეთ აეტენათ დაპარაკი ამ სავანზედ. ერთიას ლიბერალურის რუსულის გაზიერის რედაქციამ თავის სახელობით დაბეჭდა ორი პრცელი მესკური წერილი ამის შესახებ, მაგრამ სტატიას ისეთი უკუღმართობის ბეჭდი აზის, ისეა ჭაგტიში საცოდავათ დამსახინებული და ისეთის ტენდენციით დაღაგულები, რომ ადგილად მისვდებით, რა ზნის პატიონის კალამის უნდა ეკუთვნოდენ იგინი, რა ჭურის კაცი უნდა იყოს ეს რეზაქციაში ჩათესლებული ქართველთა მოწინააღმდეგებ მოლაშე უშიორგელესად უოკლისა მას მოუნდომებია დამტკიცება იმ აზრისა, რომ ამიერ გავეასიაში ს—ობა უკელა გავეასიაში მოსახ-

და ტომში მომკეტებულია ოცნებით და რადგან ეს პირ-და პირ
კერ მოუხერხებდა და ყეიდღიცის ეტნოგრაფიული რეგის წინ
გადაჭლობებია, მიუმართოვს ერთიას სამუალებისათვის, რომელიც
საანდა წალას მოგაზონებო, უკეთ ზომის ფეხზე ადვილად
ჩასაცილებელი. პუბლიცისტის ს—ლბისთვის ზედ მიუთვლია თუ-
ბი, თათრები, სპარსები, ტალიშინის მცხოვრებნი, ქურთინი და
კიდევ სხვანი, რომელთაც მეცნიერება სოვლის ს—ბთან ერთად
ინდო-ეკროპიულ მოდგმის ხალხებად. მაგრამ ჩემ გვიკვირს,
რატომ არ მიაიკალა ამათვე თვით რესის სალხი, ნემუცები,
ჭრაცუზები, ისელისელები და სხვა ეკროპიული ხალხინი, რო-
მელნიც მეცნიერების გამოგაღევისავე თანხმად ინდო-ეკროპის
მოდგმას წარმოადგენებ. ჩემ გვგონია, რომ მისთვის აქეც
ზეიდღიცის რეგას მოუტეხნია კისერი. ამ რეგაში შეკრიმით
სწერია, რომ სომხები, ქურთები, სპარსელები, ტალიშები
ირანის შტოს ეკუთვნიანთ და იმასთც ეს გაუმეორებია. ის კი
დაგიწყებია, რომ მეცნიერებამ სომხური ენის გამოძიების სა-
ფუძველით სომხურის ენისა და ხალხის მოხატეათაბა აღიარე-
არა ინდო-ეკროპიულ მოდგმის ირანის შტოს სალხებთან,
არამედ სლავოლიტოვის შტოს სალხებთან. *)

აკციონის არ მოაწონებია, რომ ტადეივი ქართველებს მა-
მაცის გრს ეძახის გავტასიელ ერთა-შორის და მოჟურლია ცრუ-
ლიბერალურ მსჯელობას მასზე, რომ გარეულ ხალხს მამაცი
არავინ დაუძახებსო, რომ კულტურული ტომი გავგასაში არის

*) ხუკა კ. პაცუანოვისა სომხურ ენის უსახებ. Извѣстія Кавка-
зскаго отд. Рус. геогр. общ. О мѣстѣ, занимаемомъ армян-
скимъ языкомъ въ кругу индоевропейскихъ т. VI Тифлисъ
1879—1881.

ს—ობათ და სხვ. კურ ხომ იქ მოიტეხა კისერი, როცა ს—
ბის უმრავლესობა უნდა დაემტკიცებინა კავკასიის ერთა შორის,
ახლა აქ ინჩხვრებს კისერს, როცა სცდილობს რომ უარ-ჟეოს,
როგორც კულტურული ძალა ქართველობისა, ისე მისი ეროვ-
ნული, მამა-პაპით თან დაუთლილი თვისება—სიმამაცე და
ბრძოლაში შეუპოვრობა. ეს უკანასკნელი თვისებანი ისე ნათ-
ლად განასხვავებენ ქართველებს ბეკრ სხვა ერთა შორის და ისე
ცნობილია უკელასაგან, რომ ამაზე ბეკრი ლაპარაკი მომეტებუ-
ლი იქმნება. ჩვენ მივაჭიდოთ მკითხველის უწყებდლების აკტორის
ამ რო-გვარის აზრის დაკავშირებაზე. სიმამაცე ქართველობისა
გელურობათ და არა ჭიშმარიტი გულადობა, რომელსაც იჩენ-
დენ ომში ბეკრი ს—ის გენერლებით. ამასთან კულტურული
ხალხს მშვიდობიანობის დაცვის მსურველს განათლებულის
ცხოვრების გასავითარებლად, რასაკვირკელია, კუდა ბეკრის ფაზ-
სური არ გამოადგებათ და არც მოსწონთო. ამ გვარ აზრების
დაკავშირებით რომ რამა ჭიშმარის დაამტკიცოს: ერთი რომ ქარ-
თველობას ნაძვიერი სიმამაცე არა აქვს და კულტურულის გან-
ვითარებისათვის უძლეურია და მეორე შრომისა და შეიდობი-
ნობის მოყვარე ს—ობა არც ნაძვიერ სიმამაცეს არის მოკ-
ლებული და კულტურულის ძალითაც მაღლა სდგას ბეკრადათ
პირები საგნის შესახებ, როგორც კსთვევით, სიტყვას არ გა-
ვაგრძელებო; რაც შესხება მეორეს, აქ კი ნება გვქანდეს კსთვევით,
რომ დღესაც კი, როცა ასეთი დრო დადგა ქართველობისათვის,
იგი ბეკრად მაღლა სდგას კულტურის მხრით სხვა ამიერ და
იმიერ კავკასიის ერთა შორის. დღესაც მას შესცემისან არამც
თუ მთები და მთიელნი, არამედ ბარის სსკა-და-სხვა ტომნიც, რომ
მისი უმრავლესობა, შეკვეთული ერთ მართალია პატარა, მაგრამ
მტკიცედ დაკავშირებულ ეტნოგრაფიულ კულად, არ არის მოკლე-

ბული არც კულტურულ მისამართისათვის და ანტი მაღალ და კუოილა-
შობილურ იდეალებისადმი ლოგიკას, რაიცა დამტკიცა განათ-
ლების საჭმეში ერთ ხმად მიღებულმა გარდაწყვეტილებამ მოქ-
ლის აზნაურობის-მიერ. თვით ხალხი მტკიცედ არის დაბინად-
ოებული თავის მიწა-წყალზედ და სოფულიად გაქართველებული
ჰყავს უპელა უცხო ტომის წარმომადგენელნი თავის ახლო და-
სახლებულნი არამც თუ სოფლად, არამედ ქალაქებშიც კი. გა-
ქართველებულნიც რომ ვამბობთ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ
რამე ძალა ეხმანნოთ მათ ამისათვის, ან სხვა ვინმე შესწავ-
ნოდეს ძალითა. არა. ეს გარემოება მომსდარა თავის-თავად,
მკიდეობა კულტურის ძლიერებისა და ცხოველების გამო. და
ეს ძლიერება და სიცსოველე სეირ უოფილა რომ, მოსულებს
ადარც ზე შეჩენიათ, ადარც ჩვეულობა, ადარც წესი და ადარც
წყობილება თავისი. დღეს მხოლოდ ერთსა და თას ალაგოს
თუ ვხედავთ, რომ საქართველოს მიწა-წყალზე ისევ თავს მჩე-
ნებ მოსულთა განსაკუთრებული ხასიათი, ენა და ჩვეულებანი,
მაგრამ ეს მათი კულტურის მიზეზით კი არა სწარმოვობს, უ-
გარემოება დროების მიზეზით მოხდა, საზოგადოთ ეროვნუ-
ლის ცნობიერობის და განმტკიცების დროის წყალობით. ჩემ
სოფულიად არა გვიჩნია წერილის ავტორობან ერთად, რომ
მსწავლებლთა, მოსწავლეთა უმეტესობა, გამოცემათა და შიგნითა
ბეჭდების გალიძეების უფრო ს—ობაში შეინიშნებოდეს, ვიდრე
ქართველობაში. ჯერ მარტო ის ზოღეთ, რომ მოქლის მათ ამიტ
გავესის ღირებარებულას ერთი ისეთი პოეტი არ მოქმებნება,
როგორც იურ მაგ. ვრ. არბელიანი, ან ნ. ბარათაშვილი.
სხვას ნულარას ვიტყვით.

თუ ავიღებთ წარსულს დროს, ძაბინ ხომ უფრო საზა-
რალო ვწება ს—ბისათვის შედარება ჩვენსა და იმათ კულტუ-

რუდ ძალასა, ლიტერატურისა და მსწავლელთა და მოცწავლეთა აღმდენობისა. მარტი კვეთს ცეკვის ტურისანი ფირს კრთ ლატერატურად. ერკედეს 40 წლის, მღელვარე მეფობის მოგონებას შეუძლიან მოული ქვეყნა ფეხზე დაუექნოს, იმ მეფობას რომელშია მრავალია მაგალითი სამშობლოს სამსახურისა, თავდადებისა, მამულის განვითარებისა, საწავლის და სიბრძნის მოუკარებისა და რომლის შემდგრავ სულ სამოცვა და თხმოცვა წელს არ გაუვლია. ამ 20 და 40 წლის წინად, ასია და ორასის წლის წინად, სამსა, ათსა, სუთსა და ეჭვს საუკუნის წინად რას წარმოადგენდა ს—ეთი და ს—ობა? არას ფერს, სოულიად არას ფერს. ან თუ წარმოადგენდა რასმე ისევ უდაბნოს წარმოადგენდა, ურიასტანს, აოსრებულს მტრისგან, ხალხს დაწილებულს, დამფოთხალს და ცუკრებივით აჭეთ-იჭით გაფანტულია. აი ნამდვილი სურათი აკტორის კულტურულია, ხალხისა წარსულში.

ასეთია ის სკე-უბედური სტატია გაზ. ნოვოსტია; რომელიც ასე უწყალოდ აჩეხინებს კისერს თავის დამწერს იმ აშგარა ტენდენციის და მიდგომითის მსჯელობის გამო, რომელიც მისი დამწერი თავ-შეუგავმლად გაჟულება და რომელშია ამტკიცებს, რომ პრივატის კადის პატივისა სრულიად საჭირო არ არისთ.

მეტს სითონხილეს არ იჩენს თვით მეცნიერების პირით მოღაპარაკე, კათედრის პატირონი სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბ-ნი კერთვე პატრიარქი ქართველობის მძმართ.*)

*) ახ. журналъ Министерства народнаго просвещенія 1883 г., № 1, დეკабрь წიგნი, სულ კ. 3. პატრიარქъ: Ванскія надписи и значеніе ихъ для исторіи передней Азіи. О древней грузинской хроникѣ.

ამ ჰატიკ-ცემულს ბ-ნს დაუბეჭდია კოცელი კითომ მეცნიერული გამოკიდევა საქართველოს საისტორიო ქრონიკაზედ, ქართლის ცხოვრებაზედ, ანუ უკეთ რომ კითქვათ, მის პირველ თავების შესახებ და სენკოვსკისა არ იყენე კინაღამ იმასაც არ ამბობს სსვათა შორის, რომ მეთორმეტე საუკუნეში ქართველები არა ყოფილან დედა-მიწის ზურგზეთ. ჩვენ არ კამტიგაცემით, რომ ჰატიკანოვის სტატიაში სელ-ალებით არც ერთი რა-განან მოსაზრება არ მოიპოვებოდეს, არც ერთი მეცნიერული დასკვნა საქართველოს ძველის დროის ისტორიო-გრაფიის შესახებ. მართალია, რომ ჩვენი ძველი ისტორია, ანუ ექართლის ცხოვრებისა ის ნაწილი, რომელიც საქართველოს ისტორიის უწინარეს დროს შესხება და შემდეგ დროისაც ქრისტის დაბა-დებამდე, ძალიან მცირე შინაარს წარმოადგენს და მასთან ეს შინაარსი ბევრად საჭიროებს გრიგორიულს განხილვას, შემოწ-მებას, სინქრონიულის წესით და სხვ. და სხვ., მაგრამ ამას-თანავე სამართლიანობა და მიუდგომლობა მოითხოვს კითქვათ, რომ ეს ნაწილი ჩვენის მატიანესი მაინც ძვირფასი. მასალაა კრიტიკულად განვითარებულის მესტორიეს სელში. სწორედ ეს სამართლიანობა და მიუდგომლობა კი გამოუჩენა ბ-ნს პროფესორს და თითქმის სელ-ალებით უარ-ჟუროს მნიშვნე-ლობას ჩვენის მატიანეს სსენიებულის, ნაწილიას, სთვლის ჭას შეთცულად ერთს ვიღაც უმკარ ბერისაგან და ისაც ტომით სომებისაგან არა უგვიანეს მეცამეტე საუკუნისა. ჩვენ ესე გვარი აზრი არა თუ მარტო შემცდარ და უსაფუძვლო აზრად მიგვა-ნია, არამედ მიდგომით, განზრას ქართველო წინააღმდეგ გა-მათქმულათაც კითვლით. ჭავტიგურისა და მეცნიერულ წერილს ამ სტატიის წინააღმდეგ ჩვენ დევერიისა შემდეგ წიგნში დაგ-ბეჭდავთ, რომელმაც დამტკიცდება, როგორც კითომ და დი-

და ნასწარულობა და ერთგულია აკტორისა საქართველოს ისტორიის შესახებ, ისე მეცნიერულის ძიების უხევრო წესი, მისაგან შეთვისებული. ასდა კი ზოგიერთია მის გავრცით წარმოათქმულს აზრს შეკებით. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ მყითხველი ეხლავე მისკედეს, რა ღირსების ტენდენციით. არის დაწერილი საზოგადოთ ეს გარეგნობით მეცნიერული გამოკვლევა.

ამ უკანასკნელ დროს გავრცელებული მეცნიერთა შორის აზრი ქართველობის სიმრავლეზე აზის წინა-მხარში კანამდედა შავის ზღვის სამხრით კურძომდე პატრიარქი ცხადათ ეტეკობა, რომ არ მოსწონს და ამბობს, რომ ეს აზრი ჯერ ნაადრევია და დასამტკიციებული საბუთები არ მოეძებნებათ. მაგრამ ამას შირდაშირაც კერა ამბობს. მან კარგად იცის. გადა კლერიკის აზრი ქართველობის გაურცელებაზე მრიორ აზიაში და ამიტომ კერ ჭიდებას ამის გადაჭრით თქმას. *) ამ გვარადას იქცევა ივი, როცა ლაშარაკობს ვანის წარწერებზე, რომლის გარემოება და წარითხეა სწავლულთა ფიქრით მხოლოდ ქართულის ენის შემწეობით შეიძლება და რომლის ენასაც ეხლანდების ქართულის პირვანდელ ტორმად სითვიან. ერთს ადაგას აკტორი ვასტანგ გორგასლანზე ამბობს, რომ ის ძლიერი მეზე არ იყოვო და ვერც იქნებოდათ. და არამც თუ ძლიერი, სახელადაც კი მეზე არ ერქმეოდათ, თავადი ან მთავარი თუ იყოვო. რათა ჭიდონები ასე პატივ-ცემული პროვესორი? — სომხის მეტატორიუნი ამბობენ, რომ ვასტანგ გორგასლანი მშიშარა და

*) ამ სავნის შესახებ ა. უერნალი Ausland 1870 წ. № 54 აგრეთვე პროერია პროფ. დ. ჩუბინოვისა: ეცნოგრაფიული განხილვა, ძველთა და ახალთა კაპადოკიის ანუ ჭანეთის ძვირითა მოხასლეთა.

უძლური იურკო და ისიც მათ უჯერებს. მაგრამ არა, ეს მე-
ისტორიებიც რომ არ ამბობდენ, აკტორი მაინც ამასავე იტ-
უდა. მას არ უნდა დაიჯეროს, რომ რამე ისტორიული ცხრა-
რება ჭირნია საქართველოს მეთერთმეტე და მეთორმეტე საუ-
გუნემდე, როდესაც ბაგრატიონთ გვარი გაძლიერდა; და პატ-
კანოვის აზრით გაძლიერდა იმიტომ, რომ სომხეთიდან მოვი-
და საქართველოში. ეს ბაგრატიონები იქ ბაგრატუნები იყვნენ,
ხოლო საქართველოში ბაგრატიონები გახდნენ.

მცხეთას ნაშოვნის ჭირ წარწერა 75 წლისა ქრ. შემ-
ღებ ბერძულ ესაზედ ცხადათ ამტკიცებს, რა ძალა და მნიშ-
ვნელობა ჭირნია იყერიელების მეფეს, რომლისთვისაც, რომის
იმპერატორის აუშენებია ციხე. ფარსმამ II-ის მიღება რომში
138 წელს და მისი სტატუსის ამართვაც გაპიროლიაში ამტკი-
ცებს აგრძელებულ მეფეების მნიშვნელობას და სიძლიე-
რეს არამც თუ მეხუთე საუკუნეში გასტანგის დროს, არამედ
I, II და III საუკუნოებშია კი ჭრისტეს შემდეგ. ეს უკანა-
ვერ მიაიუჩინა ბ-ნმა პატკანოვმა. ვიდან სომხის მესტორიე-
ლაშარესთვის დაუკერებია და ჭვის წარწერისთვის კი, ესრედ
წოდებულ მონუმენტალურ საბუთისთვის კი უკანადღება არ მი-
ჰქონდება.

ხალხს დღევანდვამდე არ დაუკიწყება იმისი სასელი,
დღევანდლამდე გაკირვებით ისესენიებს მის სიძლიერეს, მის
ბრძოლას მთაელებთან, რა ბაყათართან, სპარსელებთან (თქმუ-
ლობა გარე-გახეთში, ივრის სეობაზე) და გმირად მიაჩნდა,
რომელიც ჭირ უზარმაზარ ბურთს ათაბაშებდა სელშით; რო-
მელმაც იალბუზზე ფეხს შედგა და დიდმა მოქმედს შექნეს დაუ-
კათ, რა სეისა შემოუტანია და ჩერქეზეთში გადარევა.

გახტანგზე გარცელებული თქმულობაზი ხალხში და აგ-

კუთხე მითიური თქმულობა ამინანზე ამტკიცებენ, რომ მას სხვა ბეჭრი თქმულობა უნდა ჰქონდეს კიდევ, როგორც სხვა-და-სხვა ისტორიულ პირზე და თავის პირანდელ დროის თავ-გარდასავალზე, ისე მითოლოგიურ ღმერთებზე, მაგრამ დღუ-კანდლამდე ეს თქმულებანი არ არის წნობაში მოყვანილი და დაწერილი. კიდევ ლენორტმა კოცელი სახალხო ეპიფური შეა-მა «კალევალა» არ მოსძებნა და არ შეკვრიბა, არავინ არ იცო-და რომ ტინებს ამისთანა რამ სახალხო ეპოპეია ექმნებოდათ. — პატკანოვს კი დაუუინა და ათვერ მაინც ამშობს, რომ ქართველების ხსოვნას არ დაუცვას. არც ერთი რამ თქმულობა თავის წარსულ ბედ-იღბალზე.

აკერთებე მართალი არ არის პატკანოვის აზრი «ქართლის ცხოვრების» უგელა იმ სელ-ნაწერებს დაგარგვის შესახებ, რო-მელიც ვასტაცის ჰქონია ხელში, როცა მისი დაბეჭდვა განუ-ზრახავს. დღეს ბ. დ. ბაქრაძეს აჭარა კოცელი სელ-ნაწერი «ქართლის ცხოვრებისა», რომელიც როგორც გარეგნობით ეტუობა. მეჩვიდმეტე საუკუნეში უნდა იუს გადაწერილი უქმე-დებადს სელ-ნაწერიდან. ამ სელ-ნაწერის «ქართლის-ცხოვრე-ბის» შედარება დაბეჭდილის ტესტოან, როგორც თვით ბატ. ბაქრაძე ამტკიცებს, ბეჭრი საუკუნადღებო კარიანტებს წარმოად-გენს და ბეჭრ ბეჭრ საგანს ჩერნის ისტორიულის ცოდნისას სრულიად სხვა ნათელსა ჰქონენს.

დასასრულ გული არ გვითმენს, რომ არიოდე სიტუა- არა ვსოთქვათ იმის შესახებ, რომ ავტორი მიაწერს «ქართლის ცხოვრების» შედგენასაც კი არა, უხეირო შეთხუზვას უსწავლელს სომხის ბეჭრს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ სომხურად თარგმნილი ქრონიკა ქართველებისა, იგივე ქართლის ცხოვრე-ბა, ანუ უკეთა ვსოთქვათ, მისი პირკელი ნაწილი 1125 წლამ-

დე, ე. ი. დავით აშმაშენებელის სიკვდილამდე შედგენილია მე-
თურთმეტიდამ მეცამეტე საუკუნემდე. საკვირველია სწორედ!
ამ ორს საუკუნეს შეა სდევლდა ქართველების ცხოვრება, ამ
დროს უძაღლეს ხარისხამდე აადარია განათლებამ, მაშინ დაიწერა
გამოჩენილი «კეფხვის-ტყაოსახი» და ხუ თუ ამ დროსები შესდგა
«ქარ.-ცხვ.» და ისე უსეიორთოთაც, როგორც ამბობს ავტორი
«განის წარწერებისა». მაგრამ აქაც ცხადათ სხვას, რა ტეხდებულია
აქეს ავტორს სასეში. ამით ის ამბობს ვითომ, რომ თორი წუ-
თი იყო საქართველო კარგს მდგრმარეობაში და მხოლოდ მა-
შინ შეიძლოვო თვის მატიანეს შედგენა და ისიც უსწავლელის
და მოსუიდულის სომხის შერის შემწეობითათვი, მატიანე, საკუე
შეცდომებით, ანაქრონიზმებითათვი და სხვ. თქმით ეს უხდა თქვეს
უთუოდ ავტორმა, მაგრამ თქმა კი არ არის საჭმე, საჭმე ის არის
დარწმუნდეს, კინმე ამ თქმით. კინ დაივურების, რომ ერთი და
ორი წუთი გაგრძელებულიყოს რომელიმე ერის კარგი მდგრ-
მარება და ამ დროს განმარტობაში შექმნილიყოს უცებ ისე-
თი უკვდავი და გენიალური ჩაწირმოები, როგორიც არის
«კეფხვის-ტყაოსახი». რომ «კეფხვის-ტყაოსახი» გახსნდეს ერთს
დაიტერატურაში, ეს ლიტერატურა როტად თუ ბევრად განვი-
თარებული უხდა იყოს, ესა შემუშავებული, საზოგადოობრივი
ცხოვრება რაგძა და წესზე დამუარებული. სოლო უკედა ეს
შილებანი ცხოვრებისა ერთი წემით კი არა ჩნდებიან, საუკუ-
სოებით შემუშავდებიან, ხინ-გრძლივის ერის ერთობრივის შრო-
მითა და ლკაჭლით, ერის გონიერისა და აზრის დამაშვრალობით.

ჩემ გვინდოდა სხვა გვარ მეცნიერებზე ლაპარაკი, თუნდ
მაგ. იმისთანებზე, როგორიც გულავია, რომელმაც რომ ლექ-
ცია წაიკითხა: დეფხვის-ტყაოსახზე ამ დიდ-მარხვაში და რო-
მელსაც ქართული კარგად შეუსწავლია, მაგრამ ჩემი შინაური
მიმოხილვა ისე გაგრძელდა, რომ ამას თავს ვანებებთ ამ სა-
ხლით.

ურნალი

« მ წ ე რ ი პ »

(წელიწადი მერვე)

მომავალ 1884 წ. თანკარიდამ უურნალი « ივერია » გამოვა უოკლ-თოვე და თთვე იმასე სახით და სივრცით, ოფიციალურად აქამიდე გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

რედაქტორი, ომელიც იმუოვება სიმონსონოვის ჭუჩაზე, ნაზაროვის სახლებში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. სადაც ზედა სართულში « დროების » რედაქცია და იქვ, შეა სართულში, რედაქცია « ივერია ».

მუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, « წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მაწავლებელ მ. ი. ნათაძესთან,

ფასი ხელის მოწერისა:

მთელის წლით 7 მან., სოველის მასწავლებელთათვის — 5 მან.

ჭალაქს გარეშე მცხოვრებთ ამ ადრესით უნდა დაიბარონ უურნალი:

Въ Тифлисъ, въ редакцію журнала « ИВЕРИЯ »

*ხვედრი ფული ხელის-მოწერმა უურნალის დაბარებისა-
თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.*

რედაქტორი და გამომცემელი ილ. პავლევაძე

«ივერიის» ფოსტა.

თ — ეთა. ლ. ჭ — ერს. ოქცენტის დასახელებული ნინოვნიერ
თვალითაც არ დაგვინახავთ. ჟურნალს გიგზავნით.
ხ — ოვს წ. კ — ძეს.. ღემიების ბედს შეგატუობინებ.
ქ — ისს. ნ. მ — ძეს. კარგა მიხედრილ ჩართ.
ყ — ის მაზრაში ყ — ჩაელს. თქვენი ღემი არ დაისულდება.
ჟურნალს გიგზავნით. ფასიც ზედ აწერია.
გ — რს. წ. ხ — ოვს. თქვენგან აღთქმული წერილი კურაც არ
მიგეოღია. რა მიზეზია? გელით.
ქ — ისს მ — ელს. თქვენის წერილის პასუხს დაწერილებით
მოგწერავთ ნააღდგომევს. და — ლის წერილის ამბავსაც
შეგატუობინებთ.

განცხადება:

ამა 1884 წელს ეუროპულს «ივერიაზე» ტელის მოწერა მიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შეიძინ მანამი.

სელის-მოწერა მიღება «ივერიის» ტელაქციაში, სიმონ-სონოვის ქართველი, 1-ს კლასიურის გამნაშიის უკან, ნაზაროვის სახლებში, აგრეთვე მაკერდოვის სააგმეტოში.

მუთაისში, ჭალაძის მაღაზიაში.

ბათუმში, ქართველის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

ქალაქის გარეშე სელის-მომწერთ წერილი და იუველი შეძეგის აღრესით უნდა გამოვზაროს:

Въ Тифлисъ

Въ Редакцию журнала «ИВЕРИЯ»

ვისაც ეურნალი თავის დოზე არ მიუკიდეს, ვთხოვთ,
მალე აწობოს ტელაქციას.

n 383 | 9
1884 | 2